

2. 86

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი

ვარდამ გონიერა

## კარმასობა

როგორც ყოფაცხოვრებითი მოვლენა  
ძველ საქართველოში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემების  
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი—1949—Тбилиси



სამართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

აკად. 03. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი

ვარდამ ღონიშვილი

349988

კარმასობა

როგორც ყოფაცხოვრებითი მოვლენა  
ძველ საქართველოში



სამართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემობა  
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი—1949—თბილისი

## შ ი ნ ა ს ი ტ უ ვ ა ო ბ ა

88.

I	ჭინასი ტუვაობა . . . . .	1—6
II	კალმასობის, იგივე კალმასის ეტიმოლოგია. კალმასობა სიტუვის „კალმახობად“ გადამახინჯების შესახებ ზოგი ავტორის მიერ . . . . .	6
III	კალმასობის შესახები უძველესი ცნობა . . . . .	11
IV	კალმასობის ორგანიზაციულ-ტექნიკური შხარე. საკალმასო ინსტრუქციები ერეკლე II-ისა; გიორგი ერეკლეს ძისა. ითანა ბაგრატიონის ცოლის მონაწილეობა საკალმასო თაღარიგში. ბერები-მეკალმასენი: გერმანე; სერაპიონი და ონოფრე ქარუმიძე; ოსე იქსეს ძე; იონა ხელაშვილის ნაცადობა საკალმასო საქმეში . . . . .	13
V	მუჩირობა ცნება კალმასობა ცნებასთან შეფარდებით; სიტუვის ეტიმოლოგია . . . . .	29
VI	როჭიკი ცნება კალმასობა ცნებასთან შეფარდებით, სატყვის ეტიმოლოგია. როჭიკი და მეროჭიკე სიტყვები იონა ხელაშვილის ენაზე . . . . .	34
VII	კალმასობის ანარეკლი ფილაზელფოს კიკნაძის ბიოგრაფიაში. კალმასობის ანარეკლი 1846 წლის ლაპიდარულ წარწერაში . . . . .	46
VIII	საკალმასო სეზონი სოფლად . . . . .	50
IX	მეტოქების როლი კალმასობის ისტორიაში. თბილისის ჯვარის ეპლესია და „ჯვარის მამები“ როგორც მეკალმასეები . . . . .	51
X	მეკალმასე ჯვარის მამების ავი საქმეები. თბილისელების დრტვინვის გამოძახილი ჯვარისმამების განმაქიქებელ საბუთებში. ვენედიკტე ვიტინელი ჯვარისმამის ლაპიდარული წარწერა (1825 წ.) და ამ პირის დახასიათება გენ. ერმოლოვის მიერ . . . . .	58
	საერისკაცო კალმასუბის ანარეკლი გელათის სიგელში (1519 წ.) და ითანა ბაგრატიონის „კალმასიბა“-ში. ბაზმა-კალმასი ვით კალმასობის გარდმონაშთი ეთნოგრაფიულ ყოფაში; სიტუვის ეტიმოლოგია . . . . .	67

XI	ოჩხარი ცხების შეფარდება კალმას ობა ცნებასთან;	
	სიტყვის ეტიმოლოგია. ოჩხრის გარდმონაშთი ეთნო-	
	გრაფიულ ყოფაში . . . . .	71
XII	კალმას ობის შესახები რამდენიმე ცნობა მსოფლიო	
	საქრისტიანო ეკლესიის ისტორიიდან: ათონის მონასტრე-	
	ბის პრაქტიკიდან; რუსთა ეკლესიის პრაქტიკ დან; პოლო-	
	ნეთის ეკლესიის პრაქტიკიდან . . . . .	80
	დასკვნა . . . . .	86
	რეზუმე . . . . .	88
	საძიებლები . . . . .	99

კალმასობა<sup>1</sup>, ანუ მონასტრისათვის პურის ჩამოსათხოვრად კარდაკარ, კალო-კალო სიარულის ჩვეულება, გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს, როგორც ყოფაცხოვ-რებითი მოვლენა ძველი საქართველოს სინამდვილეში.

ჯერ ერთი, მნიშვნელოვანი ყოფილა ამ წესით „მოშოებული“ პურის ხვედრითი წონა მონასტრების მეურნეობაში. ამას მოწმობს კალმასობის თვით გავრცელებულობა და ჩვეულებრიობა, თუნდაც ის სათადარიგო-საორგანიზაციო გაწამიწია, რომელიც იწყებოდა საკალმასო სეზონის ყოველ ჩამოდგომაზე.

გარდა ამისა, ირკვევა, რომ „კალმასობდენ“ არა მხოლოდ ეკლესია-მონასტრები, არამედ აგრეთვე „მსოფლიონიც“, „წვრილი ერი“, მაშასადამე, „ერიც და ბერიც“. ამის დამაღასტურებელია ეთნოგრაფიულ ყოფაში ადათად ჩარჩენილი ეგრეთ წოდებული „ბაზმა-კალმასი“ და მასთან ერთად „კალმასობისავე“ სახე-სხვაობა „ოჩხარი“, იგივე „ცხვრის მოგროვება“ გა-

<sup>1</sup> ერთი თავი შრომისა „იოანე ბაგრატიონის ცხოვრება და შემოქმედება“. — მოხსენებული იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტისა და აკად. ს. ჯანაშვილს სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გაერთიანებულ სამეცნიერო სესიაზე (22. XI. 48), რომელიც მიეძღვნა-აკად. ს. ჯანაშვიას გარდაცვალების წლისთავს.

ჭივრებული კაცის მეურნეობის ალსადგენად (ალ. ყაზ-ბეგი).

უძველესი ცნობა საკალმასო ჩვეულების შესახებ თარიღდება გრიგოლ ხანძთელის (759-861) მოღვაწეობის დროით (კეკილიძე და ბარამიძე). მაშახადამე, საკითხის მეტნაკლები საბუთიანობით განხილვა ჯერჯერობით შესაძლებელი ხდება ფეოდალური სახოგადოების ისტორიის შუქჩე. ხოლო განხილული ფაქტები, ჩვენ მიერ აქ გამოყენებული მასალები, მთელი თავისი ხასიათით, ჰბადებს იმ აზრს, რომ კალმასობაცა და ოჩხარობაც, ანუ, რაც იგივეა, „კალმასიც“ და „ოჩხარიც“, უნდა ყოფილიყო, წარმოშობის თვალსაზრისით, შეპირობებული ფეოდალურივე სოციალური ურთიერთობით, საერთოდ, კლასობრივი საზოგადოების ცხოვრებით. სავარაუდებელია საკვლევი ჩვეულების დიდი არქაულობა, უფრო ოჩხრისა, რომელიც ჩანს გვარ-თემური ტრადიციების ანარეკლად, „ოჩხრის“ სოციალურ ბუნებაში კარგად გამოსვევის სარჩოს განაწილების კოლექტივისტური საწყისი. ერთი სიტყვით, კალმასობა-ოჩხრობა ისევე ძველ მოვლენად გვესახება, როვორც, მაგალითად, ხადილი და ჩადი შრომის კოლექტიური ორგანიზაციის ისტორიაში.

კლასობრივი საზოგადოების ჩარჩოებში, შრომის დამონიკის პირობებში, სადაც სტიქიურად წარმოიშვა მასებისათვის თავის დარჩენის სოციალური სიძნელეები, შიმშილ-სიგლაზაკესთან ბრძოლის პრაქტიკამ წარმოაჩინა პურით მომარავების თასეგვარი ცდები, დაწყებული კანონმდებლობითი ღონისძიებებით (მოვიგონოთ მონათმფლობელური რომის საჯარო პურის მაღაზიები და წისჭვილები, სემპრონიუსის ბელლები) და გათავებული ქრისტიანული „ნუგეშინისმცემელობით“.

ამ ვითარებაში ნიადაგი მოიპოვა გაბატონებული კლასის ინტერესთა ამსახველმა იდეებმა: „სულგრძელებამ“ და „მოთმინებაში“; ცხოვრების ქვაკუთხედი შეიქნა „შეხვეწა-შეწყალება“, ათასნაირ ფორმაში გამოხატული, და თხოვა-მათხოვრობა, ვით მისი უდარესი სახეობა. თხოვის უნივერსალურმა იდეებმა კლასიკური გამოვლინება პოვა პრივილეგირებულთაგან ნაკარნახევ ე. წ. „სიუფლო ლოცვაში“ („პური ჩვენი არსობისა მოშეც ჩუენ დღეს“, მთ. VI, 11). მესაუთრენიც—არა მხოლოდ მოითხოვენ ერისგან „თავისას“, „დებულების“ განალებას, არამედ „უდებსაც“ ეტანებიან, ისინიც მიმართავენ, ძალადობის გარღა, თხოვისა თუ ჩაგონების წესებს. ანიტომ გასაგებია, თუ, კერძოდ, მონასტრების წინამძღვრები, არჭიმანდრიტები და კულტის სხვა ხარისხოვანი მსახურნი დიდი მასშტაბით სარგებლობდენ საკალმასო აღათხაც.

„კალმასი—სომხურად კალოზე პურის მოშოება“ არისო (ს.-ს. ორბელიანი). ეს ლექსიკოლოგიური ახსნა გამოჰქონდა საქმის მხოლოდ გარეგნულ მხარეს.

კალმასობა ცნება, ფორმალისტურად განმარტებული, მოგვცემდა შემცდარ წარმოდგენას, ვითომ ის გულისხმობდეს უცოდველსა და უვნებელ ჩვეულებას პურის „მოშოებისას“, ვითომ ის ნიშნავდეს, არც მეტი, არც ნაკლები, კალო-კალო, კარდაკარ სიარულს ბერებისას და ნებაყოფლობის წესით პურის ჩამოთხოვას, მაშასაღამე, გლეხის მიერ „სარწმუნოებით“ და „გულით შემუსრვილით“ წვლილის გაღებას ბერებისთვის „ნუგეშინის საცემელად“. ცნობილია, რომ გაბატონებული კლასის ენაზე, კერძოდ, გლეხეაცობის გამაპარტახებელი ათასნაირი საბატონო ვალდებულება და გადასახადი ასახული იყო „გამაპატიოსნებულ“ ტერმინოლოგიაში. ის ენა, თავისთავად ქართულის დიდი შემოქმედებითი ძალის

გამომაჩინებელი და მარად ბრწყინვალე, მაინც იყო ექსპლოატაციორული კლასის ენა, რომელზედაც ფეოდალების თუნდ ყოვლად „ულვთო“ და „პარბაროზული“ სოციალური ცოდვები სტიქიურად, ვირტუოზული ხელოვნებით, იმოსებოდა ელასტიკურ დამაამებელ სიტყვიერ ფორმებში. ყველა ეს „საჩექმე“, „პირის სანახავი“, „საიმტვერიო“, „საწირავი“, „ნაშანი“, „საკანონო“ და რომელი მათთანა, ჭეშმარიტად მოხდენილი პოეტური მეტაფორები, სხვას არას აღნიშნავდენ, თუ არ იმავე გლეხკაცის გაძარცვის პროზაიკულ ფაქტებს.

ეს ეხება „კალმასობასაც“. ერთ დროს ალბათ უვნებელი საქმე, კალმასობა, დროთა ვითარებაში, ეგუება ჩეულებრივს საგლეხო გამოსალებთა საერთო ხასიათს, მონასტრების მაბეზარა-მეკალმასეების პრაქტიკაში ის „უჩუმრივ“ ითვისებს ახალ აზრსა და იერს: მეტადრე ეკონომიკური სიძნელეების გამწვავების ვითარებაში მას თანდათან ემჩნევა ტენდენცია სოფლის მეურნეობის თრგანიზებული დაბეგვრის ერთერთ სახეობად გადაქცევისა. ამ მხრივ დამახასიათებელია მეფე-მთავართა მუარველობითი მონაწილეობა კალმასობის „კეთილად“ ჩატარების საქმეში. ამავე მნიშვნელობით, სპეციალურ ყურადღებას იპყრობს ქვემოთ მოხსენებული ცნობა ნების-სოფელის გაშენების შესახებ. მაინც დამაინც, წრთი და იგრვე დიალ არ იყო, „ყელგადაგდებული“ ვინმე მოსახლე გავიდოდა საკალმასოდ თუ მონასტრის წინამძღვრისაგან გაგზავნილი ბერები, მსგავსად რომელიმე ქსენძისა (იხ. ქვემოთ), ხატ-ლმერთის სახელით მორწმუნეთა მაშინებელნი.

მონასტრების საკალმასო ღონისძიებათა ინტენსიობის მაჩვენებლად გვეხატება ჩვენ ე. წ. მეტოქების საქმიანობაც.

ამას გარდა, სურათის სისრულისათვის გასათვა-  
ლისწინებელია სხვა ქვეყნების ყოფაცხოვრებაშიც გავრ-  
ცელებული ეს კალმასობა. ამიტომ წინამდებარე ნარ-  
კვევში აღგილზ ეთმობა საორიენტაციო ხასიათის რამ-  
დენიმე ცნობას მის შესახებ.

დასასრულ, ამ ნარკვევის სათაურის პირობითო-  
ბის შესახებ. „კალმასობა როგორც საყოფაცხოვ-  
რებო მოვლენა“—ამ სათაურში სიტყვა „კალმასობა“  
შეიძლებოდა შეცვლილიყო სინონიმური სახელით. „კალ-  
მასობას“ ასეთი სინონიმი უთუოდ აქვს. ს.-ს. ორბე-  
ლიანი ამისთანად იცნობს „მუჩირობა“ სიტყვას. მაგ-  
რამ ესეც, კალმასივით, მერმინდელი შენაძენია ქართუ-  
ლისთვის (იხ. ქვემოთ). ჩვენთვის ცნობილი ფაქტები  
მოწმობს, რომ არც ერთი და არც მეორე ლიტერატუ-  
რულ ენაში ლრმად არ დაფუძნებულა. მყითხველი შენიშ-  
ნავს ქვემორე მოყვანილ საილუსტრაციო მასალაში, რომ  
ქართველი „მომხმარებელი“ ჩვეულებრივ იოლად გადი-  
ოდა აღწერილობითი გამოთქმებით, რომელთა  
შორის უფრო პოპულარული ჩანს „მორეწი“, „საზრდე-  
ლის მორეწი“, სიტყვა—ნამდვილ ქართული. დიალექტებში  
„კალმასის“ ეროვნარ სინონიმობას ეწევა „ოჩხარი“,  
„დიდება“, მაგრამ ამათ თავისი სპეციფიკურობა ახასია-  
თებს; კერძოდ, „ოჩხარი“ გარკვეულ სამეურნეო წრეში  
სხვა ცნებას გადმოგვცემს. ჩვენს სპეციალურ ლიტერა-  
ტურაში გამოითქვა აზრი, რომ „როჭიკი“ იყო „კალ-  
მასობის“ ადრინდელი შესატყვისი. ხოლო ეს აზრი ჯერ  
კიდევ დასაბუთებას მოითხოვს.

ყველა ამის ძალით, გასაგებია, თუ ჩვენ ისევ „კალ-  
მასობაზე“ შევქერდით, ის მივიღეთ სათაურად და ერთგვარ  
სამუშაო ტერმინად. ამის მიზეზი არის „კალმასობა“ სიტ-  
ყვის დიდი ნაცნობობა იმავე სპეციალურ ლიტერატუ-  
რაში. მას პოპულარობა შეუქმნა ქართველმა მოღვაწემ,

ითანე ბაგრატიონშა („ბატონიშვილმა“), თვითონაც დღეს მეტად კარგად ცნობილმა ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებრიობაში. ამისი ენციკლოპედიის სათაურით — „კალმასობა“ — ჩვენთვის საინტერესო სიტყვაშ განივრად გაიკვლია გზა ჩვენს სამწიგნობრო ენაში. ესეც არ იყოს, „კალმასი“, „კალმასობა“ და სათანადო ნაწარმოები სიტყვები ტერმინოლოგიურად მარჯვე სახმარია. ამიტომ, თანამედროვე სიტყვათხმარების წესზე რომ ითქვას, ამ ნარკვევში ჩვენ „ამოვდიფართ“ ითანესეულ „კალმასობიდან“.

მაინც ცდამაინც, საჭმე ტერმინოლოგიაზე არ არის. მთავარია პურის მორეწვის საკითხი, რომელიც შეადგენს „კალმასობის“ შინაარსს, ის კითხვა — თუ რა ფორმებში ხორციელდებოდა კლასობრივ ურთიერთობაში აღამიანთა მხრივ პურის ან ლუკმა პურის „მოსაშობელი“ ხერხები და ლონისძიებები.

## I

აღძრული საკითხების განხილვამდე უნდა განიმარტოს კალმასობა სიტყვის ეტიმოლოგია.

ს.-ს. ორბელიანით, „კალმასი [= კალმასობა] სომხურად კალოზე პურის მოშოება“ არის და „ქართულად მუჩირობა ჰქვიან“<sup>1</sup>.

ასეთი ახსნა სიტყვისა მის პირველ ნაწილში ეთანხმება სომხური ლექსიკოლოგიური ლიტერატურის მონაცემებს. ერთი განმარტების მიხედვით<sup>2</sup>, სომხურ ენაზე კალმასი

<sup>1</sup> ორბელიანი, ქართული ლექსიკონი (ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1928), ს. ა. კალმასი.

<sup>2</sup> ტ-ტში: «Կալի ժամանակ քահանայից բաժին տռւած չուրեն». იხ. Էմինեան Աղվագրական ժաղավածու [= ემინის ეთნოგრაფიული კრებული], ტ. 1, მოსკოვი-ალექსანდრებოლი, 1901, გვ. 319 = ამატუნი, Բառ ու բառ [= სომეხთა ლექსიკონი], ვალარ-შაპარი, 1912, ს. v. Կալապառուդ.

(Կալմաս) ճո՛նացն „կալոռօծիս ջրու մլզգլեթից թառ բոլոր ցալցից եռած եռածություն եռածություն“։ Սեպացան ոյութեած, հռա „Սոմեթո մլզգլեթո յուղ մատես ոլեթեն կալոռօծիս ձար- հռնտացան“-ու<sup>1</sup>.

Ես Սոմեցուրո ՝ „կալմաս“ Տուրպա հուշունու դա Մեծ- ցեմա ռարո Տուրպասացան։ յուղ (կալ) „կալո“+մաս (մաս) „նախուն, բոլո, եզեգրո“։ ամրոցալ, ՝ „կալմաս“ Տուրպա- Տուրպատ ցամունու ՝ „բոլո կալութան“, ոցունուսեմեծա, կալութե դաեցազեթյունո քյուրուսցան ալեթյունո նախունո։ Սոմ- եցուրո Տուրպաթարմութեատու բայսու սնդա ցայքոնութա Շեմա- յութեթյունո ։-նու (ա) օցեթյունո Տուրպա ՝ „կալամաս“ (կալ- ամաս), դա, մարտլապ, Տուրպաս յս գոռմապ ցավրցությունո պոյուլա Սոմեցուր ումեթիու<sup>2</sup>.

Ոյ ցասարհեցո Յըրմոնո, ցուտ նացուոնալայրո մռնա- քոցարո, ուսց լրմալ ցամչլարա Սոմեցուր մյուպալեթիունո, հռմ ծյունեթրուցալ մաս ոյ քուալեթիուրո ցոռմեթիու ցաս- հինու, մացալուտալ, յուղ ամաս ք (կալամաստ), յուղ ա- ման (կալամած)<sup>3</sup>, կալմաս ք (կալէմաստ)<sup>4</sup>։ ոյցո Շեմութի- յությունո Սոնոնոմուրո Տուրպապ։ կալաթթյուն (կալապատէլ)<sup>5</sup> ՝ „կալոնապոցու“, հռմելլուցու, մաժասալամե, յուղ „կալո“ Տուրպաս դայացմուրցու Սոմեցուրո Տուրպա քթյուն „նապո- ցու“<sup>6</sup>։ Շդր. ուսց Սոմե. յուղ աքաց (կալահաց), հռմ- լուս Շեթցենուռնամուց օմացո յուղ Տուրպաս Շեյրութեանո

<sup>1</sup> Ք-ՔՌՈՒ: «Հայոց աէքտէրներ.. կալմաս կստանան կալա- տէրներէն»։ օթ. Ց.Ց. Տռցան ք թանց ցու, Դրոց Բրոց, Առլուկա [= քռնեցան քանուռնուռնու], 1871. ց. 51-52.

<sup>2</sup> օթ. Ց.Ր. աքարուանո, Հայէքեն արմատական բառուրան, [= Սոմեցուրո ցումուռնուռու մարյունո լոյքսուրնո], Ը. 3, ց. 856, ս. ս. կալ. ցրցցանո, 1930.

<sup>3</sup> աքարուանո, դասան. Ց.Ր., ոյցո.

<sup>4</sup> ամաթյունո, դասան. Ց.Ր., ոյցո.

<sup>5</sup> ոյցու

<sup>6</sup> Շդր. յարտ. քթյունո, ալնութնուռու որնեցլուանու լոյքսուրնու.

სომხ. ჰარი „პური“, — თვით სიტყვა ნიშნავს „ხორბლეულ სარჩოს“ („верновое довольствие“), სოფლის მღვდლისათვის მრევლისაგან გაღებულს<sup>1</sup>.

სომხურ ენათმეცნიერებაში რთული „კალმას“ სიტყვა შეფასებულია, როგორც წარმოშობით ახალი სიტყვა<sup>2</sup>. თუ „კალ“ (կալ „კალო“) სიტყვა თავისთავად ძველია, რთული კალმას (կაլմას) მერმინდელია, ახალია. მაშასადამე, ქართულ ხმარებაშიც იგი შედარებით მერმინდელ მოვლენად არის მისაჩნევი<sup>3</sup>. ჩვენ მიერთვალგადავლებული ძეგლების მიხედვით, ქართულში ყველაზე უფრო აღრინდელი გამოყენება სიტყვას, შეიძლება ვითიქროთ, უპოვნია ს. ორბელიანის ლექსიკონში, მაშასადამე, მე-XVIII საუკუნეში. იმისი მტკიცებაც შეიძლება, რომ მას, სომხურიდან შეძენილს, ქართულში, ქართულ მწერლობაში მაინც, დიდი გავრცელება არ ჰქონია, რამდენადაც აქ მას ოთხქოს მეტოქეობას უწევდა, მაგალითად, მუჩირობა სიტყვა. როგორც ზემოთ იყო იღნიშნული, ორბელიანით, „კალმასი—სომხური პურის მოშოება“ არის და „ქართულად მუჩირობა ჰქვიან“, მაგრამ, ისე ჩანს, ავტორები სათანადო შემთხვევებში ჩვეულებრივ უამტერმინდაც გადიოდნენ.

ამ მხრივ იოანე ბაგრატიონის ცნობილი შრომა „კალმასობა“ (XIX ს. დამდეგი) ერთგვარ გამონაკლისად ისახება.

<sup>1</sup> დალბაშიანი, სრული სომხურ-რუსული ლექსიკონი (თბილისი, 1911), ს. V.

<sup>2</sup> აჭარიანი, დასახელ. შო., იქვე (სადაც იკითხება: „Նոր բառեր են..., და ა. შ.).

<sup>3</sup> საქმე ეხება, რა თქმა უნდა, არა ცალკე აღებულ „კალ“ და „კალო“ სიტყვებს, რომელნიც თავთავის ადგილზე (სომხური და ქართული) ძველ მონაცოვრად ითვლება. მაგალ., იხ. ოთხთავი, მთ. III. 12.

მწერალმა ბეჭითად გამოიყენა თავის უნციკლოპედიაში „კალმასი“ სიტყვა, ნაწარმოებ, გაქართულებულ ფორმებში აღებული, და იხმარა, კერძოდ, ფორმები: „კალმასობა“ („პურის მოშოვება“), „მეკალმასე“ („კალმასობის“ შემკრები პირი). იოანეს შრომაში, რომლის ტრადიციული სათაურიც „კალმასობა“ არის<sup>1</sup>, ერთი მოქმედი პირი (ზურაბა) ეუბნება მეორეს (იოანე ბერს), მასთან შეხვედრისას: „...ჰგავს, საკალმასოდ რონინებ“, კითომ საშოვარზე დადიხარო<sup>2</sup>. სხვა შემთხვევაში იგივე პირი იმავე ბერის შესახებ ამბობს: „მეკალმასედ დააყენეს“-ო, ვითომ საშოვარზე გავზავნეს მონასტრის უფროსებმაო<sup>3</sup>. სხვაგან იგივე პირი ამავე ბერზე ხუმრობით აცხადებს: მე ამას „ვასწავლე კალმასობა“-ო<sup>4</sup>, და ა. შ.

შემდეგი დროის ლიტერატურაში ჩვენთვის საინტერესო ტერმინი, სადაც-კი გვხვდება, ჩვეულებრივ ახასიათებს იმავე იოანე ბაგრატიონის „კალმასობა“-სთან დაკავშირებულ შრომებს, სიტყვაშ ძოიტანა, საბჭოთა ხანაში საქმაოდ შემატებულს. XIX საუკუნისათვის, ჟრალმოდ, შეიძლება მოხსენებულ იქნენ დ. ჩუბინაშვილი<sup>5</sup>, ალ. ცაგარელი, პლ. იოსელიანი, როგორც მცოდნენი „კალმასობა“ სიტყვისა.

<sup>1</sup> ამ სათაურის შესახებ იხ. იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“, ტ. I, გ. კვიპილიძის და ალ. ბარამიძის რედაქციით (თბილისი, 1936), შესავლის გვ. III. შდრ. „კალმასობა“ რუსულ ენაზე (თბილისი, 1945), შესავლის გვ. XV.

<sup>2</sup> „კალმასობა“, ტ. I, გვ. 1.

<sup>3</sup> იგივე, გვ. 2. „მეკალმასე“ სიტყვას იცნობს ს. ორბელიაშვილი (ქართ. ლექსიკონი, ს. ა. მემუჩირე).

<sup>4</sup> იგივე, გვ. 163.

<sup>5</sup> იხ. მისი ქართ.-რუს.-ურანგ. ლექსიკონი (სპბ., 1840), ს. ა. კალმასი, კალმასობა. — ამავე ავტორის ქართ.-რუს. ლექსიკონში (სპბ. 1887) ეს სიტყვა, კორექტურული შეცდომით, გადაიქცა „კალ-

აღნიშნულს უნდა დავსძინოს, რომ ფორმა „კალმასი“, ვით ძველი საქართველოს ყოფაცხოვრების გარდმონაშთი, უკანასკნელ დრომდე ჩარჩინილა ხალხურ მეტყველებაში კომპოზიტის სახით: ეს არის ე. წ. „ბაზმაკალმასი“ (იხ. ქვემოთ).

მახ-კალმახობად“ (ს. v.). ეს შეცდომა გასწორებულ იქნა ამავე გამოცემაში, გვ. VI („ცოომილებანი“). მაგრამ ჩუბინაშვილის გასწორება, ერთხელვე უყურადღებოდ დატოვებული ზოგი მკითხველის მიერ, გადაიქცა მთელ რიგ გაუგებრობათა მიხედად. კერძოდ, მოსე ჯანაშვილმა, რა განიხრახა განემარტა კალმახის ციხის (ტაო) სახელის ეტიმოლოგია, ის დაუკავშირა ჩუბინაშვილისეულ მცდარ ფორმას—„კალმახი“ (ნამდვილად: კალმასი) და ამით ერთ გაუკებრობას მეორეც შესძინა (იხ. ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, მოსე ჯანაშვილის გამოცემა, თბ., 1904, გვ. 234, გვ. 419; ჯანაშვილისეული რუს. თარგ. Царевич Вахути, География Грузии, უფრ. Записки Кавк. отд. рус. геог. о-ва, книж. XXIV, в. 5, თბ., 1904, გვ. 181, გვ. 523). ერთმა ავტორმა, ამ მცდარი ფორმის („კალმახობა!“) მიხედვით, იმანვ ბაგრატიონის ენციკლოპედიის სათაურად მიიღო „Калмакиба“ და რუს. „Лов форелей“! (გან. თიფლ. Рабочий, № 46, с. 3, 26.II.35). პრ. აჭარიანი კანონიერად ასწოჩებს ჩუბინაშვილის „კალმახი-კალმახობას“ იმ საფუძველით, რომ ის, სომხ. „კალმას“-ის მცოდნე; ამავე დროს ჩუბინაშვილის ლექსიკონში ჰყითხულობს კანონიერ ფორმაში წარმოდგენილ „საკალმასოდ“ სიტყვას (იხ. აჭარიანი, დასახ. შჩომა, გვ. 856. ს. v. კალმას). ასევე ასწორებენ იმ „კალმახ-კალმახობა“-ს ითანებ ბაგრატიონის „კალმასობის“, ტ. I, მეცნავრი გამომკემლებიც (იხ. ამათი წინასიტყვაობის გვ. I). მაგრამ მათ მსჯელობაში გამოყენებული, მკითხველის ზედმეტად მაურთისილებელი, გამოთქვები—„ჩემის ფიქრით“ და „ალბათ“ (ჩუბინაშვილის ლექსიკონში კალმახობა „წერია ალბათ შეცდომით“-ო) და აჭარიანის გამოთქმული „ჩემის ფიქრით“ („ლამაზი“) მაინც და მაინც ღია სტოვებს არა ღიად დასატოვებელ საკითხს—შეიძლებოდა თუ არა, რომ ჩუბინაშვილს შეკნებულად შეეტანა ლექსიკონში ეს „კალმახობა“.

დამოუკიდებლივ იმისგან, თუ რა დროიდან ან რამ-  
დენად იყო გავრცელებული კალმასობა სიტყვა, წყარო-  
ბი გვიჩვენებს, რომ თვით მოვლენა, კალმასობის სახე-  
ლით ცნობილი, სახელთობრ ჩამოთხოვით „კალოზე პუ-  
რის მოშოება“—ზემოთ აღნიშნულისამებრ, ჩვეულებრივი  
და ძველადვე დაწესებული მოვლენა ყოფილა სამონასტ-  
როსა და, საერთოდ, საექლესიო ყოფაცხოვრებაში.

საქმის ასეთი ვითარება ბუნებრივი ჩანს, რაკი ეკ-  
ლესია. მონასტრების საშემოსავლო ანგარიშში ყოველ-  
გვარი მოწყალებისა და შესაწირავის ხვედრითი წონა  
მუდამ დიდი იყო. ჯერ კიდევ საქრისტიანო ეკლესიის-  
პირვანდელმა ფუძემდებლებმა გადაისროლეს მორწმუნე  
ერში საკოოპერაციო ლოზუნგი: „ამას უამსა,—სწერდა  
ლეგენდარული პავლე მოციქული კორინთელებს,—თქვენი  
იგი ნამეტნავი მათისა [=მღვდლებისა] მის ნაკლულევა-  
ნებისა, რათა მათიცა იგი ნამეტნავი იყოს თქვენისა მის  
ნაკლულევანებისა, რათა იყოს განსწორებულ“<sup>1</sup>. ვითომ  
თქვენი ჭარბი ნივთიერი სახსრები უწილადეთ ხორცი-  
ელად ლარიბ სულიერ მამებს, ხოლო ამათაც თავისი-  
ჭარბი სულიერი ძალა, მაღლი, გიწილადონ. თქვენ, სუ-  
ლიერად ლარიბ ერისკაცები, და ასე შეავსეთ ერთმა-  
ნეთის ავლადიდებაო.

როცა შავშეთ-კლარჯეოში გახურდა ჭართული ფეო-  
დალური სახელმწიფოს მშენებლობა (VIII—IX ს ს.),  
აქაც მოიგონეს იგივე მოციქულის მიერი სახელმძღვანე-  
ლო აზრი. გიორგი მერჩულით, „დიდებულმა აზ-  
ნაურმა“ გაბრიელ დაფანჩულმა მოუწოდა სახელოვან  
სამონასტრო მოღვაწეს, გრიგოლ ხანძთელს (759—861),  
რათა ამ ბერს ხელი შიეკავა მისთვის და ორივეს ერთო-

<sup>1</sup> II კორინთ. VIII. 14.

პილად მიეღოთ მონაწილეობა მშენებლობაში. განსწავ-  
ლულმა გაბრიელმა საგანგებო საუბარში ციტატად  
იხმარა თურმე სწორედ პავლე მოციქულის ზემოთ მო-  
ყვანილი სიტყვები<sup>1</sup>.

მაგრამ ჩვენი საკითხისათვის უშუალო ინტერესს  
ჭარმოადგენს კალმასობის კვალი, რომელიც ჩარჩე-  
ნილა იმავე გიორგი მერჩულის აღნიშნულ შრომაში  
(დაიწერა 1951 წ.), რაც თავის დროზე შენიშნეს „კალ-  
მასობის“ მეცნიერმა გამომცემლებმა<sup>2</sup>.

მერჩულის თხზულებაში სახელდობრ ნაამბო-  
ბია, თუ როგორ მივიღა გუნათლელ ფეოდალთან, „დიდ“  
აბულასადთან, ხანძთის მონასტრის ბერი, ეპიფანე, მეს-  
ტროს, „უამსა მკისასა“, ამ მონასტრისათვის საზრდოს  
სათხოვნელად, „როჭიკისა თხოვად“. დიდ მემამულეს  
შეუწყინარებია თხოვნა და უპასუხებია: მომიცია მონასტ-  
რისათვის იმდენი პური, რამდენის მომკასაც შესძლებენ  
შენი „ძმები“ (ბერები) ერთი დღის სიგრძეზეო, — „ძმათა  
შენთა დღესა შინა ერთსა რად მკონ. მიმიცემია“<sup>3</sup>. გა-  
მოდის, მკის დროს მონასტერმა ითხოვა რო-  
კიკი—და მიიღო კიდეც პური. მოთხოვის უფლებას  
მას ტრადიცია აძლევდა. როგორც ქვემოთ იქნება  
ნაჩვენები, ქართულად ამას ეტყოდენ „პურის მორეწას“  
(=მოშოვებას), „საზრდელის მორეწას“, „მოწყალების  
მორეწას“, ან, ლიტონი სიტყვით, „მორეწას“, ხოლო ეს  
იგივე „კალმასობა“ იყო.

<sup>1</sup> გიორგი მერჩული Житие св. Григория Ханлавтий-  
ского. Грузинский текст. Введение, издание, перевод Н. Марра.  
С дневником поездки в Шавшию и Клардзию, т. 9, гл. 14;  
თარგმ., гл. 93 = Тексты и разыскания по армяно-грузинской  
филологии, ф. VII, б.-38., 1911.

<sup>2</sup> კალმასობა, ტ. I (1936), გვ. I-II.

<sup>3</sup> გიორგი მერჩული, გვ. ნა (=51).

საქართველოს ადრინდელ ძეგლებში გამოსჭვიფის  
მოვლენები, მსგავსი ხანძთის პრაქტიკიდან გოყვანილი  
ფაქტისა. შავრამ წინამდებარე ნარკვევში მკითხველის  
უურადღებას ვაჩერებთ უპირატესად XVIII—XIX საუ-  
კუნეთაგან ნაანდერძევ მასალაზე.

### III

საშოვარზე სიარულს, როგორც ეს ნათლად ჩანს  
საბუთებშიც, მონასტრისათვის ცოტა მნიშვნელობა არ  
ჰქონია: მონასტრებს ხშირად, ჰგავს, წლის სარჩოს  
„მორეწვაც“ ელოდა. ამიტომ კალმასობის ჩატა-  
რების „კამპანიაში“ ხშირად მეფესაც მიუღია მონაწი-  
ლეობა, მაგალითად, ერეკლე მეორეს, და არა მხო-  
ლოდ მონასტრის წინამძღვრობას.

კალმასობის ნაყოფიერად ჩასატარებელი საორ-  
განიზაციო ღონისძიებები ზოგადად ასე წარმოგვიდგება:

მონასტრის წინამძღვარი, რა დადგებოდა სეზონი,  
თავის ხელქვევთ ბერთაგან გამოყოფდა მეკალმასეებად  
ორს თუ მეტ პირს. ბუნებრივია, უნდა შეერჩიათ მუხლ-  
მაგარი, ღონიერი („შემძლებელი“) ჭაბუკი ბერები, რათა  
ამათ შესძლებოდათ დაულალავად ჩამოვლა სოფლებისა,  
მდიდარი ფეოდალების სასახლეებისა, რომელთაგან ბევრი  
ძნელი მისასვლელი უნდა ყოფილიყო მთის კალთებზე  
და ხევებში, მეტადრე, თუ მეკალმასეებს გზაში სიცხვ  
ან ავდარიც მოუსწრებდათ, გინა ღამის სიბნელე. ღონე  
იყო საჭირო ნაშოვარის („მონარეწის“) საზიდავად, და  
ა. შ. სათვალავში იყო მიღებული გზაზე მოსალოდნელი  
უათერაკებიც, ავაზაკთა თავდასხმა, იმ შიშიანობაში  
„ქურდი ლექების“ შემოტევა.

თუ საჭმე ეხებოდა წლის სარჩოს მორეწა-მოზიდ-  
ვას, ცხადია, „სარონინო“ გზებიც დაგრძელდებოდა,  
საქართველოს მეტი და მეტი კუთხე უნდა მოვლილიყო.

ბერებს არ შეეძლოთ საძნელო გზების ხელალებით შემოკლება. „საკალმასოდ მოვჰური ბერი,—ვკითხულობთ ერთგ. ნ.—ისე როდი ივლის, რომ შიგადაშივ სოფლებს გაუშვებს ისე, რომ შიგ არ შეიიროს და ჭირნასული არ მოაგროვოს... პირიქით, არც ერთს სოფელს არ გაუშვებდენ, ჯერ ერთს აღგილის შეაგროვებ[დენ] და დააბინავებდენ და შემდეგ ისევ განაგრძობდენ გზას“<sup>1</sup>.

ამიტომ საჭირო ხდებოდა მეცალმასეთა ცხენებზე შესმაც. ცხენები-კი ჩვეულებრივ სამონასტრო სოფლებს უნდა მიეცათ. საკალმასოდ გამოყოფილი ბერები მონასტრის ყმებს უნდა მოემარაგებინათ ყოველივე „საჭირო ნივთით“, გზაში „სახმარი იარაღით“: აღბათ ჩურჯინებით, საწვიმრებით, მათრახითა და სხვ. საბიუათო გზებზე, სადაც ავაზაკების თავდასხმა იყო მოსალოდნელი. უნდა გაეცილებინათ კიდეც, და ა. შ.

მეკალმასეებს ხშირად თან მიჰყებოდათ სარეკონენდაციო და საშუამდგომლო ბარათები ავტორიტეტული პირებისაგან, რათა საშოვარზე წასულებს დამხვდურნი შესწეოდენ საქმის კარგად შესრულებაში. მსგავსი მოვლენა ჩანს ითანე ზაგრატიონის „კალმასობაშიც“ (ტ. I, გვ. 221). სადაც მოხსენებულია „წიგნი“ ანტალის ეპისკოპოსისაგან მიწერილი მისხანას ემინჩიბაში იმის თაობაზე, რომ ემინჩიბაში მეკალმასე ბერს, ითანეს, „ბერძნებში შესწეოდა საჩუქრისაოვის“.

კალმასობის დროს ზოგგან წესად ჰქონიათ ჯვარის ტარება კრიზას. შემოქმედის მონასტერში (გურია) დაცული ყოფილი „მასიური ჯვარი, რომელსაც ხელით დატარებდა ჯვარ-მტვირთველი, როდესაც ის ჩამოივლიდა ყოველწლიური შემწე-

<sup>1</sup> გ. ჯავახიშვილი, კალმასობა (თბილისი, 1933), გვ. 30. შემოქმედი (ლითოგრაფიული და გამოცემული) შეიცავს ითანე ბაზრატიონის „კალმასობის“ კრიტიკულ განხილვას და მისი შინაარსის გადმოცემას.

ობის „შესაკრებად ექლესიის სასარვებლოდ“. ამ ჯვრის აღწერილობა ეკუთვნის დიმ. ბაქრაძეს<sup>1</sup>.

ამას დავსძინოთ, რომ „საზრდელის“ (პურ-ლვინის) უზრუნველყოფის გარდა, საკალმასო შემოსავალს რამდენადმე უნდა დაეფარა მონასტრის სხვა, სამნეო, ხარჯებიც, სულ ერთია, საქმე ეხებოდა გვლესის შეკეთებას თუ იხლად მის ავებას, თუ სხვა საჭიროებას. ითანება გრიგორი ტიონის „კალმასობა“-ში (იგივე, გვ. 247) ერთერთი მოქმედი პირი („გვერდწითელის დედა“) მწარე ენით მიმართავს მეკალმასე ბერს, ითანეს: „ხალხს ატყუებდა ართმევ [შესაწიროებს], რომ საყდარს ვაკეთებო“. ბერთ

ჩვენამდე მოულწევია დოკუმენტალურ მოწოდებსაც, რომელიც შუქს ჰეთენენ ამ საქმეს. მათვან ჩვენთვის უშუალო ინტერესს წარმოადგენს ნინოწმინდის (საგარეჯოს რ.) სამრტოოპოლიტო საყდრის გუჯარი (1789 წ.), საიდანაც ირკვევა, რომ მეფე ერეკლე და კაიოლიკოსი ანტონი II ერთპრიად ავალებენ ნინოწმინდელს, ესე იგი ნინოწმინდის მიტროპოლიტს, ითანეს, რათა დავით გარეჯის მონასტერი „უსაზრდელოდ არ დარჩეს“, ამისათვის ითანებ გამოიჩინოს ბეჯითობა და მოაწყოს კალმასობა. სათანადო ადგილი გუჯრისა დალადებს შემდეგს:

„ახლა ამ ხელად ამაზე თქვენ [= ნინოწმინდელო] ბეჯითი უნდა იყვნეთ, — სწერს მეფე თავისი და ანტონის სახელით ივნისის 28-ს, — რომ თავის დროზე, როცა დაბირების დრო იყოს [წაიკითხე: როცა მოსავლის აღება დაიწყება სოფლებში, და ამიტომ საშოგარზე გასაგზავნო ბერების გამოძახება გახდება საჭირო მონასტრიდან], ორი კარგი შემძლებელი ბერი [იგულისხმებიან გარეჯის მონასტრის ბერთავანნი] ამთარჩიეთ მონასტრისად [= მო-

<sup>1</sup> დიმ. ბაქრაძე, არქეოლ. путеш. по Гурии и Аджаре (სამ., 1878), გვ. 127 (10).

ნასტრის სახელით სამოქმედოდ], სოფლიდამ [იგულისხმება ნინოწმინდა] ცხენები და კაცები უბოძეთ [წაიკითხე: გაუგზავნეთ გარეჯის მონასტერში] და გამოიყვანეთ [ის ბერები იმ მონასტრიდან]. მშვიდობით გამოიყვანონ, გზაზე [გარეჯიდან ნინოწმინდამდე] არა წაეკიდოსთ რა [ლეკოაგან], და მანდ [=ნინოწმინდას] რომ მივიდენ, მონასტერის ყმანი კარგათ შეეწივნენ ცხენია და კაცით და, რომელიც საჭირო ნივთი არის იმათ შესაწევნელი, ყველა გზა უყონ [=დაუთმონ], და ის ღირსნი [ორნი] ძმანი, რომელნიც გამოვიდნენ, სულიერის მომჭირნეობით<sup>1</sup> დიდად ბეჯითნი იყვნენ და გაისარჯენ, რომ წლის საზრდელი მოირეწონა და შეპკრიბონ მონასტრისაოვის, თქვენც ბეჯითი ბრძანდებოდეთ, და იმათი ყოვლად სამღვდელოება ბოდბელი ცირილე? კულავაც შემწე ყოფილა და ეხლაც შეეწევა“<sup>2</sup>.

კალმასობაში მსგავსი მონაწილეობა მეცეთათვის მეტად ბუნებრივი მოვლენა უნდა ყოფილიყო. შეიძლება, ვიფიქროთ, რომ ხშირად მათვე ეკუთვნოდათ საქმის ინიციატივა, და იქნებ ისიც მომხდარიყოს, რომ მათ, მონასტრების წინამდვრებსავით, საკუთარ მეურნეობაშიც გამოეყენებით საკალმასო ჩვეულება. ყოველ შემთხვევაში, დამაფიქრებელია ამ მხრივ იმერთა მეფის ბაგრატის (1510-1565) მიერ გელათის სასარგებლოდ გაცემული სიგელი (1519 წ.), რომლის ერთიანდგილი ასე იკითხება:

„ვინებეთ სოფლისა აღშენება,—ღალადებს საბუთი, —რომელ არს ბალახუანი და მოვიღეთ პური საბრძანებე-

<sup>1</sup> „მომჭირნე—მრავლად გამრჯელი“ (ს.-ს. ორ ბელიანი).

<sup>2</sup> იხ: ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები. შეკრებილი თ. უორდანიას მიერ (ფოთი, 1903), გვ. 268 და 269.

ლისა ჩუენიდალმა [=ჩუენიდან], კახეთით, სამცხით და ოდიშით და ალვაშენეთ ზიღსა შიმშილობაშიგან, ამისთვის [ვ]უწოდეთ ნების-სოფელი და შევსწირეთ მონასტერსა გენათისასა“<sup>1</sup>.

წანაკითხში სპეციალურ ინტერესს შეიცავს კლაუნული — „მოვიღეთ პური საბრძანებელისა ჩუენიდალმა...“. როგორც ჩვეულებრივ სხვა საბუთებშიც, არც აქაა „კალმასობა“ მოხსენებული. მაგრამ სავარაუდებელია, რომ პური სწორედ კალმასობის წესით იყო იმ „დიღსა შიმშილობაშიგან“ მოშოებული, მით უფრო, რაკი ის შეუკრებიათ ბაგრატის „საბრძანებელს“ (=იმერეთის სამეფოს) გარეთაც, სიგლის მიხედვით, სახელდობრ „კახეთით, სამცხით და ოდიშით“<sup>2</sup>. მაშასადამე, თუ ძნელად საჭირებელ სყიდვას არ ჰქონია ადგილი, დარჩებოდა პურის შოვნის ერთი ნაცადი გზა — შეწირულების აკრეფა, იგივე კალმასობა, მით უმეტეს ბუნებრივი, რომ, საბუთის ჩვენებით, ნაკალმასევი პური განკუთვნილი ყოფილა მონასტრისათვის შესაწირავი სოფლის ასაშენებლად. იქნებ, შეფეხ სწორედ გელათელი ბერები დაგზავნა სიგელში ჩამოთვლილ კუთხეებში საკალმასოდ.

კალმასობის საქმეებში, ბუნებრივია, წილი ედოთ ერეკლეს ოჯახის წევრებსაც, კერძოდ, მის მემკვიდრეს უფლისწულ გიორგის (1798 წლიდან გიორგი XII-დცნობილს), ამ გიორგის რძალს ქეთევანს, და ა. შ. გიორგი 1782 წ. ივნისის 14-ს წინადაღიერას აძლევს

<sup>1</sup> თ. ქორდანია, ქრონიკები, II, გვ. 341.

<sup>2</sup> სიგლის გაცემის წელიწადს, სამცხეს რომ თავი დავანებოთ (ის ბაგრატმა შეიერთა ერთი ხნის 1535 წ.), მეფე, ჰერიკ მიმართაც ვერ გრძნობდა თავს უფლად და მბრძანებლად.

გარეჯის მონასტრის არქიმანდრიტს, თომას: „მთხოვნელი ბერნი წამოიყვანეს, — სწერს იგი თომას, — რომე მონასტრისათვის ითხოვონ [პურ-ღვინო] და ან [თუ: აქ?] იშოვნიან რასმე...“<sup>2</sup>

კიდევ უფრო საგულისხმოა საბუთი 1802 წლისა: აქ ჩანს, რომ ანალოგიურ შემთხვევაში, როდესაც შიომღვიმის მონასტრის არქიმანდრიტი და „ძმათა სავსება“ (ბერების კრებული) აწყობენ „მორეწასა პურისასა“, ისინი კალმასობის ჩასატარებლად შემშეობისათვის წერილობით მიმართავენ ითანე გიორგის ძის, შემდეგში „კალმასობის“ ავტორის, ცოლს და, მაშასადამე, გიორგი XII მეფის „სძალს“ ქეთივან დედოფალს. წერილში პირველ სტრიქონებს, ლოცვა-კურთხევის შემცველს, მოსდევს შემდეგი: „უგანათლებულესო მეფის სძალო, ქრისტეს მეტ გიხაროდენ, ვინადგან სასომან შენმან წმიდამან მონასტერმა იწყენ განათლებად და ოლორძინებად, რომელსა შვა [=შინა] ძმათა სიმრავლე დაემკვიდრება მარად მლოცველად ოჯახისა თქვენისა; უმოწყალესო ხელვწიუა, ვანადგან აღზითვე სწყალობდი სასოსა ამას შენსა მონასტერსა, რომელსაც ჰქადაგებენ ნაქმნი თქვენნი, აშ გთხოვთ მონასტერიცა და ჩვენიცა სიგლახაკე [არქიმანდრიტი] ახალსა მოწყალებასა. ესე არს დრო მოწყალებისა, მევას სძალო: ნუ

<sup>1</sup> გეოგრაფიული კუთხე, სადაც უნდა „წამოეყანათ“ ეს ტერიტორი, შეიძლებოდა ყოფილიყო ქსნის საერისთოც, თიანეთიც, აღ-ჯაყალაც, ლორე-ბამბაკიც, რამდენადაც გიორგის ერთანან აქ ჰქონდა მიჩემებული, ვით მეუის ძეს, საკატანო უფლებები (იხ. სა ი გ ი ს კაკაბაძე, საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა. აბალისი, 1922, გვ. 235). სწვა საქმეა, რომ მის მიმართვაში თოშასადმი შეიძლება იგულისხმებოდეს ქართლ-კახეთის, ერეკლეს სამეფოს, სწვა რომელიგინდა კუთხეც.

<sup>2</sup> თ უორდანა, ქართლ-კახეთის მონასტერების... საბჭაბები, გვ. 145.

ჩვენთვის, [არამედ] უფროსღა სახელისა თქვენისათვის ჰყავ მოწყალება სამლოცველოდ მეფის ძის ოთხეს და და სადღეგრძელოდ ბატონისშვილის [=იოანეს ძის] გრიგოლისად. ცხენისა მოწყალებასა<sup>1</sup> გვედრებით, ცხენის ბოძებასა გთხოვთ, რომელიცა ამეამად ფრიად საჭიროდ გვესახმარება მორეწასა პურისასა... რომლისათვისაც გაახელით ბერი მონასტრისა, იეროდიაკვანი, ძმა ჩვენი სერიაპიონ, და მქონებელი მათის უწმიდესობის [=კათოლიკოსი ანტონი II-ის] მოწყალებისა წერილისა“, და ა. შ.

ბოლოს მოსდევს ტრადიციული ხელჩოთულობა: „დავშთებით ჩვ. ნ და მონასტერი ჩვენი საუკუნოდ მლოცველად ქრისტეს მოყვარე<sup>2</sup> გვამისა თქვენისა [=ქეთევანისა], მეფის ძის ოთხეს და საყვარელისა ძისა თქვენისა გრიგოლისა. 1802“<sup>3</sup>.

მოყვანილი წერილიდან, შევნიშნოთ სხვათა შორის, ისიც ირკვევა, რომ ჯერ არს იოთხე ბაგრატიონის ბიოგრაფიაში გათვალისწინებულ იქნეს ერთი გარემოება, მქონე გარკვეული მნიშვნელობისა მისი მწიგნობრული შემოქმედების შესაფასებლად: სახელდობრ, რომ იოთხეს უკვე თავის მშობლიურ ოჯახში უნდა გაეცნო „კალმასობის“ საქმე, ხოლო ეს გარემოება, თავის მწრივ, ნათელჲყოფს, თუ რა ბუნებრივი იყო მისთვის—თავის ენციკლოპედიაში „კალმასობის“ ფორმა და ელემენტები შეეტანა.

<sup>1</sup> ტ-ტში: მოწყალებისა.

<sup>2</sup> ტ-ტში: მოვვარე.

<sup>3</sup> ა. ხახაშვილი, გუჯრები, ქუთაისი, 1891, გვ. 76-78.—ბახანაშვილს აქ მოხსენებული ქეთევანი შეცდომით წარმოუდგენია მისი მამამთილის, გიორგი XII-ის, ცოლად (იხ. იქვე, გვ. 78, შენ. 1), ქეთევანი, გიორგის I-ლი ცოლი, გარდაიცვალა 1782 წ.

იოანე ბაგრატიონი მცოდნე იყო ზოგიერთი თანამედროვის სამეკალმასო თავგადასავალისა. თავის „კალმასობა“-ში, იმ ნაწილში, საღაც ბიოგრაფიული წესით წარმოდგენილი არიან საქართველოს „ღირსნი კაცი და მეცნიერნი“<sup>1</sup>, აღწერს, რომ ერთხელ მონასტერს, უნდა ვიტიქროთ, დავით გარეჯისას, საკალმასოდ გაუგზავნია ახალგაზრდა ბერი გერმანე, შემდეგში დავით გარეჯის წინამძღვარი და ერეკლე II-ის მიერ ტფილელად, ანუ თბილისის მიტროპოლიტად, დადგენილი, ცნობილი, როგორც „უცხო დიალიკტიკოსი“. ავტორის სიტყვით, ის წარმოგზავნეს მონასტრის<sup>2</sup> ძმათა სოფელსა შინა შოსარეწველად მოწყალებისათვის ერთაგან [=მოსახლეებისგან]. გერმანე, სიყრმითვე მონასტრის ქედლებში დაბინავებული, ამ შემთხვევას პირველად გამოუყვანია მონასტრის გარეთ, და საკალმასოდ ჩამოსულს სოფლად, პირველად აქ უნახავს თავისი თვალით ქალები, ქალის სახე. ის გაუკვირვებია ამ „სანახაობას“ და უკითხავს, თუ „ვინა არიან ესენი“-ო.<sup>3</sup>

ქვევით მკითხველს ეუწყება, რომ ამავე გერმანეს დავით-გარეჯის წინამძღვრობაშიც გაუწევია შეკალმასეობა.

მსგავსად ამისა, ბერი სერაპიონიც, ტომითიმერული, ერეკლე II-ის მიერ ნათლისმცემელის [გარეჯის] მონასტრის წინამძღვრად განწესებული, ერთხელ თურმე საკალმასოდვე წასულა, „უდაბნოსა [=მო-

<sup>1</sup> იხ. „კალმასობა“, ტ. II, კ. კეცელიძის და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1948, გვ. 161 და შდგ; იხ. აგრეთვე ე. თაყაი შვილის გამოცემული „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“=ძველი საქართველო, ტ. 1 (თბილისი, 1909), განკ. III.

<sup>2</sup> „კალმასობა“-ში (ტ. II, 196) შეცდომით იკითხება: „მონასტერს“.

<sup>3</sup> „მცირე უწყ.“, გვ. 36-37 = „კალმასობა“, იქნ.

ნასტრის] საქმეებისათვის წარვიდა სოფელსა შინა  
მოსარეწველად ორისა თვისისა დიაკვნებითა“. გზაშე მას ფათერაკიც შეხვედრია, თავს დასხმიან ლე-  
კები და წაურომევიათ მისთვის ერთი დიაკონი, მაგ-  
რამ გაბედულ სერაპიონს უხსნია დიაკონი. „მაშინ სერა-  
პიონ, — ვკითხულობთ მის შესახებ, — გამოისახა ჯვარი  
და შეუტის [ლეკებს], ყავარჯნისა ხელში მპყრობელმან:  
და ღდეს ვის გარდაუქნევდის [ყავარჯენს], ივლტოდენ  
ჰირისაგან მისისა“<sup>1</sup>.

ძველ მოლვაწეთაგან შეკალპისეობა გაუწევია დავით  
გარეჯის მონასტრის ბერს ონოფრე ჭარუმიძესაც  
(ვარდ. 1786), სახელდობრ ამავე მონასტრის არქიმანდ-  
რიტის გერმანეს (1769-1782) წინამძღვრობაში<sup>2</sup> და  
მასთან ერთადაც:

„არხიმანდრიტი [გერმანე], — იკითხება ონოფრის  
„ცხოვრებაში“, — ხედვიდა რა ძმათა ნაკლულევანიდ საზრ-  
დელისაგან, და პრეზა ონოფრის: სულიერო შვილო ჩემო,  
სიყვარულისათვის ძმათასა წარვედ ქვეყნად. ჭართლისა და  
იღვაწე საზრდო, რათა მიიღო გვირგვინი უოხჭო  
[= უბოლოო] მორჩილებისა, და მეცა წარვიდე  
სხვით კერძო და, რაოდენ ძალმეღვას, მოვირეწო.  
— დაღაცათუ მძიმე უჩნდა განსვლა მონასტრით ონოფ-  
რის, ად [= არამედ] ერჩდა ბრძანება მაშისა, რ [=  
რამეთუ, რადგან] აქუნდაცა ფრიადი მოწყალება [და].

<sup>1</sup> იგივე, გვ. 208—209 = მც. უწყ., გვ. 59.

<sup>2</sup> „ცხოვრება და მოქალაქობა... სქემოსან ონისიფორესი“. იხ. საქ. მუხ. H. 436, ფ. 24-27.—ამ ძეგლს ჩვენ გაგვაცნო ისტორიის  
ინტიმულის მეცნ. მ. ბაბილინა ლომინაძემ. რაც შეეხება აქ  
მოხსენებულ ონოფრეს, მის ბიოგრაფიიდან რამდენიმე ფაქტი  
ცნობილია დაბეჭდილი მასალების მიხედვითაც. იხ. მც. უწყება  
ჭართველთა მწერალთათვის, გვ. 59 (129) = კულმასობა, II (თბ. 1948),  
გვ. 210.

ლმობიერება ძმათა შრთ [=მიმართ], და ჰყვეს ამბორის ყოფად და განვიდეს ორნივე ზოგად [=ერთად]. ხ' [=ხოლო] არხიმანდრიტი წარემართა კერძოთა კახეთისათა<sup>1</sup>, და ონოფრი ქვეყნად ქართლისა.

მოვლიდა [ონოფრი] დაბნებსა და კალოთა ზა [=ზედა] იფქლსა [=ხორბალსა] ითხოვდა მოწყალებად მტვირთველი ვაშკარანისა [=ტომრისა].

ეპა, კაცი ესე, უფსკრულსა სიმღაბლისასა მიწევნილი, რ' [=რამეთუ] სადაცა პლ [=პირველ] დიდებულ იყო<sup>2</sup>, აშ სიგლახაკით იხილვების, მთხოველ პურისა! ხ' [=ხოლო] მხილველნი მისნი ოხრიდეს და მკერდსა იცემდეს, მეტყველნი: ნამდვილვე ესე მიიტაცებს სასუფეველსა, რი [=რომელი] განუმზადა ლნ [=ლმერთმან] მოყვარეთა თვისთა“. ცხინვალში კალმასობის შემდეგ, ონოფრე „მოიწია მონასტერსა, — განაგრძობს მისი ბიოგრაფი, — და მოართვა ძმათა სახმარი და საჭირო საზრდელი სავსებით, რლ [=რომელ] სამსა და ოთხსა წელსა კმა საყოფელ იყო...“

საფიქრებელია, რომ მეკალმასეობის „რიგი“ შეუსრულებია XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე ასე იესეს ძესაც, რომელიც მისი შვილის, ცნობილი იესეს მიერ დახასიათებულია, ვით „მღუდელი [თბილისის] წმიდისა სიონისა ეკლესიისა, დიდად მეცნიერი საღუთის-

<sup>1</sup> ზემოთ მკითხველს ეუწყა, რომ არქიმანდრიტ გერმანეს სიჭაბუკეშიც გაუწევია მეკალმასეობა.

<sup>2</sup> ონოფრე, მისი „ცხოვრების“ თანახმად, ბერად აღვევცამდე ყოფილა „ქართლელი აზნაური“, სახელად — ოთარი. ჩვენის მხრივ, ამ ცნობას დავსძენთ, რომ იოანე ბაგრატი იონის მიხედვით (იხ. „მცირე უწყება“, გვ. 52), ონოფრე „იყო ერისკაცობასა შინა სამხედრო საქმისა მოყვარული“.

მეტყველოთა წიგნთა და ეგრეთვე საფილასოფოსოთაცა,  
გარნა... „, და სხვ<sup>1</sup>.

ისეს მოწმობით, მამა-მისი ოსე 1741—1742 წ.  
„იმერეთს წავიდა სათხოვნელად“<sup>2</sup>. ასე „სათ-  
ხოვნ\_ლად“ წასვლის მიზეზი ყოფილა ოსეს უკარი და-  
ვალიანება და ამის შედეგად მის კარჩე მომდგარი დიდი  
ნივთიერი გაჭივრება. ვით სახლთუხუცესი სატფილელოსა<sup>3</sup>,  
ოსე მოვალე იყო სათანადო დასტური მიელო. თბილელი-  
საგან, თბილელი ათანასისაგან, და ამანაც თურმე „წასვ-  
ლაზე შენდობა... მისცა“<sup>4</sup>.

გამგზავრებული თბილისის სიონიდან, „მივიდა საწ-  
ყალობელი [ოსე] იმერეთს“. მაგრამ იმ დროს იმერეთს  
თავისი გაჭივრებაც დიდი ჰქონდა და, მაშასადამე, შემ-  
წეობის საძებრად იქ ჩასული ოსე „თხოვნით მაგდენს რას  
იშოვიდა იმერეთს. [ამიტომ],—განაგრძობს ავტორი,—  
საბერძნეთში დაპირა [საშოვარზე] წასვლა“. საბედნიე-  
როდ მისდა, ოსეს გამოუჩნდა მოკეთე „ნათლია“, რო-  
მელმაც წარუდგინა ის იმერეთ-აფხაზეთის კათოლიკოსს,  
ბესარიონს, უხვი რეკომენდაციით. კათოლიკოსიც, დღე-  
თა განმავლობაში, პირადად დარწმუნდა, რომ ოსე ლირსი  
იყო ხელის გამართვისა, მოიწონა სტუმრის „ქცევა,  
ცოდნა, ზღილობა, მდივნობა და წერა ორისავე წელისა  
[= ხუცურისა და მხედრულისა]. აღვა და უთხრა: არც  
ზენ დაგვარგავ და არც შენს ცოლსა და შვილსაო [წაი-

<sup>1</sup> იჩ. სარგის კაკაბაძე, თავგადასავალი რესე ოსეს  
შვილისა (თბ., 1913), გვ. 5.—საქ. მეცნ. აკადემიის აკად. ივ. ჯავა-  
ხიშვილის სახელობის ინსტიტუტი ამჟამად ბეჭდავს ამ „თავგადა-  
სავალი“-ს განახლებულ ტექსტს.

<sup>2</sup> იგივე, გვ. 9.

<sup>3</sup> იგივე, გვ. 6.

<sup>4</sup> იგივე, გვ. 9.

კითხები: შენ და შენს ოჯახს არ დავაღუპინებ შენს მევაბშეებსო]. მისცა [წყალობად] ორასი ფ[ლ]ური [„ცხენი“ და ერთ ხელად ასე [დასაჩუქრებული] გამოისტუმრა და [თანაც] წიგნი მოსწერა ქართველთა [=ქართლელებს]“. ჩვენ მიერ აქ აღდგენილი ნუმიზმატიკური ერთეული, „ფლური“, რომელიც ტრიალებდა დასავლეთ-აღმოსავლეთის ბაზრებზე სხვადასხვა სახელშოდებით, რა თქმა უნდა, საქართველოშიც ბრუნავდა. თვით ჩვენს წყაროში („თავგადასავალი იესე ასეს შვილისა“) სხვაგანაც იხსენება „ფლურები“ (მაგალ., გვ. 20), რომელიც იესე ასეს შვილის კაპიტალს შეადგენდენ<sup>2</sup>.

რაც შეეხება კათოლიკოსის მიერ ცხენის ბოძებას, ასესოფერის ესეც დიდი წყალობა იყო. მისი შვილის „თავგადასავალში“ (გვ. 14) საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ ვალებში ჩაგარდნილს ასეს ოჯახს არაფერი შერჩენია „არა გვყავს ცხენი, არა გვყავს ჯარი“-ო. საერთოდ, მეკალმასეების პრაქტიკიდან ვიცით, რომ უფრო უხვ მწყალობელთაგან მათ აქა-იქ მიუღიათ საჩუქრად მსხვილი ოთხფეხიც<sup>3</sup>, სახედარიც<sup>4</sup>. ალბათ ქეთევან დედოფალმა მეკალმასეებს, მათი ოთხვენის თანახმად, უძლვნა ცხენიც (იხ. ზემოთ, გვ. 18—19).

<sup>1</sup> იხ. იგივე, გვ. 10, საღაც, ჭვეველია, შეცდომით იკითხება: „მისცა ორასი ფური ცხენი“. ასევე შეცდომით იკითხება ეს სიტყვები ტექსტის ადრანდელ გამოცემაშიც (იხ. უურ. „ცისკარი“, 1871 წ., XI, გვ. 744). აგრეთვე ხელნაწერშიც № 1770 A (საქ. მუზ.), გვ. 11.

<sup>2</sup> ფლური—იტალ. „ფლორინო“, ფლორინიული წარშოშაბის ოქროს მონეტის სახელია, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფასობის აღმნიშვნელი. მაგალ., თბილისში 1748 წ. „სპარსელების მიერ მოჭრილი [ოქროს] ფლური ვერცხლის ფულად ნაანგარიშევი 30 შაურდანი, ანუ  $7\frac{1}{2}$  აბაზიანი ყოფილა“. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული.. ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, თბ., 1925, გვ. 54.

<sup>3</sup> იხ. ქვემოთ, გვ. 30.

<sup>4</sup> კალმას., ტ. I, გვ. 218.

ოსე მღვდელს პირველ ჩასვლაზე იმერეთს დაუყვიდა  
ოცი თვე<sup>1</sup>. მას კვლავაც უცდია სამეკალმასო ბედი. 1744  
წელს მან ისევ „დაიწყო სიარული [საშოგარზე]  
და იმერეთს წავიდა“<sup>2</sup>. უნდა ვიფიქროთ, ამ მეორედ  
იქ ჩასვლისთანავე ის ისევ კათოლიკოზ ბესარიონის ეწვია  
და მისგან ახლაც მიიღო საჩუქარი. მართლაც, „თავ-  
გადასავალის“ იმ აბზაცში, სადაც აღნიშნულია ოსეს იქ  
პირველი დასაჩუქრების ამბავი, ჩვენ ვკითხულობთ  
შემდეგს: „მეორედ კიდევ,—წერს იესე, —რაც დარჩა [კა-  
თოლიკოსს ასესთვის დაპირებულის ანგარიშში] მისაცე-  
შელი], ისიც მოსცა და გარდასწყვიტა“-ო. ჩანს, ნაბოძები  
ორასი ფლური, რა ფასისაც არ უნდა ყოფილიყო ის  
კათოლიკოსს ერთად ვერ გაუცია, არამედ ორ ხელშე,  
მიუთვლია ოსესთვის. ოსეს მაგალითი, როგორც ზურაბა  
ლამბაჩაშვილის მაგალითიც<sup>3</sup>, მოწმობს, რომ სამეკალ-  
მასონ პრაქტიკაში ინდივიდუალური ხასიათის ჩამოთხოვა-  
ჩამორბენაც ყოფილა მიღებული.

ბუნებრივი იქნებოდა გვეფიქრა, რომ იერომონანი  
იონა ხელაშვილიც (1775<sup>4</sup>-1837), ენციკლოპედიისტი  
თავისი დროისა, სიჭაბუკეში უნდა ყოფილიყო მეკალმა-  
სედ ნატარები. „ესერა უამსა ჭაბუკობისა ჩემისასა,—  
წერს ის ერთგან—მოვ[ვ]ლე კახეთი, ჭართლი და სომხითი

<sup>1</sup> თავგადასავალი, გვ. 10.

იგივე, გვ. 15

<sup>2</sup> იხ. ქვემოთ, გვ. 67.

<sup>3</sup> იონას დაბადების თარიღის (1775 წ.) შესახებ იხ. გიორგი  
ლეონიძე, იონა ხელაშვილი. გამ. „ლიტერატურული საქართვე-  
ლო“, № 5 (60), 22. II. 38. შდრ. ს. ტუციშვილი, ცოლო-  
მონ დოდაშვილის წერილები=მასალები საქართველოსა და  
ჭაბუკასის ისტორიისათვის, 1944, ნაკვ. II, გვ. 51—52.

წიგნთა სწავლებისათვის<sup>1-ო.</sup> აქ იონა თავის  
მკითხველებს აუწყებს ერთ საგულისხმო გარემოებას:  
წიგნის ოსტატის, საფასურის მხრივ ხელსაწვდომი მა-  
სწავლებლის ძებნაში მას, გლეხის ბიჭს, სწავლის  
მწყურვალს, მოუხდა რამდენიმე მონასტრის სამძიმო მოვ-  
ლა-მორბენა, იქ მოჯამაგირობა („მორჩილობა“) და ამ-  
ზენადვე უთუოდ მეკალ მასობაც. „წინამორბედის“,  
ანუ გარეჯის ნათლისმცემლის, მონასტრის წინამძღვარშა-  
ეფთიმემ, ანტონი II კათოლიკოსის რეკომენდაციით,  
მიმიღოო,—წერს იონა,—„სამთხუც ღდენ პეიმაჩითა  
მით, რათამცა წლისა საზრდო ყოველივე შემერ-  
თმია მონასტერისათვს, გარნა მე,—განაგრძობს ავტო-  
რი,—[მოსახლეების] დიდ-ფრიადისა შკდოვანე-  
ბისა-გამო [=სილატაკისა მიზეზით] ვერ [ვ]უძლე [მო-  
ნასტრისა] ძმათა[თვის] ჭამადისა მოღება, მჭი-  
სიყით“ („რონინი“, გვ. 45). მაშასადამე, ირკვევა, რომ  
ეფთვიმე წინამძღვარს ჭაბუკი ხელაშვილისათვის მონა-  
სტერში მისაღებად და სწავლის მისაცემად პირობა („პე-  
იმანი“) დაუდებინებია: ხელაშვილს მონასტერში, სამი თვის  
ვადაში, უნდა შეეზიდა („შეერთმია“), ცხადია, კალმა-  
სობა-ჩამოთხოვის წესით შეკრებილი, წლის სარ-  
ჩო „ძმათა“ დასარჩენად. საკალმასოდ ის მიუვლენიათ  
ჭიშიყს, ანუ—ხელაშვილისა (და სოლომონ დოდაშვილის)  
ენაზე—მჭისიყს. ეს იმიტომ, რომ იონა თვითონ ს. ვა-  
ჟირიდან (სიღნაღის რ.) იყო და, ჩანს, უფიქრით, ჭიში-  
ყი თავისიანს კალმასობაში შეეწეოდა. ხელაშვილმა ილ-  
ბათ წინასწარ იცოდა—რა ბარაქაც დახვდებოდა ჭიში-  
ყის სამოურაოში. იქ ჩასული, უნდა ვითიქროთ—არა  
ფრთვის, უკან, როგორც იტყვიან, „პირში ჩალაგამოვ-  
ლებული“ ბრუნდება ჩვენი წყურიელი, ტიკით დაფუშუ-

<sup>1</sup> საქ. მუხ. ხწ. № 288: 5, გვ. 126 [= „რონინი“].

ლით, ტომრით ცალიერით. ასე „პეიმანის“ შემლისათვის ის, მეოთხე თვეზე, კიდეც გამოისტუმრეს თურმე მონასტრიდან (იქვე). — სიტყვამ მოიტანა, იონას უკვე „ნინველობაში“ უგემნია იმ დროის სწავლის ბძებნელობის სიძირი: ათიოდე წლითა, ის მიბარებია ერთ ვაჭირელ მღვაელს მოწაფედ „განვონებად სამღვდელო წიგნთა აღმოკითხვისა ჯმისა“, და ოსტატმა ის თურმე ყო „მწყემს უსიტყვოთა თვისთა“, დაიყენა მწყემსად, „რავდენისამე სასყიდლითა“ (იგივე, გვ. 21; იხ. ქვემოთ).

თავის მხრივ, იოანე ბაგრატიონმა, ხელაშვილის ახლო მცნობელმა, „კალმასობა“-ში მთავარ მეცალმასედ სწორედ ხელაშვილი გამოიყვანა<sup>1</sup>.

მაინცდამაინც, იონა ხელაშვილს თავის დროზე გამოუჩენია სათანადო გამოცდილება კალმასობის ჩატარების საქმეში. იონას მნიშვნელოვან ეპისტოლარულ მექვიდრეობაში დაცულია ერთი წერილი (1826 წ.), მის მიერ პეტერბურგიდან გამოგზავნილი<sup>2</sup> საქართველოში მღვდელმონაზონი გაბრიელ მაყაშვილის მისამართით. ადრესატი იყო იყალთოს ზენონ იყალთოელის (VI ს.) ლუსკუმიანი ეკლესიის მწირველი.

წერილიდან ჩანს, რომ იონა რჩევას აძლევდა ამ კახელ მღვდელმონაზონს—დასახელებული ეკლესია გადაეჭცია მონასტრიდ, ხოლო სამონასტრო მეურნეობის

<sup>1</sup> „კალმასობის“ ტექსტის საფუძველზე<sup>1</sup> შემუშავდა გარკვეული ისტორიულ-ლიტერატურული კონცეფციები. კერძოდ, იხ. გ. ლეინიძე, მგოსანი საათნავა, თბ., 1940, სკეც. გვ. 31; ლ. მელიქშვილი თბ. ეგი. იონა ხელაშვილი სომხეთში და საიათნოვა. თბ., 1936, სკეც. გვ. 127-129. აქ ავტორებს აინტერესებთ, კერძოდ, „კალმასობის“ ცნობა, რომ ხელაშვილს უმოკაზაურია სომხითსა და სომხეთშიც. ამ მხრივ მათ, მაშასადამე, მხარს უჭერს „რონინის“ მოწმობაც. — შდრ. გ. ჯავახიშვილი, კალმასობა; გვ. 31-32.

<sup>2</sup> იონა რუსეთს გაჰყვა (1805 წ.) მეფის ძეს ფარნაობს და სიკვდილამდე იქ მოღვაწეობდა.

პაზის შესაქმნელად ჩაეტარებინა კალმასობა: მოძებნეთო, წერს იონა, ორი-სამი ანუ მეტი პირი, მონაზვნობის მსურველნი, „სოფლისა და ცოდვათა დამტებელნი“, და შეუდევჭით მონასტრის შენებასო; ოღონდ შეუდევჭით არა მთავრობისგან დანიშნული როჭიკის, ჯამაგირის, იმედით, არამედ „საკუთარისა პირისა ოფლებითა“; ხარჯები უნდა ითვარებოდესო „თვისისა საკუთარისა სარეწავებთაგან“. ამის შედეგადო „სულიერისა თანა ქამიერნიცა [=ნივთიერი სიკეთე] შეგეძინებისთ, ე. ი. პურთა სასეპკვირესათა<sup>1</sup> შინაგანი კასეთისა ერნი შეგძინებენ; ეგრეთუშ ზედაშისათა ღვინოთაცა; ეგასახედუშ მატყულთა საბლარიდნელად თუ შნი გიმსხუცრ-პლებენ და [იგინივე] ყუცლთა; ხოლო ერბოთა გაბრეთი კასეთი და უმეტეს ჭიჭიყი. ეგრეთუშ [სხვა] საჭიროებათა—თავად, აზნაურნი და ყოველნი ცხონებისა მემკებელნი<sup>2</sup>, და ა. შ. 2.

წერილის ავტორი აქ ნამდვილად კალმასობას გულისხმობს, თუმცა მოკემულ შემთხვევაში კალმასობა დიალ არ ნიშნავს მარტო „პურის მოშოებას“, არ გულისხმობს მარტო „კალმასს“ ამ სიტყვის სპეციალური მნიშვნელობით. წერილის მიხედვით, ბერების მიერ მოსარეწ პროდუქტთა ნომენკლატურა რთულია, თონა ხელაშვილით, გაბრიელ მაყაშვილს და მის მომავალ თანამოსაგრე ბერებს სწავადასხვა კუთხეში უნდა მოეშოვნათ, გარდა პურისა, ღვინო, მატყული, ყველი და სხვ. აქ მოცემულია ერთერთი ნიმუშიც ძველი საქართველოს ეკონომიკური დარაიონებისა.

<sup>1</sup> სასეპკვირე, ცხადია, იონას ენაზე ნიშნავს სასეფისგვრეს. უმჭველია, ასე მცირეს, „პურთა [=პურს] სასეპკვირესათა“, მონასტრის ბელელი არ დასჯერდებოდა:

<sup>2</sup> საქ. მუხ., საისტ. ფ. სელნაწერი № 2226, გვ. 279.

განზრახული კალმასობით ასე ნაირნაირი პრო-  
დუქტების ჩემოთხოვა-მოშოვებას ხელაშვილი არ  
აღნიშნავს კალმას-კალმასობა სიტყვით; ის მას უწოდებს  
მუჩირობას.

დასახელებულ ბარათში ხელაშვილი აქებს თავის-  
აღრესატს, მაყაშვილს, რაკი გაუგია, რომ მაყაშვილი  
თავისი ეკლესიისათვის ზრუნავდა და იღვწოდა, იჩენდა  
„გულითადობასა“, ისე რომ ხელაშვილს ეს მისი „გული-  
თადობა“ მოაგონებდა პავლე მოციქულს: პავლეც მზრუნ-  
ველობით ჰქონდა თავის ეკლესიისათვის მორწმუნე-  
ერში საჭრებო სახსრებს, ხელაშვილის სიტყვით, მოცი-  
ქული „კეთილ-მსახურეთაგან მოიმუჩირებდა, ე. ი.  
შეჰქონდა საჭიროებათა, საჯმართა და შესამკობელსა-  
იერუსალიმისა აღდგომისა დიდისა მის ეკლესიისათვა“<sup>1</sup>.

მორიგად, ხელაშვილისათვის მომუჩირება („მო-  
იმუჩირებდა“) სინონიმია კალმასობა სიტყვისა. აკი-  
ამასვე გვიჩვენებს ჩვენ ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონიც,  
სადაც ვკითხულობთ: „მუჩირობა — ტყბილის მოშო-  
ვება (მოთხოვა B)“<sup>2</sup>, მაგრამ, იმავე ლექსიკონით, კალ-  
მასობასაც, იმავე კალმასს, „ქართულად მუჩი-  
რობა ჰქვიან“-ო. აქედან ნაწარმოები მემუჩირეც  
ახსნილია, როგორც „მეკალმასე“<sup>3</sup>.

გამოდის, რომ კალმასობა სიტყვის მნიშვნე-  
ლობა ქართული ეკლესიის პრაქტიკაში მერმის განვრ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 278.

<sup>2</sup> ქართ. ლექსიკ., ს. ۷. მუჩირობა.—ამის თანახმად იქვე  
განვარტებულია: „ვიმუჩირე—ტყბილი მოვითხოვე (ვიმუჩირე  
ტყბილი მოვიშოვე B)“. შდრ. „მუჩერი—ქარავანი ტყბილისა B“.  
(იქვე).

<sup>3</sup> იქვე, ს. ۷. მემუჩირე.

კომილა, ახალი შინაარსით ავსილა. ბუნებრივია, თუ მეკალმას ეკებს, ამ საპატიო მათხოვრებს, პურთან ერთად, ან პურის მაგიერადაც, მათი მწყალობლები სხვა მრავალი სახის საბორვარსაც აძლევდნენ. მაშასაღამე, შემთხვევით მოვლენად არ ჩაითვლება, თუ ითანე ბაგრატიონსაც, „კალმასობის“ ავტორს, ასე გინვრცობილი მნიშვნელობით ესმის ეს სიტყვა, თუ მის „კალმასობა“ ში გამოყვანილ მიღლმასევებს, პურს გარდა, დაბა-სოფლებში უწყალობებენ ათას რამეს: ლვინოს, ერბოსა და ყველს; მათ საჩუქრად აძლევენ თუ ძროხას<sup>1</sup>, თუ ფულს<sup>2</sup>, თუ საფენსა და ხალიჩას<sup>3</sup>, ზოგი—სპილენძსაც, ბრინჯასაც, წიგნსაც<sup>4</sup>, წინდა-პაჭიშვისაც<sup>5</sup>. ასევე ბუნებრივია, რომ საქართველოს ამათუიმ კუთხეში ითანე ბაგრატიონის გმირი მეკალმასევები შოულობენ უფრო იმ პროდუქტები, რომლითაც პოვნიერი იყო ეს კუთხე, მაგალითად, ლვინოს მათ აძლევენ კახეთის დაბა-სოფლებში: ხაშმები<sup>6</sup>, ახმეტას<sup>7</sup>, საბუეს<sup>8</sup>, გურჯა ნს<sup>9</sup>, ძირკოცეს<sup>10</sup>, კარდენახს<sup>11</sup>. იგივე მეკალმასე ბი შოულობენ ერბოსა და ყველს—ბორჩალოში მდებარე თაქალოს<sup>12</sup>, ყველი

<sup>1</sup> კალმასობა, I, 20, 208, 218.

<sup>2</sup> იგივე, 83. 83. 17, 54, 84, 225.

<sup>3</sup> იგივე, 83. 83. 20, 218.

<sup>4</sup> იგივე, 83. 267.

<sup>5</sup> იგივე, 83. 83. 87, 153.

<sup>6</sup> კალმას., ტ. I, 83. 67.

<sup>7</sup> იგივე, 83. 80.

<sup>8</sup> იგივე, 83. 91.

<sup>9</sup> იგივე, 83. 135.

<sup>10</sup> იგივე, 83. 138.—თვით სახელი სოფლისა „ძირკოცი“ ამ გამოცემაში შეცდომით იკითხება „გირკოკად“ (გვ. 136).

<sup>11</sup> იგივე, 152.

<sup>12</sup> იგივე, 83. 218.

ლარს<sup>1</sup>, ოგრეთვე ფშავში<sup>2</sup>, ხოლო სპილენძს იძენენ ბორჩალოშივე—მისხანას, საღაც სპილენძისა და ვერცხლის მიღწები იყო<sup>3</sup>.

მაგრამ გასარკვევია, თუ როგორ შეენაცვლა და შეესინონიმი მუჩირობა სიტყვა კალმასობა სიტყვას: კალმასობა სიტყვა. ზევით ოლნიშნულისამებრ, ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია ცნებებთან კალო და პური. ხოლო მუჩირობა სიტყვის ეტიმოლოგია კიდევ საძიებელია. ს. ორბელიანის განმარტების თანახმად, შეიძლება გვეფიქრა, რომ ამ სიტყვის ძირული მნიშვნელობაა «ღვინო», «ტყვილი», იგივე «ტკბილი». აი ლექსიკოლოგის სათანადო განმარტებები:

- 1 «მუჩირობა ტყბილის მოშოვება (მოთხოვა B)»<sup>4</sup>;
- 2 «ვიმუჩირე ტყბილი მოვითხოვე (ვიმუჩირე ტყბილი მოვიშოვე B)»<sup>5</sup>;

3 «მემუჩირე (მემუჩირე B) სთუელში ტყბილის მომშოვებელი (+ მეკალმასე A)»<sup>6</sup>.

4 «მუჩერი ქარავანი ტყბილისა B»<sup>7</sup>:

ორბელიანის ლექსიკონში არ ჩანს სავარაუდებელი მუჩირი სიტყვა, არის მხოლოდ ამ მუჩირი თუ მუჩერი სიტყვისაგან ნაწარმოები სიტყვები: მემუჩირე, მუჩირობა, ვიმუჩირე.

ჩვენის წარმოდგენით, მუჩირი ორეული უნდა იყოს მუჯირი სიტყვისა. ეს სიტყვა, ორბელიანის ლექ-

<sup>1</sup> ოგივე, გვ. 237.

<sup>2</sup> ოგივე, გვ. 63.

<sup>3</sup> ოგივე, გვ. 221.

<sup>4</sup> ქართ. ლექსიკ., ს. v. მუჩირობა.

<sup>5</sup> ოგივე, ს. v. ვიმუჩირე.

<sup>6</sup> ოგივე, ს. v. მემუჩირე.

<sup>7</sup> ოგივე, ს. v. მუჩერი.

სიკონში ცალკე გამოყოფილი, ახსნილია, ვით პურის  
მნე: «მუჯირი ხვარბლის მნე»-ო. აკად. ჰრ. აჭარი-  
ანგა ძველ ქართულში ხმარებული ეს მუჯირი<sup>1</sup>  
დაუკავშირა არაბ. მა'ჯურ (=მსახური, მოჯამაგირე).  
სიტყვას, ისევე ოოგორც ამავე არაბულ სიტყვას დაუ-  
კავშირა მან სომხურში ხმარებული იმავე მნიშვნელობის  
მუჭურ (მოადის) სიტყვაც<sup>2</sup>. მკვლევარი აქ მოულოდ-  
ნელ მოვლენად მიიჩნევს მხოლოდ არაბული სიტყვის  
(მა'ჯურ) მეღერი ჯ-ანის სომხურში ხშულ ჭ-არად  
(მუჭურ) გამოვლინებას<sup>3</sup>. ეს მითითება მეცნიერისა ჩვენ  
ბიძგს გვაძლევს, ვივარაულოთ, რომ ანალოგიური წესით  
იმავე არაბული სიტყვის (მა'ჯურ) მეღერი ჯ-ანის ყრუ  
ჩ-ინად გამოვლინებას აქვს ადგილი მუჩერი (თუ მუ-  
ჩირი) სიტყვის აღნაგობაში; თუ ამ ჯ-ანის დაცვით  
ქართულმა შემოგვინახა მუჯირი სიტყვა, ამავე ჯ-ანის  
გარევეულ ენობრივ ფენში ჩ-ინად დაყრუებაც მოხდა  
და მუჯირი-ს გვერდით წარმოდგა მუჩერი (თუ  
მუჩირი, მუჩირობა) სიტყვაც.

ამ მოსაზრების თანახმად, მუჩირი თავსდება ერთ  
ლექსიკურ ბუდეში არაბ. მა'ჯურ, სომხ. მუჭურ (=

<sup>1</sup> მუჯირი, ოოგორც გვარსახელი, ქართულში კარგად  
ცნობდება.

<sup>2</sup> აჭარიანი, სომხ. ეტიმოლ. ძირეული ლექსიკონი, ტ. 4,  
გვ. 1157, ს. v. მოადის. — მოსალოდნელი იყო, რომ ამ ლექსიკონში  
მუჯირი-მოადის სიტყვების გვერდით გამოჩენდებოდა ჩვენი-  
მუჩერი ან მუჩირი ბარამდება სიტყვაც. მაგრამ პატივცემულ ლექ-  
სიკოლოგს, შემთხვევით თუ შეგნებულად, ეს ფორმები სათანადო  
ლექსიკურ ბუდეში არ შეუტანია. მან მხოლოდ კალმას სიტყვის  
განმარტებისას აღნიშნა, რომ კალმასობა-ს ქართულში მუჩი-  
რობა ჰქვიანო (იხ. იგივე, ტ. 3, გვ. 856, ს. v. კალმას). აქ ის  
ემყარება ისევ ს. ორბელიანს.

<sup>3</sup> აჭარიანი, 4, გვ. 1157.

მსახური, ძალა) და ქართულში უშუალოდ დადასტუ-  
რებულ მუჯირი სიტყვებთან; მაშასაღამე, მუჩირი  
სიტყვის ეტიმოლოგიაც გამოავლენს ცნებას—«მსახური»,  
«მნე».

რაც შეეხება მუჯირი-მუჩირი სიტყვის სემა-  
სიოლოგიას, მას სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ვითა-  
რებაში ბუნებრივად სხვადასხვა მნიშვნელობა მისცემია:  
ამის შესაბამისად, მუჯირი, ვით თანამდებობის პირი  
(ორბელიანით, «ხვარბლის მნე»), ხევსურებში გამოდის ოო-  
გორც «ხატის მამულის მნე»<sup>1</sup>, «დასტური». ეს, ცხადია, სი-  
ტყვის კუთხური გამოყენების შედეგია. მუჯირ-ს იცნობს  
ვახტანგ მეფის «დასტურლამალიც». ოლონდ აჭ-  
ლიტონად ჩანს მხოლოდ ის ფაქტი, რომ მუჯირი  
ირიცხებოდა ამბარდანთა სათვალავსა თუ შტატში,  
ხოლო ამბარდანი იყო «სურსაოის ზედამხედავი, პრო-  
ვიანტის კომისიის უფროსი; ამბრების [=პელლების]  
ზედამხედავი» (პეტრე უმიკაშვილი)<sup>2</sup>. სომხურის მიხედ-  
ვით, მუჯირი-მუჭური უფრო მეტი ფუნქციების  
ამსრულებელი ჩანს: ის არის საერთოდ «მსახური» (წა-  
რავ), ანდა «ტნტესი» (ეკონომოსი) ან «მატაკარარი»  
(«აღმინისტრატორი», ეკონომოსი, კერძის ჩამომრივე-  
ბელი, მატაკარარი), «მარანაპეტი» («მარნის უფროსი»),  
რამელიც «ქორწილის დროს» მარანაპეტობს; ამასთან ერ-  
თად სომხურში ნაწარმოებია სიტყვებიც მუჭურაპეტი  
(«მუჯირთ თავი»), მუჭურატუნი («სამუჯირო სახლი»)<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ამაზე ჩვენ ზეპირად მიგვითითა ასპირანტმა თ. ოჩიაურმა.

<sup>2</sup> «დასტურლამალი», რედ. პ. უმიკაშვილი, თბილისი, 1886, გვ.  
71 და ზედდართული ლექსიკონი, გვ. 164, ს. ვ. ამბარდანი.

<sup>3</sup> აჭარიანი, ივევე, ტ. 4, გვ. 1157, ს. ვ. მოლიტვ.—აღნიშ-  
ული «მარანაპეტი» (მარანასაჭხა) შეიცავს მარან (მარან)  
სიტყვას, რაც სომხურში ნიშნავს „ხორავეულის შესანახავ სახლს“  
(garde-manger, შდრ. ქართული მარანი).

მაშასადაც, გასაგებია, თუ, ზემორეალიშნული ქართული წყაროების კვალიად, მუ ჩირობა ნიშნავს «ტყბილის მოშოვებას» (ს. ორბელიანი), მემუჩირე — «მეკალმასებს» (ივივე), მუჩირობა — «კალმასობასა» და «მნეობას», «მოურნეობას» (იონა ხელაშვილი), და ა. შ.

საგულისხმოა, რომ კალმასობა სიტყვას, მსგავსად „მუჩირობასა“, ესინონიმება აგრეთვე ოჩხარი სიტყვაც (ჩ. ქვემოთ).

## V

ზემოთ აღნიშნული არის, თუ როგორ მოუწოდებდა იონა ხელაშვილი გაბრიელ მაყაშვილს — შეექმნა მონასტერი საკალმასო წესების გამოყენებით, საერთოდ საკუთარი შრომით და გარჯილობით და არა მთავრობის მიერი ჯამაგირის იმედით. სიტყვა-სიტყვით, ის სწერდა ადრესაბნეს: “დაადგრებით ლმრთისა მრს კაცის [=ზენონ იყალთოელის] სამშოლოესა შინა [=სავანეში] საკუთარისა პირისა თფლებითა და არა როჭიკებითა მმართებლობათაგან”<sup>1</sup>. ჩვენ ეს „როჭიკები“ (=როჭიკი) გადმოვაჭართულეთ ჯამაგირი სიტყვით. როგორც ამას მკითხველი სცნობს ქვემოთ, იონა ხელაშვილის (და არა შხოლოდ მის) ენაზე როჭიკი მართლიც უნდა ყოფილიყო მნიშვნელი ჯამაგირი ცნებისა; მაშასადამე, შეროჭიკე სიტყვაც აგრეთვე უნდა ყოფილიყო იონა ხელაშვილისათვის სინონიმი მოჯამაგირე და შინამოსამსახურე სიტყვებისა.

ეს სიტყვა, მეროჭიკე, — და ისიც იონა ხელაშვილის კალმით ჩაწერილი, — წარმოადგენს გარკვეულ ისტორიულ-ლიტერატურულ ინტერესს, მეტადრე იმიტომ, რომ მან უკვე პოვა გამოხმაურება სპეციალურ

<sup>1</sup> საქ. მუხ. საისტ. ფ., ხ' წ № 2226, გვ. 279.

ლიტერატურაში<sup>1</sup>. სახელდობრ საკმაოდ ნათლად გამოითქვა მოსახრება, რომ, რამდენადაც იონა ხელაშვილი თავის ერთ კერძო წერილში<sup>2</sup> მოიხსენებს თავის თავს, როგორც ერთ დროს მეროჭიკედ ყოფილი, ამდენადვე იონა, ამ წერილში თითქო უნდა წარმოგვიდგებოდეს, ვით მეკალ მასედ ნამსახური, მის ენაზე მეროჭიკე სიტყვა თითქო მეკალ მასეს უნდა ნიშნავდეს. ქვემოთ მოყვანილი ცნობები, ვფიქრობთ, უარყოფს ამ მოსახრებას.

როჭიკი სიტყვა ფრიად გავრცელებულია ქართულში და, საერთოდ, რიგ აღმოსავლურ ენებში სოჭხურის ჩათვლით (სომხ. ռոժիկ, პროჭიკ)<sup>3</sup>. ის ნაწარმოებია „დღე“ სიტყვისაგან<sup>4</sup>: „დღ-ი-ურ-ი“, „სა-დღე-ო“, „დღისაუის გან უთვნილი“, ხოლო სემანტიკური მისი მნიშვნელობა ირის „დღიური საზრდო“, „პროვიზია“ (ნ. მარი)<sup>5</sup>, „ულუფა“ (კ. კეკელიძე; იხ. ქვემოთ), „დღიური საზრდო“, „სარჩო“ (აჭარიანი)<sup>6</sup>, და ა. შ. ნ. მარი, ამ სიტყვის ახსნისას, უირთებს სწორედ ზემოთ მოყვანილ ცნობაზე ბერი ეპიფანეს მიერ „როჭიკის“ გაშოთხოვის შესახებ (იხ. ზემოთ, გვ. 12). თავის მხრივ, „კალმასობის“ (1936 წ. გამოც.) რედაქტორებმა, როგორც აღვნიშნეთ, ეპიფანეს მიერ აბულისადისგან „როჭიკის“

<sup>1</sup> კალ მა სობა, I, წიმასიტყვაობა, გვ. I და შენ. 2.

<sup>2</sup> სათანადო ნაწყვეტი ამ წერილისა იხ. იქვე, გვ. V.

<sup>3</sup> ფერძოდ, აჭარიანს, დასახ. შო., ტ. V (ერვ., 1931), გვ. 1279—1280. „როჭიკი“-ის შესატყვისთა შორის აღრიცხული აქვს სპარს. ruzi ასერ. rozīk, არაბ. rizk, სელჯ.-თურქ. uruzi, და სხვ.

<sup>4</sup> ლექსიკოლოგიურ ლიტერატურაში ის განიხილება, როგორც წარმოებული ძირეული სიტყვებისაგან: ფაჭლ. roč „დღე“, სპარს. roz, ruž (id.), ძვ. სპარს rauča (id.); იხ. იქვე.

<sup>5</sup> გიორგი მერჩული, გვ. XII, ს. V. როჭიკი.

<sup>6</sup> აჭარიანი, იქვე.

თხოვა და პასუხად პურის მიღება — აი ეს ამბავი სამართლიანად შეიცნეს. საკალმასო მოვლენად, კალმასობის გამოხატულებად. ეპიფანე-აბულასადს შორის შესრულდა გარკვეული „საქმე“, თხოვა - შეწყნარების ორკერძო „აქტი“, პურთან დაკავშირებული დაისიც მკის დროს. აი ამდენად ეპიფანეს მაგალითში დაინახება საკალმასო წეს-ადათი.

მაგრამ სხვა საკითხია, თუ რა სახელით აღინიშნებოდა მაშინ ეს ჩვეულება. რედაქციამ (კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე) მიიღო, რომ აღნიშნულ კონტექსტში (სქემა: ბერმა ითხოვა „როჭიკი“, მონასტერს ებოდა პური) ვითომ გამოვლინდა საძიებელი სახელი, ეს არის როჭიკიო. სათანადო ადგილზე იკითხება: „ეს მოვლენა [sc. კალმასობა] დამოწმებულია გრიგოლ ხანძთელის «ცხოვრებაში» როჭიკის სახელით“.<sup>1</sup> ვფიქრობთ, ჯერ არ ჩანს უშუალო საფუძველი ასეთი დასკვნისათვის, გამოთქმული იზრი შეიძლება გაზიარებულ იქნეს პირობით. „როჭიკი“-ს ხმარების ჩვენთვის ცნობილ შემთხვევებში (იხ. ქვემოთ) ეს სიტყვა, საერთოდ, უცვლელად ინარჩუნებს თავის სემანტიკურ მნიშვნელობას და აღნიშნავს ჩვეულებრივს „ულუფას“ ან „ჯამაგირს“. ბერი ეპიფანე „უამსა მკისასა“ მემამულესთან წავიდა „თხოვად როჭიკისა“, და მისმა მონასტერმა — მიიღო პური. ამ კონტექსტში გამოყენებული „როჭიკი“ სავალდებულოა თუ არა (სხვა მონაცემებისაგან დამოუკიდებლივ), მივიჩნიოთ მთელი ჯე ასახული მოვლენის, კალმასობის, სახელად? ვფიქრობთ, ეს ისევე არ არის სავალდებულო, რომ ხორბლის სყიდვა-გაყიდვის „აქტს“ სახელად

<sup>1</sup> კალმასობა, I, გვ. I-II.

ეწოდოს „ხორბალი“ და ეს უკანასკნელი სიტყვა შეიცნობილ იქნეს „ვაჭრობის“ სინონიმად.

ვიორგი მერჩული სხვა კონტექსტშიც მოეპოვება „როვიკი“. მისი აღწერით; გრიგოლ ხანძთელი, დიმიტრი (II) აფხაზთა მეფესთან საუბარში, სხვათა შორის, ჩიოდა კლარჯეთის მეუღაბნოე ბერების ნივთიერ გაჭირვებას. მათ ახლო არ იყო ორც სახნავი, ორც სათიბი, დიდი წვალებით ხერხდებოდა თურმე მთის ვიწრო ბილიკებით „ძებისათვის“. როჭიკის ზიღვა ვირით,— „დიდითა შრომითა როჭიკისა მისლვად აქუს [უდაბნოებს] კარაულისა ზურგითა“-ო<sup>1</sup>.

ეპიფანეს და აბულასაცის მაგალითის მიხედვით, შეიძლებოდა მკვლევარს ეფიქრა, რომ როჭიკი ამ შემთხვევაშიც უშუალოდ კალმასობის საქმესთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მაგრამ აქ გრიგოლის მიერ ნახსენები როჭიკი კონტექსტში უნდა ნიშნავდეს ისეთ სარჩოს, „დღიურ საზრდოსა“ თუ „ულუფას“, რომელიც კლარჯეთის უდაბნოებს ალბათ მოსდიოდათ ჩვეულებრივ, გარკვეული საშემოსავლო წყაროდან, ამაღამ სამონასტრო მამულიდან თუ „აგარაკიდან“, ვით ძირითადი სახსარი თავის დარჩენისა. ხოლო ასეთი მამული და აგარაკი, რამდენიც არ უნდა ყოფილიყო ის, გრიგოლ ხანძთელის სამწყსოს იმ დროს (როდესაც გრიგოლი საუბრობდა როჭიკის მიზიდვის სიძნელეზე), ნამდვილად უკვე შექენილი ჰქონდა აშოტ კურაპალატის წყალობით მაინც<sup>2</sup>. აი, საიდან უნდა მიზიდულიყო როჭიკი უდაბნოებისათვის. სხვა საქმეა, რომ ამ გზით მოპოვებულ როჭიკის უთუოდ ავსებდა კალმასობით (და სყიდვითაც) მოშოვებული როჭიკი.

<sup>1</sup> ვიორგი მერჩული, თ. 22, გვ. კდ (=24).

<sup>2</sup> იგივე, თ. 11, 52-53: აშოტმა „შეწირნა ადგილი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად“. ხოლო გრიგოლის საუბარს შეფესთან ადგილი ჰქონდა აშოტის მკვლელობის შემდგომ.

როჭიკი სიტყვა, ასე ქარგად ცნობილი წერილთ-  
ბით ძეგლებში, გამოყენებულია საბა პალესტინგ-  
ლის „ცხოვრების“ (VI ს.) ქართულ თარგმანშიც,  
რომელიც, პ. კეკელიძის დასკვნით, VII-VIII საუ-  
კუნეში ჩანს შესრულებული.

„ცხოვრების“ მიხედვით, სპილეონის მონასტრის ბერე-  
ბი ჩიოდენ შაო შემაწუხებელ „უგუნურ“ მწყემსებზე:  
„მწყემსნი მოვიდიან,—აცხადებენ ისინი, —და გუაწყინებენ,  
რამეთუ მოასხიან სამწყსოდ მათი ადგილთა მონასტრი-  
სათა და ურცხვნოდ როჭიკი მიგუჯადიან და არცალა  
თუ მშვდობით სხდომად გვტევებენ“<sup>2</sup>. ესე იგი შფოთავდენ,  
რომ მწყემსები, ადვილგასაგები მიხეზით, მოასხიმდენ  
ხოლმე მონასტრის საძოვრებში ფარას თუ ჯოგს, ბე-  
რებს სტაცებდენ როჭიკს, ანუ „დღიურ საზრდოს“,  
სარჩოს, პ. კეკელიძის განმარტებით—„ულუფას“<sup>3</sup>, რო-  
გორც იტყვიან ხალხური ენით, ვითომ „პირიდან ლუ-  
კმას აცლიდენ“ და კიდევ უბრალო მოსვენებასაც არ  
აძლევდენ.

„ტავრომიუნიან“-შიც ქთარგმნითი ძევლი X საუკუნისა<sup>4</sup>  
როჭიკი ჩანს ხმარებული იმავე „ულუფისა“ თუ „საზრ-  
დოს“ მნიშვნელობით. რომანის ფაბულის შიხედვით,  
თხუთმეტი წლის ტავროსი, დედასოან ერთად, ასუ-  
რეთში გაყიდული ტყვედ. ერთხელ განვაჭრებული, ის  
შეუსყიდია ვინმე გემის უფროსს; ხოლო ამისგან—მეფე  
რემინდოსს. მეფემო,—ვკითხულობთ ძეგლში,—, მისცა წა-  
მეოცი დრაპეანი და იყიდა ყრმად იგი და დედა მისი და  
სხუად როჭიკი ფრიადი მენავეთ-მოძღვარსა შას უბრძა-

<sup>1</sup> კიმენი, ტ. II (თბილისი, 1946), გვ. გვ. 115—238.

<sup>2</sup> დასახელ. შრ., გვ. 192.

<sup>3</sup> იგივე, გვ. 223, ს. v. როჭიკი.

<sup>4</sup> პ. კეკელიძე, „ტავრომიუნიანი“ ძვ. ქართ. ლიტერატურაში=  
ლიტერატურული ძიებანი, I (თბ., 1943), გვ. 7—8.

და ესრეთ წარგზავნა თვისად ქალაქიად პრომედ<sup>1</sup>. ერთი სიტყვით, მეფემ ფული ფულად აუნაზღაურა გემის უფროსს და ზედ როჭიკიც, ანუ „საზრდო“ თუ „საგზალი“, გაატანა.

ჩვენთვის, მოვიგონოთ, უშუალო ინტერესს წარმოადგენს მეროჭიკე სიტყვა, მაგრამ ჯერ კიდევ მოვიყვანოთ ორიოდე ცნობა ძირეული სიტყვის—როჭიკის შესახებ.

რამდენადაც „როჭიკი“ სხვადასხვა ღონისძიებით შეიძლებოდა მოპოვებულიყო, ის, მაშასადამე, არ შეიძლება შეცნობილ იქნეს, როგორც თხოვა-შეწყნარების მგულისხმებელი კალმასობის უშუალო შესატყვისი, ვით კალმასობის აღმნიშვნელი სახელი.

როჭიკი სიტყვა მერმინდელმა ტრადიციაშიც შეინარჩუნა. ჩვენთვის აქ საინტერესო XVIII-XIX საუკუნეში ის გავრცელებული ჩანს „ჯილდოსა“ და „ჯამაგრის“. მნიშვნელობით თუნდ ცარიზმის დროსაც „როჭიკი“ მეგრულში ნიშნავდა „სასოფლო გადასახადს, გლეხებზე შეწერილს, სოფლის მოხელეთა შესანახად“<sup>1</sup>.

XVIII საუკუნის ქართველი ლექსიკოლოგი ასე განმარტავს ამ სიტყვას: „როჭიკი—ულუფა. ესე არს სამეუფოთა [=სახელმწიფო მოხელეთა] გამოსაზრდელი შჯულიერი მთავრობისა ნიჭი [=ჯილდო], ხოლო „ულუფა—სხუათა ენათგან შემოღებულია, ქართულად გაკუეთილი ჰქვან და როჭიკი“<sup>2</sup>. ასე გაგებული, როჭიკი ჩვენებური „გასამრჯელოა“ და „ხელფასი“.

<sup>1</sup> ს. ჯიქია, ენობრივი დაკვირვებანი (ჩელნაწერად).

<sup>2</sup> ორბელიანი, ქართ. ლექსიკ., ს. v. როჭიკი (იქვე მითითება წყაროზე: 3 ეზრა 4,55) და ულუფა.—როჭიკი საბას იმდენად შეეძლო „ქართულად“ ეცნო, რამდენადაც ეს სიტყვა ქართულში იმთავითვე გავრცელებული იყო. „როჭიკის“ ეტიმოლოგია ის. ზემოთ.

როჭიკი ნახმარი აქვს ითანე ბაგრატიონისაც „კალმასობა“-ში სწორედ „ჯამაგირის“ მნიშვნელობით: მისი გამოთქმით, ორ ქართველს, რუსეთის განათლების მინისტრის, ალბათ ზავადოვსკის (1802—1810 წ.წ.) მიერ, უნიშნებათ „ჯამაგირი“ („ათას რუბლს მომცემენ ჯამაგრისაო“), ხოლო „როჭიკი“—„ჯამაგირის“ სახელიაო<sup>1</sup>.

მეფე-პოეტი არჩილი (1647-1712) ერთ ლექსში პეტრე პირველს იმ სიკეთესაც უქებს, რომ პეტრე „სალდათებს“ ყოველთვის უკლებლივ აძლევს „როჭიკს“, ჯამაგირსო<sup>2</sup>.

ჩვენი საკითხისათვის „უფრო საყურადღებოა, რომ როჭიკი ჩვეულებრივი სახმარი სიტყვა იყო იონა ხელაშვილისათვისაც, და იმავე მნიშვნელობით. მაგალითად, ერთ „ბრწყინვალე თავადს“ 1826 წ. ის სწერდა პეტერბურგიდან (ალბათ საქართველოში), რომ ვერ ვახერხებ მოგაწოდოთ თქვენთვის საჭირო თანხაო: თქვენც მოგეხსენებათ — აქ, პეტერბურგს, „როჭიკით არს ცხოვრება და არა მამულისა ნაქონებითა“-ო<sup>3</sup>; ვითომ ჯამაგირით ცცხოვრობთ, და ჯამაგირი-კი არავის ჰყოფნისო. ბოლოს ადტორი დასძენს დამარიგებელ სიტყვას: „კმი გეყავნ როჭიკი შენი, ე. ი. იმყოფინე [ჯამაგირი], ესე არს ბრძანება სახარებისა [ლ. III. 14]“-ო<sup>4</sup>.

თავის მეორე ადრესატს, გაბრიელ მაყაშვილს, ზემოთ აღნიშნულის თანახმად, იონა აქეზებს: აბა თუ შესძლებ.

<sup>1</sup> კალმასობა, ტ. II (თბილისი, 1948), გვ. 239 და 240.

<sup>2</sup> არჩილიანი, I (რედ. ა. ბარაშიძე და ნ. ბერძენიშვილი; თბ., 1936), ლექსი „მეფეთა“, 62. 4-5:

პეტრე—„მაღალი მდაბალთ ხელთ-ამპურობელი,  
თვისთა სალდათთა როჭიკთა მათთა  
ყოვლის უამისად მთლად მიმპურობელი“.

<sup>3</sup> საქ. მუზ. საისტ. ფ. ხწ. № 2226, გვ. 288.

<sup>4</sup> იქვე.

მონასტრის აშენებას, ოლონდ „საკუთარისა პირისა ოფ-  
ლებითა და არა როჭიკებითა მმართებლობათაგან“-ო.<sup>1</sup>

სხვა შემთხვევაში იგივე იონა სწერს ვინმე დ. პ.-ს შე-  
სახებ<sup>2</sup> საქებარ სიტყვებს: ეს დ. პ. წესიერად მსახურობს  
თავის ბატონთან, „უფალთან“-ო, რის გამოც ის „არს  
შეუყარებულ, მას არ მოჰკლდებიან თკურნი როჭიგ-  
ნი და დღიურნი პატივნი“ მისი ბატონისაგანო, ეს ბა-  
ტონიც, „სახლისა უფალი“, არ ინდომებს მის მოშო-  
რებასო.<sup>3</sup>

აღნიშნულის მიხედვით, ბუნებრივად გვეხატება, თუ  
იონა ხელაშვილს საჭირო შემთხვევაში უხმარია ნაწარ-  
მოები მეროჭიკე სიტყვა მოჯამავირე-ს, ანუ  
მოსამსახურის, მნიშვნელობით. სოლომონ დოდაშვილი  
ერთ წერილში (1827 წ.) საქართველოდან აცნობებდა  
იონა ხელაშვილს, პეტერბურგში მყოფს, თუ რა მძიმე  
ნივთიერ ხელმოკლეობას განიცდიდა იონას ძმა, სოლო-  
მონ ხელაშვილი. სილარიბე და მძიმე მუშაობა ხელა-  
შვილების მრავალრიცხოვანი ოჯახის შესანიხად სოლო-  
მონს არ აძლევდა თურმე საშუალებას — თავისი „ნინ-  
ველი“ (მოზარდი ყმაწვილი) სკოლაში მიეცა; სასწავლე-  
ბელში ბავშვის გაგზავნა მოხერხდებოდა, თუ სოლომონ  
ხელაშვილი შესძლებდა და შვილის მავიერს დამხმარე  
ქაცს დაიქირავებდა ოჯახში. დოდაშვილის სიტყვით, სო-  
ლომონისთვის აუცილებელი იყო, „რათა მოიკავოს კა-

<sup>1</sup> იბ. ხემოთ, გვ. 28.

<sup>2</sup> დ. [იაჩოქი?] პ. [ეტრე?] — იქნებ ხელაშვილის მახლობელი „დიახო-  
ჭი პეტრე“ (იბ. ქვემოთ). მაინცდამაინც „დიახოჭი პეტრე“ უნდა იყოს  
იგივე „დიაკონი პეტრე“, ესეც ხელაშვილის მახლობელი პირი, რომ-  
ლის შესახებ იბ. სოლომონ დოდაშვილის წერილები. ს. ხუციშვილის  
შესავალი წერილითა და შენიშვნებით; გვ. 51 = მასალები საქართ-  
ველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, გამოც. საქ. სსრ. მეცნ. აკად.,  
ხაკ. II, თბ., 1945.

<sup>3</sup> საქ. მუხ. საისტ. ფ. ხწ. № 2226, გვ. 230.

ცი ვინმე და ნინველი იგი [მამამ] მოყიუფანოს ჩემთან  
[= მასწავლებელ დოდაშვილთან; სკოლაში]<sup>1</sup>. ამის მოსა-  
გვარებლად-კი საჭიროებდენ ხარჯის, „წარსაგებელის“  
გაღებას<sup>2</sup>.

ცხადია, აქ „მოჯამაგირეზეა“ საუბარის იონა ხელა-  
შეილს, ზარათის მიღებისთანავე საპასუხოდ მიუწერია  
დოდაშვილისთვის: საზრუნავი ბევრი მაქვს და „რაღ ვჰყო  
თვიურისა შემოსავლითა“, და იქვე დასძენს იონა: „ვეც-  
დები [ფულის]: წარმოგზავნასა, რათამცა მეროჭი კე  
მოუკაო სოლომონს, და [მან] შვილი ძმისწულით  
მოგიყუანოს [შენ, დოდაშვილს] მანდარე [სკოლაში, შენ-  
თან ასაზრდელად]“<sup>3</sup>.

აქ, ცხადია, „მეროჭი კე“ ნიშნავს მოჯამაგირეს.  
მაგრამ ჩვენი საკითხისათვის უფრო საინტერესოა მე-  
როჭი კე სიტყვის ხმარება იმავე მნიშვნელობით ხელა-  
შვილის მიერ შემდეგ შემთხვევაში:

ერთ წერილში, რომელიც იონა ხელაშვილს მოუწერია  
(1825 წ.) პეტერბურგიდან ქიზიყს თავის ორი ძმისა და  
რძლებისათვის, ავტორი, სხვათა შორის, ეხება სწავ-  
ლის საჭიროების საკითხს და შთამაგონებელი  
სიტყვებით სთხოვს მათ—არ დალუპონ ბავშვები (იონას  
ძმისწულები), არ დატოვონ ისინი უსწავლელად, ვაათა-  
ვისუფლონ სამეურნეო-საგლეხო მუშაობისაგან, თუნ-  
დაც რომ ეს მშობლებისათვის უმძიმესი ნაბიჯი იყოს..

<sup>1</sup> იგივე, გვ. 398.—ბარათი დაწერილია 10. IX. 27 თარიღით.  
უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროს დოდაშვილს უკვე მეორე კვირა  
მიუდიოდა თავისი მასწავლებლობისა თბილისის კეთილშო-  
ბილთა სასწავლებელში, სადაც ის განწესებულ იქნა სწო-  
რედ იმ წანებში.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იგივე, გვ. 400.

ამ ბავშვების შესახებ იონა სწერს: „მაგათ ბეგარაზე ტარებას, თქვენ გაიჭირეთ და ეგენი [სკოლაში მიბრუნებით] გააბედნიერეთ. მშობელთ მოვალობა არის, რომ შვილნი წერილში აღზარდონ და მრთ აცნობონ ლმერთი [წაიკითხე: ადამიანური ცხოვრება].“ იონას ეშინია, რომ ბავშვებს „ბეგარაზე ტარება“, მაშასადამე, ბატონის კარზე მოსამსახურეობა ყოველნაირად დასჩივრავს. „მიხედეთ [=შეხედეთ], — სწერს მდრიტვინავი იონა მათ, — ახლა რუსობა არის: აღარცა უსწავლელი რუსულისა მოვდელი იქმნება, და, თუ ვისმე აზნაურობა უნდა, [ჩვენ-კი, ხელაშვილები, სწორედ აზნაურობას ვეძებთ<sup>1</sup>], უწიგნო აზნაური სულ არ შეიძლება“. აქ ამ შესანიშნავი წერილის სახელოვან ავტორს, ჩანს, შიშით მოპგონებია თავისი სიყმაწვილე, ოდესი ისიც ისე, როგორც წერილის დაწერის ღრმას მისი საბრალო ძმისწულები<sup>2</sup>, მოჯამავირობდა, მისივე სიტყვით, მეროჭიკე ყოფილა; და არა-უშაფოოფელი გულით ჩაუწერია წერილში შემდეგი სიტყვებიც: „მე თუ ისევ მეროჭიკე ვყოფილიყავ [წაიკითხე: თუ შევრჩენოდი სხვის მოჯამავირობას], — აცხადებს იონა, — ჩემი სახელი აქავე [=სიცოცხლეშივე] მკვდარი იქმნებოდა...“<sup>3</sup>. ეს-კი, იონასათვის საბეღნიეროდ და ქართველი ერისათვისაც სასიქადულოდ, ასე არ მოხდა. იონა ხელაშვილი გახდა, როგორც კარგად არის ცნობილი,

<sup>1</sup> სხვა მასალებიდან ჩანს, რომ ხელაშვილები ოფიციალურად გლეხებად ყოფილან ჩათვლილი რუსის ადმინისტრაციის მიერ და უსახსრობის გამო გასძნელებიათ აზნაურობის მოპოვება (იხ. სოლომონ დოდაშვილის წერილები, გვ. 95).

<sup>2</sup> ეს ძმისწულები იყვნენ: მაშინ (1825 წ.) 10—11 წლის იოანე, ძე სოლომონისა, ამავე ბავშვის კბილა გრიგოლი, აქ იოსებისა, მამისაგან დაობლებული, და შემდეგ — ამათი მომტანი ქალები (შდრ. სოლ. დოდაშვილის წერილები, გვ. 94—95).

<sup>3</sup> ხე. № 1520 ს, გვ. 97-98.

დიღნაყოფიერი მწიგნობარი<sup>1</sup>. იონა არა ერთხელ თვითონვე სწერდა ამის შესახებ თავის აღრესატებს იშვიათი უბრალოებით. ხელაშვილს ისიც აღუნიშნავს, რომ, თუ მან სხვათა მოჯამაგირობას თავი დააღწია, ისევ მისი ნებისყოფის წყალობით. ამის შესახებ ის სწერდა (1826 წ.) თავის მახლობელს, „დიაჩიქ პეტრეს“: როდესაც საქართველოდან დაგაპირე პეტერბურგს წამოსვლამ, რაშინ „მრავალთა ხილულთა და უხილავთა,— სწერს ავტორი,— მოინებეს დაბრკოლება ჩემი და უკუნ ჭკევა პირუტყათა მწყემსა დვე, გარნა აღვიკრძალენ ჭორცნი ჩემნი და და[ვ]უმონე სულსა ჩემსა..“ და ა. შ<sup>2</sup>.

ამრიგად, თუ ზემოთ ნაჩენები ბარათიდან ჩანს, რომ იონას გამოუცდია მეროჭიკეობა, აქ, მეორე წერილში, ცხადი ხდება, რომ ეს მისი „მეროჭიკეობა“ მდგომარეობდა „მწყემსობაში“. ერთი სიტყვით, მის ენაზე მეროჭიკე— „მოჯამაგირეს“ ნიშნავს.

იონას მიერ ხმარებული მეროჭიკე სიტყვა, აღნიშნულ კონტექსტში წარმოდგენილი („მე თუ ისევ მეროჭიკე ვყოფილიყავ, ჩემი სახელი აქავე მკვდარი იქნებოდა“), სპეციალურ ლიტერატურაში ერთხელ უკვე ახსნილი იყო, სახელდობრ დ. კარიჭაშვილ მა მის შესატყვისად კანონზომიერად მიიჩნია მოჯამაგირე სიტყვა<sup>3</sup>. ვთიქრობთ, ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა „როჭიკის“ და „მეროჭიკის“ შესახებ, ნათელს ხდის საკითხს.

<sup>1</sup> ინ. უახლესი ლიტერატურიდან: კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I (გამოც. 1923 და 1941); ინ. დასახველებული სოლომონ დოდაშვილის წერილი, გვ. 50 და შდგ.; დ. კარიჭაშვილი, ვინ არის კალმასობის.. ავტორი, ვკ. 29 და შდგ.=საქართველოს არქივი, წ. II, თბილისი, 1929; ინ. აგრეთვე Цარევიჩ იოანი, კალმასობისა, თბილისი, 1945, გვ. XXVII და შდგ.

<sup>2</sup> საქ. მუხ. საისტ. ფ. ხვ. № 2226, გვ. 236.

<sup>3</sup> საქართველოს არქივი, II, გვ. 187, შენ. 1: „მეროჭიკე, ესვიგოვ“

თავის მხრივ, ამავე სიტყვას („მეროჭიკე“), სწორედ აღნიშნულ კონტექსტში მოცემულს, ყურადღება მიაქციეს „კალმასობის“ რედაქტორებმაც. დასახელებული შრომის წინასიტყვაობაში, გავიმეოროთ (იხ. ზემოთ, გვ. 36), მოთითებული არის, რომ კალმასობა, პურის შეგროვების გარკვეული ადათი, „დამოწმებულია გრიგოლ ხანტოელის «ცხოვრებაში» როჭიკის სახელით“ - ი. ამ „როჭიკმა“, ბერი ეპიფანეს სახელთან დაკავშირებულმა, საბაბი მისცა პატივცემულ რედაქტიოს, იქვე, სქოლიოში, შეენიშნა შემდეგი: „საყურადღებოა, — ვკითხულობთ ჩვენ, — რომ იონა ხელაშვილი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ერთერთს წერილში თავის თავს «მეროჭიკეს» უწოდებს“<sup>1</sup>.

რაკი რედაქტორებს «როჭიკი» გაგებული აქვთ კალმასობის სახელად და მათ მიერ, სათანადო კონტექსტში, მოხსენებულია, რომ იონა ხელაშვილი თავს მეროჭიკეს უწოდებდა, ცხადია, მკითხველმა, პატივცემულ რედაქტორებთან ერთად, ისე უნდა ივარაუდოს, თითქოს იონას მეროჭიკეობაც კალმასობასთან იყოს დაკავშირებული, ვითომ იონას ენაზე მისი მეროჭიკეობა მეკალმასეობას გულისხმობდეს. ამის გაფიქრება მით უფრო ბუნებრივი იქნებოდა, რომ ზემოთ აღნიშნულისამებრ, იონას მოგონებაც მის მიერ საქართველოში კუთხეების და მონასტრების „მოვლის“ შესახებ გარკვეულ საბუთს იძლევა — ის ჩაითვალოს ერთ-

---

მოჯამავირე. იონა ხელაშვილი, ვიდრე ოცი წლისა გახდებოდა, იდგა მოჯამავირედ“. შდრ. ზემოთ, გვ. 27.

<sup>1</sup> კალმასობა, I, წინასიტყვაობა, გვ. I და შენ. 2.—აქ მითითებული წერილი ხელაშვილისა იჩ. ამავე წინასიტყვაობის გვ. V. ეს იგივე წერილია, სადაც ხელაშვილი მის მიერ გამოცდილ მეორეჭიკეობას ესება (იხ. ზემოთ, გვ. 43).

ზელ მეკალმასის როლში გამოსულიდ, გარდა იმისა, რომ, თვის მხრივ, მოანე ბაგრატიონმაც ის „კალ-მასობა“-ში მეკალმასედ გამოიყვანა. მავრამ, როგორც მქითხველს დაარწმუნებდა სათანადო ჩვენი განმარტება, მაინცადამაინც, თვითონ იონა აღნიშნულ წერილში თავის თვეს უწოდებს მეროჭიკეს, მხოლოდ ვით ნამ-წყემსაჩ-ნამოჯამავირალს და ირა როგორც მეკალმასე-ყოფილს. და თუ ჩვენ ასე შევიჩერეთ ამ გარემოებაზე მექითხველის უურიდღება, ეს იმისთვის, რათა იონას მო-გონებაში ხმარებული მეროჭიკე სიტყვის შესაძ-ლებელმა არასწორშა ინტერპრეტაციამ არ მიჩქმალოს ფრიად საგულისხმო ცნობა, თუ რა დამამ ცირებელ მდგომარეობიში ჰყოლია ჩაყენებული ეს სახელოვანი ქართველი მის ახალგაზრდო-ბაში მის სოციალურ „ცოდვაზრალს“ — მის გლეხებაცობას.

## VI

რადგანაც ყოველ ბერს შეიძლებოდა ხვდომოდა მე-კალმასის როლი, ამიტომ არავის გააკვირვებდა, თუ ასეთ როლში გამოჩენდებოდა, ვთქვათ, კარგად ცნობილი ფილადელფოს კინაძეც: მწიგნობარი კაცი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ორგანიზატორი, იმ დროს უკავ მღვრელმონაზონი შუამთის მონასტრისა (კახეთი). მაინცდამაინც ერთი საბუთი კინაძესაც მე-კალმასედ გვაცნობს. აღნიშნული შეთქმულების გამომე-ლავნების შედეგად, როგორც ვიცით, ამ იერომონახსაც მოუხდა სათანადო საგამომძიებლო კომისიაში წარდგომა და აქ, დაკითხვის დროს, მას სწორედ თვის მეკალმა-სეობაზეც ჩამოუგდია სიტყვა.

აი მისი ჩვენების ის ადგილი, რომელიც ამ საქმეს ეხება: „წარსულს 1832-ს წელსა, — განუცხადებია ბრალ-დებულ კინაძეს, — ვიყავ მასთან [= ალექსანდრე ჭავ-

ჭავაძესთან] შემთხვეულებისა ამისთვის, რომელ ვთხოვ-  
ულობდი სამონასტროდ პურს, გარნა კნიაზი  
ჭავჭავაძე] არ იყო შინ და ორც მინახავს. 1832 წელს,  
— განაგრძობდა ის,— გაზაფხულზე ვიახელ [ჭაიკითხე:  
ვეახელ] მას კვალიდაცა სათხოვნელიდ სამონასტ-  
როდ ღვინისა, მაშინ შინ ბრძანდებოდა“<sup>1</sup>.

ვინ იცის, იქნებ ეს ყველაფერი ფილადელფილსა მო-  
კორა კიდეც გამომძიებელი კომისიის წევრთა თვალის  
ასახვევად, ვითომ საკალასო საქმემ, და არა შეთქმუ-  
ლების ინტერესებმა, მიმიუვანა მეო თავად ჭავჭავაძეს-  
თან, და ა. შ. მაგრამ ეს ასეც რომ იყოს, ჩვენი თეშის  
თვალსაზრისით ჩვენება მაინც ინარჩუნებს გარკვეულ  
პნიშვნელობას: ის იმის დამატასტურებელია, რომ კალ-  
მასობი კიკნაძის გარემოცვაში მეტად ჩვეულებრივი საქმე  
იყო, ისე რომ კიკნაძის ინგარიშით, სხვის ოჯახში კალ-  
მასობის მიზნით სიარული თავისთვად შეუძლებლად და  
ცივ ტყუილად არავისთვის არ ჩაითვლებოდა.

საგამომძიებლო კომისიის საყურადღებოდ, ფილადელ-  
ფის ბერს დაუზუსტებია თავისი ჩვენება ასეთი განმარ-  
ტებით: „ბერიბაში,— აცხადებს ის,— ცნობიჩემვანი ინათი  
[=ჩემი ნაცნობობა გენ. ჭავჭავაძესთან] მხოლოდ იყო  
ამისთვის, [რომ] სახლი ქონდა კეთილმსახური, და ღვთის  
მოყვარე, როცა მივიღოდი, დამაჯილდოებდენ,  
ოდენსმე ფულით, ოდესმე ღვინით, ოდესმე  
პურით, და ამისთვის, ვითარცა სხვა თი  
მონასტრის ბერებთა, მეც შემემთხვეოდა ხილვა მისი  
[=ალექსანდრე ჭავჭავაძისა] წელიწადში ორჯელ, ანუ  
ერთხელ, ანუ სამჯელ, მეტი არა; ბევრი წელიწადებიც

<sup>1</sup> გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I (ობილისი,  
1935), გვ. 277.

გასულა, რომ არ მინახავს სრულებით. არა ძალიან შინაგანად ეიცნობდი მას, გარნა მწყალობდა უმეტეს სხვა ბერებზე<sup>1</sup>.

რაც შეეხება თვით ჭავჭავაძეს, ის, ვით ავრეთვე ბრალდებული, თავის ურთიერთობას კიკნაძესთან ძიების მსვლელობაში სულაც ასეთი მოტივებით არ ხსნილა<sup>2</sup>. მაგრამ კიკნაძის ჩვენებაში ჩვენ ერთი მაინც სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ: თვით მას, ფილადელფის ბერს, და მასთან ერთად „სხვათა მონასტრის ბერებთა“ უთუოდ არა ერთხელ აღტალაზებიათ ჩვენი პოეტის სახლის გარი სწორედ კალმასობის მიზნით.

მერმინდელი საბუთებიდან საკალმასო ადათის შესახებ საგულისხმოა სუფთა მხედრულით შესრულებული ლაპილარული წარწერა 1846 წლისა, დაცული მოწამეთის მონასტერში სამრეკლოს აღმოსავლეთ კედელზე. აი მისი ტექსტი<sup>3</sup>:

<sup>1</sup> ოგივე, გვ. 348 (პასუხი 14).

<sup>2</sup> ოგივე, გვ. 274-275.

<sup>3</sup> ეს წარწერა 1851 წელს დაბეჭდა ბროსე მ, Rapports sur un voyage archéologique, და სხვ. [ნაკვ. III], ს.-პეტერბურგი, Rapport XI, p. 49.—ბროსესული ტექსტის შეჯერებამ დედანთან გამოარყვია, რომ იმ ტექსტს შეკპარვია ზოგი ლაპსუსი და სიზუსტის ნაკლებობა. მაგალ., სტრიქონი 3: აქ გამოტოვებულია „მაღალ“ სიტყვა; სტრიქ. 9: იკითხება „დავახარჯეთ და დავავრცელეთ“; სტრიქ. 10-11: „აღმომკითხველო, შენდობას გთხოვ“. დარღვეულია მართლწერა, ძეგლში მიღებული, და იკითხება, სტრიქ. 4-5: „მიტრაპოლიტი“; სტრიქ 6: „განვირცელებისა—თვს“; სტრიქ. 8: „თვთ“; სტრიქ. 14: „მოიკვენოს“ და სხვ. აქ მკითხველს ვაწვდით ჩვენს წარაკითხს, რომელსაც საფუძვლად უდევს ადგილზე ქვის ფიცრიდან ხელახლად გაღმოწერილი ტექსტი,—წარწერიდან, ჩვენის დავალებით, ბრტყელი ესტამპაჟი აიღო საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების ინსტიტუტის ასპირანტმა ლ. შარვაშიძემ (1949 წლის ივლისი). ტექსტი იკითხება ძალდაუტანებლივ, მხოლოდ გაღმოწერილ დედანში არ ხვერდება გარჩევა პუნქტუაციისა (თუ ის, საერთოდ, გამოყენებულია წარწერის შემდგენელის მიერ). ტექსტის უკანასკნელი წინადაღება მწერალს დაუტოვებია უქვემდებაროდ.

ჩყმგ [=1846]

წელსა

- 3 მებრძანა მაღალ ყდ [=ყოვლად] უსამღ
- 4 უდელოესისა იმერეთის მიტროპო
- 5 ლიტის დავითისაგან კონდაკით მიმოსლვა
- 6 სამწყსოსა მისსა განვავრცელებისათვის ამა მონასტ
- 7 რისა ხო [=ხოლო] მე მორჩილ ვექმენ და შემოვ-  
კრიბე საზოგა
- 8 დოსაგან ფული რაოდენიმე. თვით ამა მონასტერსა
- 9 დავახარჯეთ და განვავრცელეთ. და ესეცა სამ-  
რეკლო და კა
- 10 რის ბჟე აღვაგეთ ძალითა მღლითისათა, აღმომქითხველ
- 11 თაგან შენდობას ვ[ი]თხოვ ამა წმიდისა მონასტ-  
რისა წინ
- 12 ამძლვარი] პორფირი წერეთელი. შემწირველნი ამა
- 13 წმიდისა მონასტრისანი ღმერთმან კურთხევით
- 14 მოიხსენოს და [პირი ჩემი] მოქენეობს თქუცნ მიერ  
შენდობასა.

წარწერაში ნაჩვენები წესით „მიმოსვლა“, „კონდა-  
კით მიმოსვლა“, მოგვაგონებს რუსეთის საქრისტიანო  
ეკლესიაში ცნობილს ხождение под икону-ს (იხ. ქვე-  
მოთ), რაიც ისევ კალმასობის სახესხვაობაა. მაშასადამე,  
დასავლეთ საქართველოში ვით გურიისას (იხ. ზემოთ,  
გვ. 14), ისე იმერეთის სამღვდელოებასაც გამოუყენებია  
თავის პრაქტიკაში საკალმასო რიგის „მიმოსვლა“, ჩვენს  
შემთხვევაში, არა უშუალოდ პურისა, არამედ ფულის შე-  
საკრებად, როგორც ეს შეეფერებოდა ფულიანობის გავრ-  
ცელების დროებს. მოწამეთის (ქუთაისის რ.) არქიმანდ-  
რიტს, პორფირი წერეთელს, ჩანს მნიშვნელოვანი თან-  
ხა შეუკრებია „საზოგადოსაგან“, ე. ი. საზოგადოებაში,  
მორწმუნე ერში, რაკი ამ თანხით მას შესძლებია მონასტ-

რის „განვრცელება“, გაფართოება, სამრეკლოსი და კარიბჭის „აგება“, ძლიერ განახლება. ამისათვის ჰქონდა წინამძღვარი ამ თავის ერთგვარ „ანდეჩნამაგში“ წვლილის გამღებელთ: „შექტირკელნი ამა წმიდისა მონასტრისანი ღმეათმან კურთხევით მოიხსენოს“ - მ.

## VII

რაღან ქალმასობა ნიშნავდა უმთავრესად „კალოზე პურის მოშოებას“ (საბა), ცხადია, კართაკარ სიარულიც გარკვეულ სეზონს ეფარდებოდა. ამიტომ ბუნებრივია, თუ ბერი ეპიფანე «უამსა მკისასა», ესე იგი მკათვეში, ივლისში, მისდგომია კარზე აბულასადს (იხ. ზემოთ, გვ. 12); თუ, თავის მხრივ, ერეკლე მოითხოვს კალმასობის ჩატარებას მაშინვე. „როცა დაბარების დრო იყოს“ (იხ. ზემოთ, გვ. 15), და მოითხოვს ამას ივნისის 28-ით დათარიღებული წერილი; თუ გიორგი მეფის-ძეც (მერკინდელი კიორკი XII) სათანადო განკარგულებას დალევს არქიმანდრიტ თომას 14 ივნისის თარიღით (იხ. ზემოთ, გვ. 17-18).

სახელმწიფოსაც ხომ მკათათვეში უნდა დაეშეოთ კავასი წილი პურის, ე. წ. კოდის-პურის ჩამორთევა აზნაურებსა თუ გლეხებში თავისი აგენტების, მეკოდისპურების, ხელითა და ოფიციალური დავთხების მიხედვით. ვიხტანგ VI-ის „დასტურლაპალი“<sup>1</sup> ამ საქმეს შეასრულებლად მეკოდისპურებს აძლევდა სულ ხუთი თვის ვადას, მკათათვიდან ვიდრე გიორგობის თვემდე<sup>1</sup>; და აბა მეკოდისებსაც ვინ დაუშლიდა სოფლებში წანწალს, სანამ იქ პურის სამური სუნი ტრიალებდა.

შესეოდენ კალაებს კალაებად ეს მეკოდისპურები და მეკალმასები; მათ მოსდევდენ მეფის კარის ხასაღ-

<sup>1</sup> დასტურლამალი, გვ. 55; შდრ. გვ. 72.

ჩები, მეკოდისპურეებივით ისევ პურის საქმის მოხელენი<sup>1</sup>. აქეთ-იქიდან კიდევ თუ თავადთა და ჩზნაურთა ხარჯთმკრეფელები, თუ საერო მეკალმასეები (იხ. ქვემოთ), ამათ გარდა, პატივმოსილი ჯვარისმამის აკეტები (იხ. ქვემოთ) ან კიდევ—სულით ხორცამდე გაძარცული. დამათხოვრებული იდგილობრივი ლუმპენპროლეტარები, ბატონყმობის ნაშობნი, ხოლო ამათი უქვედ ესი ფენიდან—ჩეცულებრივი მათხოვრები და გლახაკები: ერთნი — საბატონო კოდებითა და გოდრებით, „ტიკითა და რომარით“, როგორც ითქმის საბუთების ენაზე<sup>2</sup>; ტიკით—ლუინისათვის, ტომრით—პურისათვის, ერთნი — კოდებითა და გოდრებით, მეორენი — ჯამებით, თეფშებით, აწეული კალთებით, პეშვებით; მყვლეფელთა ჭაკები — უქმეხი ქაქანითა და შეძახილებით გამწარებულ შიწისმუშავთა მიმართ, ხოლო გაყვლეფილები — წყევაკრულვითა და ლანძღვა-მუქარით.

### VIII

საკალმასო საშოგარში ოვისი წილი ედოთ ე. წ. მეტოქებსაც და მათ ორგანიზატორებს.

მეტოქი (ბერძ. μτοχή, „მეტოქი“) — „მომცრო მონასტერია, სხვა მონასტერზე მიწერილი“<sup>3</sup>. არსებითად

<sup>1</sup> იგივე, გვ. 72.

<sup>2</sup> ყმისათვის მღვათების დამდგენელ საბუთებში ხშირად იჩმარება განუსახლვოლობითი ხასიათის გამოთქმა — „არა ტიკი და ტომარა“. კერძოდ, ვინმე ცხადიაშვილის შესახებ ერთ სიგელში აღიარებულია, რომ ცხადიაშვილი, სამონასტრო ამადამ ვალდებულებითა გარდა, არ მოვთხოვებაო „არა მალი და საური, არა ულაყი და საჯინიბო, არა გოჭი და ქათამი, არა სთულისა შესაწევარი ტქბილი, არა ტიკი და ტომარა [=არა ნოტიო და არა ბარცვლეული], არა საელჩო...“, და ა. შ. იხ. თ. უორდანია, ქრონიკები, წ. II (თბილისი, 1897), გვ. 348-349.

<sup>3</sup> Странствованияия Василья Григоровича-Барского, ნაწ. IV (სპб., 1887), გვ. 401, ს. v. Метох. შდრ. ორბელიანი, ქართ. ლექსიკონი, ს. v. მეტოქი. ოუსულში ეს იგივე „подворье“ არის.

მეტოქი ბინა და ბაზაა, სხვაგან (ქალაქგარეთ, საზღვარგარეთ) დადებული მონასტრის მცერ, რომელიც ამ ბაზაზე დამყარებით, თავისი წარმომადგენლების მეშვეობით, ეწევა გარეთ შეძენილი „აგარაკებისა“ თუ სოფლების ექსპლოატაციას, აწყობს, რა თქმა უნდა, კალმასობასაც.

მეტოქები თავიანთ პატრონ-მონასტრებს ამარაგებდენ ყოველგვარი „მონარეჭით“. მონასტრიდან იქ გაგზავნილი კაცები, თუ არ მფლანგველობდენ, უკან დატვირთული ბრუნდებოდენ. გრიგოროვრჩ-ბაჩსკის, 1744 წელს სტუმრად მყოფს ათონის ივერიის მონასტერში, თავის „მოგზაურობაში“ შეუტანია სათანადო დაკვირვებები, კერძოდ, შესახებ იმისა, თუ როგორ შეხვდებოდა ხოლმე მონასტრის სამნეო ნაწილი საქონლით დატვირთულ გემს, „მეტოქებიდან დაბრუნებულს“, მოგზაურის ჩანაწერით, „გაშლილი აფრებით [მონასტრის ბჟეებისკენ] მომფრინავ დიდ გემს, სავსეს ხორბლითა და მონასტრისათვის განკუთვნილი სხვა სახმარით, ლკუპცეულს მეტოქებიდან“<sup>1</sup>.

მსგავსად ამისა, კვიპროსის კუნძულზე არსებული კვაკოსის (Kukkos) მონასტრის ბერებიც „მორჩილობის გასაწევად [=სამსახურად] იგზავნებიან მეტოქებში, ესე იგი თანაზიარობებში, რომელი მეტოქებიდანაც [იმ ბერებს] ყოველგვარი საჭმელ-სასმელი მთაქვთ და [მონასტრებს] ყოველგვარი შემოსავალი აქვთ“<sup>2</sup>. ამ „ყოველგვარ შემოსავალში“ მოვაჭრებულ-მონაგებიც იგულისხმებოდა, ფული, ვერცხლი.

<sup>1</sup> ო-ტში: „с полными паросами нарядъ главный корабль наполнен со пшеницею и иными потребами монастырскими, от метоховъ возвращающейся“ (Странствования, бд. III, 83. 157).

<sup>2</sup> ტ-ტში: [иноки] на послушание в метохи, си есть в причас-тия монастырская, рассылаются, от коих метоховъ всякую пищу

ასეთი „სამეტოქო“ წესით უცხოეთის მონასტრებს, თუნდ იშავე კვიკასისას, საქართველოს დოკუმენტიც დაუდვიათ წილი, მათ ქართველი გლეხის, მაშინ ისე დაბეჭივებული მწარმოებლის ნაოფლარიც სანაწილოდ გაუხდიათ. აქ მოვიხსენოთ ქართველთა იერუსალიმის ჯვარის მონასტერი<sup>1</sup> და მისი წინამძღვარი, სულიერი „მამა“, ამდენადვე „ჯვარისმამად“<sup>2</sup> წოდებული.

სხვადასხვა დროის ჯვარისმამათა სათვალავში კარგიდ ცნობილია, კერძოდ, ქართველი კულტურული მოღვაწე ნიკიფორე, იგივე ნიკოლოზ ირბახი, რომელსაც იტალიელი მისიონერი ცამპი (XVII ს.) იცნობდა, როგორც იერუსალიმის ჯვარის მონასტრის „არქიმანდრიტისა“ და „ჯვარისმამას“ („gievarismama“, „jovarismama“)<sup>3</sup>.

ცამპი-შარდენით, ჯვარისმამა საქართველოში ჩამოდიოდა ვით წმ. ადგილების „კომისარი“, იერუსია-

и питие приносять и всякие прибигки оттуда имут” (იგივე, ჩატ. I, სპბ., 1885; გვ. 403).—აქ ბერძ. მეტოქე ნათარგმნია სიტყვა-სიტყვით: „причастие“, ჩვენი თარგმანით, „თანაზიარობა“, და მეტოქი, როგორც ორგანიზაცია, მართლაც წარმოადგენდა დედა მონასტრის ჩეურნეობის თანაზიარ ერთეულს.

1 „მეთერთმეტე საუკუნიდან მოყოლებული მეცხრამეტემდე, როდესაც აქ შეწყდა ქართული გლემენტი და სავანე ბერძენთა ხელში გადავიდა, ჯვარის მონასტერი იყო უმთავრესი ცენტრი პალესტინაში ქართული მშერლობისა“. პ. გვ. კვლიძე, ქართ. ლიტერატურის ისტორია, I (თბ., 1941), გვ. 95.

2 ამ სიტყვას, როგორც ტერმინს, ჩვენ ვწერთ მიღებულ წესზე გადახვევით, ერთ რთულ სიტყვად და არა დანაწევრებულად („ჯვარის მამა“). ეს ეთანხმება მის უცხოურ ტრანსკრიფციასაც.

3 Voyages de chevalier Chardin. Par L. Langlès. T. I (Paris., 1811), ფр. 210-211 et 323. ირბახის შესახებ იხ. კორნელი კაველიძე, რუსთველოლოგის საკითხებით. ს. უ. შრომები, X (თბ., 1939), გვ. 103-104.

ლიმის პატრიარქის რწმუნებული, რომელსაც უნდა „აეკრიბა მოწყოლება (des autênes) წმიდა ოდგილების სასარგებლოდ“ იმერეთსა, გურიასა და სამეგრელოში<sup>1</sup>. ფეოდალური გურიიდან წარმომდგარ საბუთებშიც (1796 და 1812 წ. წ.) ეს პირი ჩანს, ვით „პატრიარქის ვექილი იერუსალიმელი ორქიმანდრიტი ჯვარის მამა“, რომელიც გურიაში მეთვალყურეობდა ყმა-მამულს, გურიელების მიერ შეწირულს ჯვარის მონასტრის სასარგებლოდ, კონტროლს უყოფდა შეწირულ გლეხებზე დაკისრებულ „ჯვარის მამის სამსახურს“<sup>2</sup>.

ჯვარის მონასტერს ასეთივე წილი ედო აღმოსავლეთ საქართველოშიც. ითანე ბაგრატიონის „კალმასობის“ (ტ. I, გვ. 2) მიხედვით, „ჯვარის მამაც არის ამ [=საქართველოს] ქვეყანაში“. როგორც მეტოქი ჯვარისმამისა ქალაქ თბილისში, ცნობილია ე. წ. ჯვარისმამის საყდარი<sup>3</sup>, ანუ მოკლედ—ჯვარისმამა, პლ-

<sup>1</sup> Voyages, t. I, p. 323.

<sup>2</sup> დიმ. ბაქრაძე, Археол. путешествие по Гурии и Алчаре (სპბ., 1878), გვ. 320-321.

<sup>3</sup> L. Langlès-ს მიხედვით, „Djagaris [ნამდვილად: Djvaris] māmis sagdari“. იქ. Voyages. t. II (Paris, 1811), p. 78, n. 2.

<sup>4</sup> ბროსე ტრანსკრიფციით, „Djouaris mama“ იქ. მისი Rapport V, pp. 2 et 21.—ამრიგად, „ჯვარისმამა“ ნიშნავს 1) სასულიერო პირს, იერ. ჯვარის მონასტრის წინამძღვარს და 2) თბილისში არსებულ ეკლესიასაც (მეტოქს). ალბათ ცნებათა აღრევის ასაცდენად, ითანე ბაგრატიონს ერთგან უხმარია ფორმა - „ჯვარის მამელი“ (= „ჯვარისმამა“), ვითომ წინამდღვარი „ჯვარისმამისა“ (=იერუსალიმის მონასტრისა). ითანე ს სახელდობრ მოსსენებული ჰყავს „წმიდა მღვდელ-მოწამე ლუკა ჯვარის მამელი, მუხიშვილი-აბაშიძე“ („კალმას.“, II, გვ. 135). ლუკას „ჯვარისმამელობა“ უშუალოდ იმას უნდა გულისხმობდეს, რომ იერ. ჯვარის მონასტერი (ვით თბილისის მეტოქიც), რაცი მას წანამდღვ-

იოსელიანით „Церковь во имя св. креста“<sup>1</sup>. ეს უნდა  
იყოს იგივე, ვახუშტი საგან მოხსენებული, „ეკლე-  
სია ჯვარის, გუნბათანი, შვენიერი“<sup>2</sup>.

ჯვარის მონასტრის საქართველოსთან ურთიერთობის ის-  
ტორიაში, რაგინდ არა საკმაოდ გამოკვლეული რჩებოდეს  
იგი დღემდე, მაინც მკაფიოდ ჩანს ჩვენი აქ დაზიანტერესე-  
ბელი ადათი, სამეკალმასო თხოვა-შეწყნარების  
ტრადიცია, სათანადო საბუთებში ტიპურად გამოხახული.

რამდენადაც გარკვეულ პოლიტიკურა და ეკონომიკუ-  
რითარებაში ჯვარის მონასტრის ორგანიზაციული კავ-  
შირი საქართველოსთან თანდათან სუსტდებოდა, მეტად-  
რე მისი სიშორის გამო; რამდენადაც, მაშასადამე, ის—  
თავის თურქულ გარემოცვაში—მეტი და მეტი სიმწვა-  
ვით განიცდიდა იზოლაციის სიმძიმეს, ათასგვარ ძალ-  
მომრეობას მუსლიმანთა მხრივ, თავდასხმებსა, ძარცვა-  
რბევასა და ტყვეობასაც,—აქედან-კი წარმოდგებოდა  
მონასტრის „ძმათა“ დამშევა და დაგლახაკება,—მის-

---

რობდა „მამა“, ითანეს გაგებით, იყო იგივე „ჯვარისმამა“, და ამი-  
ტომ ხსენებული ლუკა იწოდა „ჯვარისმამელად“ (შდრ. „ბოლნელი“,  
„ტფილელი“).

1 Платон Иосселиани, Описание древностей города  
Тифлиса (თბ., 1866), გვ. 61 და შდგ.

\* ვახუშტი, აღწერა საბეფოსა საქართველოსა (რედ. თ. ლო-  
მოური და ნ. ბერძენიშვილი, თბილისი, 1941), გვ. 53. იხ. აგრეთვე  
მ. ჯ. ა. ნ. ა. შ. ვ. რ. ი. ს. მიერ გამოცემული იგივე შრომა („საქართვე-  
ლოს გეოგრაფია“, თბ., 1924), გვ. 71, შენ. 131.— ჯვარის მამის ეკლე-  
სია ახლაც ღვას ყოფ. ჯვარისმამისა და აწინდევლი ნომენ-  
კლატურით რიუინაშვილის ქ., № 8. სრგათა შორის, ძველ თბი-  
ლისში პოპულარული ყოფილა კარგი ხარისხის პური, რომელიც  
ცხვებოდა ჯვარისმამის ქუჩაზე (ეკლესიის პირდაპირ). მაშინ იქ არსე-  
ბულ საცხობში. აქედან წარმოდგება სახელი „ჯვარისმამის პურის  
ლაგაში“, აღნიშნული იმდროინდელ ნიხრებში (იხ. გან. ივერია,  
1887 წ., № 1, გვ. 4, ნიხრი).

Rida G. Vekua

თვის და მისი ადგილობრივი ჭირისუფლებისათვის (თვით ჯვარისმამები და პატრიარქები იერუსალიმისა) მეტი და მეტი მნიშვნელობა ეძღვოდა მათ სადაცთრო ანგარიში მეფე-მთავართაგან მამულისა და უწყვეტელი სარჩოს ძიებას, მაშასადამე, უმარტივესი გზით—კარის-კარ სამეკალმასო ჩამოთხოვასაც.

კერძოდ, ჩვენს ისტორიაშიც კარგად ცნობილი და ოსით ეოსი, იერუსალიმის პატრიარქი, თავის ეპისტოლები სთხოვდა ქართლის მეფეს ერეკლე I-ს (1688-1703), იმავე ნიკოლოზს, დაეთმო იერ. ჯვარის მონასტრისათვის—„ერთი ეკლესია“ და წმ. საფლავისათვის—„რომელიმე, მეფის კუთვნილი, ხეირიანი ადგილი“, სადაც, პატრიარქის განზრახვის თანახმად, მისი რწმუნებული „მამა სერგი“ ააგებდა „ერთორ მცირე სენაკს ბინად წმ. საფლავის მამებისათვის“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Послания иер. патриарха в Грузии = ურ. „საქართულოს სასულიერო მახარობელი“, იგვე „Духовн. Вестник“, რუსული „დანართები“ („Прибавления“), თბ., 1866 წ., № აპრილისა, გვ. 168.—ჩვენთვის საინტერესო მასალას, იოსელიანის შენიშვნებით გამართულს, ფურნალის რედაქცია აქვეყნებს, ვით პლ. იოსელიანის მიერ „უწყებულს“ („Сообщеніе] Платоном Иосселианам“). იქვე, № მაისისა, გვ. 190. იოსელიანის „უწყებული“ წარმოადგენს პორფირი უსაკენტკის მიერ შესრულებულ თარგმანს, ახალი ბერძნულით (იგვე, № აპრილისა, გვ. 160). თავის დროზე ალ. ცაგარელმა ეს მასალა გამოიყენა ისევ იოსელიანის მიერ დაბეჭდილის მიხედვით. იხ. ცაგარ., Памятники грузинской древности = Правосл. Палест. енциклопедия, ტ. IV, ნაკ. I (სპბ., 1888), გვ. 69 და შენ. 2 და შდგ. დოსითეოსის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ზოგი ცნობები საქართველოს მონასტრების შესახებ მკვლევარს ამოუკრეფია რუს. შეცნ. აკადემიის გამოცემიდან—Bull. Scientifique, ტ. V, 1839. იხ. ცაგარ., დასახელ. შრომა, გვ. 69 და შენ. 1. ცაგარლის ყრუ მითოთება გულისხმობს აღნიშვნულ ტომში მოთავსებულ შრომას: Brosset, De l' état religieux et politique de la Géorgie jusqu'au XVII siècle, col. 225—256.

პატრიარქის მეორე ეპისტოლებში ეს „მამა“ იხსენება, ვით „არქიმანდრიტი კირ [=უფალი] სერგი“<sup>1</sup>. ალბათ ეს სერგიც ჯვარისმამა ყოფილა.

იგივე პატრიარქი შემდეგ დროში (1706 წლის ივნისი) ვახტანგ მეექვსეს სთხოვს სახლისა და მსახურთა მიჩენას ისევ წმ. საფლავის მამებისათვის. ამასთანავე ის მეფეს სთხოვს — ჩამოართვას კათოლიკე მისიონერებს მათთვის წარსულში დათმობილი ორი ეკლესია და გადასცეს ერთი მათგანი, თბილისში ნაგები, — იერუსალიმელ ჯვარის მამას, ხოლო მეორე, ქ. ვორს არსებული — სომხებს<sup>2</sup>.

ყველა ეს სენაკები, სახლი-სადგომი თუ ეკლესია, ზემოთ აღნიშნულის თანახმად, ბერებს სჭირდებოდათ საქართველოში ფეხის მოსაკიდებლად, სასულიეროსი რა უნდა ითქვას და, — სამნეო მოლვაწეობის გასაშლელად, კერძოდ, ტრადიციული კალმასობის გასახურებლად. კურთხეულ მხარეში, რათა სარჩო დაეგროვებინათ, ამ სარჩოს ნაწილი ვაჭრობის რიგით ფულად ექციათ და ასე დაეკმაყოფილებინათ იერუსალიმის საჭიროებანი, და ა. შ.

პატრიარქი დოსითეოსის აღნიშნულ ეპისტოლები ერეკლე პირველის მიმართ უშუალოდ გამოთქმულია თხოვნა, რომ „მამა სერგის“ ნება დართოდა საქართველოში ეკალმასნა, „მოწყალება შეეკრიბა“, და კალმასობის საქმეში მეფის მფარველობაც არ მოჰკლებოდა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Груз. Духовн. Вестн., 1866 წ., № მაისისა, გვ. 177.

<sup>2</sup> იგივე, გვ. 178.

<sup>3</sup> იგივე, გვ. 182.

<sup>4</sup> იგივე, № აპრილისა, გვ. 169.

იმავე ეპისტოლეში განხხატულია სათხოვარიც, რომ  
მეფეს შეეშვა თბილისში ისევ „მოწყალების შესაკრებე-  
ლად“ მამა იოსები,<sup>1</sup> გვარად ქსნის ერისთვიანი,  
იერუსალიმს არქიმანდრიტის პატივით შემოსილი<sup>2</sup> და  
საქართველოს საკალმასოდ მოვლენილი.

რაც შეეხება შენაკრებ-შემოსავლის განვაჭრებასა და  
ფულად ქცევას, ეს მონასტრებისა და მათი მეტოქების  
პრაქტიკაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ეს ფული,  
იგულისხმება, ემატებოდა იმ ფულადს შემოსავალს, რო-  
მელიც ჰქონდათ, ჩვენს შემთხვევაში, იერუსალიმიდან  
საქართველოში გამოგზავნილ მამებს სათანადო სამო-  
ნასტრო მამულებიდან თუ კალმასობის შედეგად. ერთი  
სრტყევით, იერუსალიმი საქართველოდან „პიასტრებს“  
ელოდა. ეს ნოვლენა ვა ზუშტი ისაც (XVIII ს.) აქვს  
აღნიშნული. დირბს არსებულ მონასტერშიო, წერს  
ის, „ზის არქიმანდრიტი იტრუსალემის ჯვარის მონასტ-  
რისა. არამედ მეფენი [ქართლისანი] [ამ თანამდებობაზე]  
დასმენ [ტომით] ქართველთა, და ყოველს საქართველოსა  
შინა არს მამული მისი, და ჰელობს [ამ მამულს] ესე  
[= არქიმანდრიტი], და მოსავალს გზანის ვერცხლიდ  
[= ფულად] იტრუსალემს“<sup>3</sup>.

## IX.

საქართველოს თემებში კალმასობის საქმის მოსაწესრი-  
გებლად, როგორც აღინიშნა ზემოთ, იერუსალიმის პატ-  
რიარქს არ უნდა მოჰკლებოდა მეფის მფარველობითი

<sup>1</sup> Груз. Духовн. Вестн., № აპრილისა, გვ. 168.

<sup>2</sup> იგივე, გვ. 163 და 164.

<sup>3</sup> ვა ზუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს  
გეოგრაფია), ათ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქ-  
ციით (თბილისი, 1941), გვ. 79. შდრ. დ. დონდუა, ვაზუშტის მა-  
ტიანე და მისი სამეურნეო ცოდნების გეოგრაფიულობა = ვაზუშტის სა-  
ხელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I (თბილისი, 1947),  
გვ. 99.

მონაწილეობა. მხოლოდ მას სხვა საზრუნავიც ჰქონდა: უმთავრესად ის, რომ შეკალმასეებს და მეტოქის სხვა მონაწილეებს „მონარეწი“ არ შეეჭიმათ, არ გაეფლანგათ. ეს, გასაგები მიზეზის გამო, ყველაზე უფრო დამაფიქრებელი საზრუნავი ჰქონდათ იერუსალიმის პატრიარქებს. ქართველ მეფეთა საკმაო სიუხვე პალესტინელი „ძმების“ მიმართ თავისთავად მოწმობს, რომ მეფენიც არ უგულებელყოფდენ მაშინ (XVII-XVIII ს. ს.) ჯერ კიდევ საქართველოს სამხრუნველოდ ცნობილის იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ინტერესებს.

ზემოთ მოხსენებული დოსითეოსი არა ერთხელ სჩიოდა ქართველ მეფეებთან მოწერილ ეპისტოლეებში, რომ ჯვარისმამები საქართველოში სწორედ სჭამდენ და ფლანგავდენ იერუსალიმში გასაგზავნ ფულს. „ივერიიდან, — სწერს პატრიარქი ერეკლე I-ს, — ეს [ჯვარის] მონასტერი [მრავალი წლის მანძილზე] არაფერს არ იღებდა მოწყალების შემცირებთა ვერცხლისმოყვარეობის მიზეზით“<sup>1</sup>. ხოლო სხვა შემთხვევაში, 1699 წლის თარიღით, იგივე პირი წერდა: ავერ რამდენი ხანია, რაც ჯვარისმამები არც ერთ პიასტრს არ გვიგზავნიან. საქართველოდან იერუსალიმს, თუმცა ისინი „ფულს ჰევეკენ ცალკე მოწყალების სახით, ცალკე ჯვარის [მონასტრის] კუთვნილი სოფლების [ექსპლიატაციის] გზით“<sup>2</sup>. ამგვარად გაფლანგული ფულის რაოდენობა, XVII საუკუნის ცნობებით, ითვლებოდა თუნდ ათჯერ. და ასჯერ ათასეული პიასტრებით<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Груз. Духовн. Вестн., 1866 წ., № აპრილისა, გვ. 167.

<sup>2</sup> იგივე, № მაისისა, გვ. 186.

<sup>3</sup> იაგარელი, დასახელ. შრომა, გვ. 71.

აქ მკითხველის ყურადღებას იპყრობს არა მხოლოდ  
მძიმე ბედი ჯვარის მონასტრისა, არა მარტო ის, რომ  
პატრიარქის ხარბ რწმუნებულებს არ ედარდებოდათ  
კულტურის ძველი კერის გავერანება, არამედ მძიმე ბე-  
დიც ისევ ქართველი გლეხეკაცობისა და ქართული სოფ-  
ლებისა, სადაც, მაშასადამე, მეკალმასეების როლში  
გამოდიოდენ უკვე სრულიად ვიგინდარა პირები, საქარ-  
თველოში ბედის მაძიებელი უსაქმო ელემენტები.

როგორც სხვა ეკლესიისა, ისე საქართველოს ეკლე-  
სიის ისტორიიდანაც ცნობილია, რომ ძველადაც და  
უგვიანეს ხანებშიც კულტის მსახურთა და მრევლს შო-  
რის არა ერთხელ გამოუწვევია კონფლიქტები იმ გადა-  
სახადებს, რომელთაც ეკლესია ჰკრებდა, კერძოდ, მრევ-  
ლის საკულტო მომსახურებისათვის (მირონის კურთხევა,  
ეამისწირვა, გვირგვინის კურთხევა, და სხვ.)<sup>1</sup>. ნ. მარით,  
„იმ გადასახადთაგან, რომელთაც გამოუწვევიათ ერის-  
ტაცთა უკმაყოფილება სამღვდელოების წინააღმდეგ XIII  
ს-ის დამდეგს, ერთი გამოიყენა XX ს-ის დასაწყისში  
უკანასკნელმა რევოლუციურმა მოძრაობამ  
[ვით საგიტაციო მასალა] გურიაში და, საერთოდ, საქართ-  
ველოში: ეს იყო, — განაგრძობს ავტორი, — ფულადი გადა-  
სახადი მღვდლების სასარგებლოდ, დღეს ცნობილი ძვე-  
ლი ტერმინის სახით — დრამის ფული“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ნ. ნ. მარი, Надпись Епифания, католикоса Грузии. Изв.  
Рос. Акад. Наук, № 6. VI, № 17 (საბ., 1910), 83. 1433—1442.  
აგრეთვე: ივ. ჯავახიშვილი, სოც. ბრძოლის ისტორია საქართველოში  
IX—XIII საუკუნეებში, თბილისი, 1934, 57 გვ. აგრეთვე: ვ. დონ-  
დუა, К соц.-экон. жизни среднев. Грузии по Анийской над-  
писи (1218 г.) Епифания. საიუბ. კრ. „АН СССР академику Н. Я.  
Марр“, ლით., 1934, გვ. 643-670.

<sup>2</sup> ნ. მარი, Надпись Епифания, გვ. 1441.

შეუძლებელი იქნებოდა, რომ ან მეკალმასეებს, მეტად-  
რე მაბეჭარა ბობოლებს მათ შორის, არ გამოეწვიათ  
მოსახლეობაში მსგავსი კონფლიქტები. ჩვენს განკარგუ-  
ლებაში არსებული საისტორიო მასალებიც საკმაო სიცხა-  
ლით მოწმობენ ამას.

პატრიარქი დოსითეოსის ეპისტოლეში ვახტანგ  
VI-ის მისამართით (1706 წლის ივნისი) კარგად ჩანს,  
რომ დოსითეოსის დავალებით ჯვარის მონასტრისთვის მე-  
კალმასე „იღუმენებს“, იმავე ჯვარისმაჩებს, კერძოდ,  
არსენის და იქნება „კირ სერგისაც“, ეპისტოლეში სხვა  
კონტექსტში მოხსენებულს, — ამათ მოსახლეების წყრომა  
გამოუწვევიათ. მაგრამ რა მიზეზით? — პატრიარქის გან-  
მარტების თანახმად, მიზეზი ყოფილა მეკალმასე იღუ-  
მენთა მფლანგველობა, მათი დიდკაცური ზეიმით მოგ-  
ზაურობა სოფელ-სოფელ და, მაშასადამე, საზიმზიმო  
და სადიდკაცო გაუმართლებელი ხარჯები. ასეთი გან-  
მარტება პატრიარქისა ნათლად არის გამოხატული მისი  
შემდგომი სიტყვებით: „თუ იღუმენი [არსენი?], — წერს ის,  
— წავიდა ივერიის [=საქართველოს მხარეების] გან-  
მოსავლელად, მონასტრისათვის შეწირულების შესაკრე-  
ბად, მან უნდა იმოგზაუროს [იქ] არა როგორც არ-  
ქიეპისკოპოსმა და კათოლიკოსმა, არამედ რო-  
გორც იღუმენმა; ისე რომ ავად არ გამოიყენოს ხარ-  
ჯების [გაწევის უფლება] და თავი დაიჭიროს თავმდაბლად.  
მაშინ, განაგრძობს დოსითეოსი, ქრისტიანები პატივისცე-  
მით მოეპყრობიან მას და მისცემენ შესაწირავს, ვინ მეტს,  
ვინ ნაკლებს, მონასტრის შესანახად. უმეტესად იღუ-  
მენთა ამპარტავნობამ და მფლანგველობამ მიაყენა უდი-  
დესი ვნება მონასტერს“-ო, და ა. შ.<sup>1</sup>

<sup>1</sup> Груз. Дух. Вест., 1866 წ., № მაისისა, გვ. 177:

ასეთი უწესოებით გაუთქვამს სახელი ჯვარელ წინა-  
მდღვარს არსენისაც<sup>1</sup>. იმავე პატრიარქის ეპისტოლებ  
თანახმად ერეკლე 1-ის სახელზე, საქართველოს კათო-  
ლიკოსს ითანესაც, გვარად დიასამიძეს (გარდ. 1700),  
ებრძანებინა თავის დროზე ამ წინამძღვრის გადა-  
ყენება. ახლა ეპისტოლებს ავტორიც. რა ფბრუნდება ამ  
საკითხს, ითხოვს მეფისგან - შეასრულოს გარდაცვალე-  
ბული ქათოლიკოსის ეს სურვილი და გააძეოს არსენი,  
„რათა აღმოიკვეთოს ყოველგვარი დაბრკოლება სიახის  
უბანში“-ო<sup>2</sup>. ეს სიახის უბანი, სავარაუდებელია;  
წირმოადგენს ბერძნულ ტრანსკრიფციაში გრაფიკულად  
სახეშემოალულს ჩვენს კიხის უბანს (ძველ თბი-  
ლისში)<sup>3</sup>. ხოლო „დაბრკოლება“ ძველ ქართულში ნიშ-  
ნავს — „რა კეთილისა საქმისაგან დაახრწიო კაცი“<sup>4</sup>, ეს კ  
იგი კეთილს ააშორო და ავი ჩაადენინო, იგულისხმება,  
მაპროვოცირებელი საქმით. ის რუსულად ითარგმნება  
„სიბლაზი“ სიტყვით.

ჩანს, წინამძღვარ არსენის თავისი უწესოებით გა-  
მოუწვევია თბილისელ მოსახლეობაში, „დაბრკოლების“  
შედეგად, „ავი საქმე“. ეს უთუოდ იმას უნდა მოასწი-  
ვებდეს, რომ არსენის მიერ განაწყენებულ თბილისელებს,  
ჩვენი აზრით, კიხისუბნელებს, ზურგი უქცევიათ მეკალ-  
მასეებისთვის და უარი უთქვამთ მონასტრის სასარგებ-  
ლოდ ხარჯის თუ წვლილის გალებაზე.

<sup>1</sup> ოგივე, № აპრილისა, გვ. 167

<sup>2</sup> „ჭიათურის უბანი“ რუსულ თარგმანში გადმოცემულია სიტყვებით  
— „в месте Сиахи“ (გვევ, გვ. 168).

<sup>3</sup> მდრ. ჭავალა და ჭახი პლ. ი ს ე ლ ი ა ნ ი თ, „Это название  
[Сиахи] греческое местности подворья иерусалимского в Тиф-  
лисе“. ჯვარისმამის ეკლესია თბილისში სწორედ სიახის გადაღმა-  
ცგას. სამწუხაროდ, ჩვენ ამეამაც, ტექნიკური მიზეზით, ვერ გახვრ-  
ტებთ ბერძნული დადრეს შემოწმებას.

<sup>4</sup> ორბეგლიანი, ქართ. ლექსიკონი, ს. v. დაბალითება.

ეტიფანე კათოლიკოსის დროს (XIII ს-ის დამდეგს) ხუცებისგან წარმომდგარმა „დაბრკოლებამ“ ქ. ანისის ქართველები (და, საერთოდ, იქაური ქალკედონიტი ქრისტიანები) აამოძრავა საეკლესიო გადასახადების წინააღმდეგ. მაშინ ამან გამოიწვია კათოლიკოსის ასეთი დამარიგებელი სიტყვები მღვდლების მიმართ: „ამ სასოხო ჩერ ანელნო ხუცესნო, — მიმართავდა მათ ეტიფანე, — ნუ იქნებით დასაპრკოლებელ [სალთოთა] სიტყუათ და ნუცა გარდჟდებით მაციქულთ მცნებასა ცუდისა და წარმავალისათუს“. ნ. მარის თარგმანით, „не будьте соблазном для [божьих] слов“, და ა. შ<sup>1</sup>.

XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე ანალოგიური ამბავი მომხდარა თბილისშიც. მხოლოდ კათოლიკოსმა ეტიფანემ იმ თავის „უნიკალურ“ (ნ. მარი) ანისის წარწერაში შეძლო საქვეყნოდ აღეხუსხა ეკლესიისათვის უსიამოვნო კონფლიქტს ხასიათი და მიზეზები. იერუსალიმის პატრიარქი-კი კუმარობს ბუნდოვან მითითებებს მისი სალაროს მაზარილებელი კონფლიქტის შესახებ. მაგრამ კარგად ცნობილია, რომ ძველ ივტორებს, საერთოდ, არ ჰქონდათ ტრადიციად ხალხის სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობათა მტკიცნეულისა და ინტიმური მხარეების გამოყენებისა, მათ მიერ შედგენილი საბუთები ამ მხრივ, როგორც წესი, ძალზე ნაკლოვანი ჩანს.

კურძოდ, ჩვენთვის საინტერესო მეტოქის, თბილისის ჯვარისმამის კარიბჭის ქვაფიცარზე შემონახულ წარწერაში, რომელიც მხედრული ანბანით არის სუფთად ამოკვეთილი, ერთერთი ჯვარის მამა ასე ღალადებს თავისი ვინაობისა და ღვაწლის შესახებ:

<sup>1</sup> Надпись Епифания, гл. 1437.

1 წელსა 1794

- 2 ჩარმოვლენილმან წმიდისა საფლავით საქართველოსა
  - 3 შინა 30 წელიწადსა ვმართე სისხლაღმდე შრომილით ღუაწლითა ყმანი და
  - 4 აღგილნი მისნი [=წმ. საფლავისა] და უკანასკნელ დროსა მოსიის ერთმთავრისა ცლექსანდრე
  - 5 პირუტლისასა წელსა ჩყკე 1825 აღვაშენე ანლითა საფუძულითა კარის ბჭე ესე
  - 6 სამრეკლომთურთ რომელიცა შევაერთე ძუტლად ნაშენსა ეკლესიისა ტაძარსა ამას ცხო-
  - 7 ველს მყოფელისა ჯუარისასა და ეგრეთუც აღუაშენე სასახლენი გარემოს ამისსა მდგომარენი
  - 8 და შევსძინენ ყმანი და მოვუპოვენ სამსავე სამეფოსა შინა. ესე იგი ქართლსა, კახეთსა და იმერეთსა შინა და-
  - 9 კარგულნი მამულნი მე ჯუარის მამამან ჟერძენმა ცრხიმანდრიტმან ზენედიკტე ზიტინელმან<sup>1</sup>.
- ამრიგად, ჯვარისმამა ვენედიკტე ვიტინელი აცხადებს, რომ წმ. საფლავის სახელით „ყმათა და ოლგილთა“ შეძენა 1794-1825 წლების მანძილზე მას დასჯდომია „სისხლის“ ფასად, „სისხლი და მდე შრომილ ღუაწლად“, ვინ იცის, იქნებ ამ „სისხლი“ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით,—თუ სცემეს მას მისგან შეწუხებულმა პირებმა, თავი გაუტეხეს (მოვაგონოთ ე. წ. „თავის გასამტეხლო“ ჯარიმა), და ა. შ. ხოლო რაც შევხეპა-

<sup>1</sup> წარწერის ტექსტი გადმოწერილია ჩვენ მიერ 26. VI. 49.—რამდენადაც იერუსალიმელი ჯვარისმამბი, როგორც აქ წარმოდგენილ წარწერაშიც ჩანს, წლობით რჩებოდენ საქართველოში, ბუნებრივია, რომ იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“—ში გვხვდება ზემოთ მოყვანილი შემდგომი სიტყვები: „ჯვარის მამაც არის ამ ქვეყანაში“—ო.

თვით ყმებს, ქართველ გლეხებს (რომელთაც იქნებ მართლა მისცეს ვენედიკტე ვიტინელს მიზეზი „სისხლის“ მოხსენებისათვის), ჯვარისმამას, ვენედიკტე ვიტინელს, გასაგებია, აზრადაც არ მოუვიდოდა—მათი სისხლისა და ოფლის ღირებულებაზეც ეთქვა რამე. ამას გარდა, ისტორიამ, მოყვანილი წარწერისგან დამოუკიდებლივ, რამდენადმე უკვე აღნიშნა თვით მისი, ვენედიკტე ვიტინელის, „შრომილი ღვაწლი“ საქართველოში, ისიც—ოფიციალურმა ცარისტულმა ისტორიამ. ვგულისხმობთ გენ. ერმოლოვის ქალალდებს, უშუალოდ—მის რაპორტს (6.V.819) ალექსანდრე პირველის სახელზე, სადაც აღნიშნულია, კერძოდ, არქიმანდრიტი ვენედიკტეს უწესობანი და დანაშაულობანი. თურმე, როდესაც ვენედიკტე მის პოსტზე საქართველოში შეცვალა მეორე არქიმანდრიტმა, მათემ, მაშინვე „открылись,—წერს ერმოლოვი,— в разных присутственных местах [судебные] процессы по подрядам, закладам и торговым оборотам, в коих упражнялся во все время пребывания своего здесь [в Грузии] архимандрит Венеликт.<sup>1</sup>

<sup>1</sup> Н. Кацтерев. Сношения иерусалимских патриархов с русским правительством в текущем [XIX] столетии=Правосл. Палест. сборник, Т. XV, №23. 1 (სპბ., 1898), გვ. 614.—ერმოლოვის მიერ დასახელებული ვენედიკტე უთუოდ არის ზემოთ მოყვანილის ჯვარისმამის წარწერის ვენედიკტე ვიტინელი. ერმოლოვის თანახმად, ეს მისი პიტაკი იწერებოდა მაშინ, როდესაც, ვენედიკტეს ნაცვლად, უკვე მათე იყო დანიშნული. ხოლო მათე აღნიშნულ დროს (6. V. 819) „ნახევარ წელიწადზე მეტი“ ხნის ჩამოსული ყოფილა საქართველოში (იქვე, გვ. 615).. თავის მწრივ, ვენედიკტე საკუთარ წარწერაში მაჭიმობს, რომ მან განაახლა თბილისის ჯვარისმამის ეკლესია თავისი საქართველოში მოღვაწეობის 30 წლის ძავზე, სახელდობრ 1825-ს. გამოდის, 1818 წელს (ოქტომბერ-ნოემბერში) ის ჩამოსცილებია წ.მ. საფლავის გვემდებარე ეკლესია-მამულების მცენა-არქიმანდრიტობას და დარჩევ-

ім юридісомбас, რომელсაც გენეралмა იმავე პიტაკში უწოდა „неприличное для духовной особы занятие“ (ржв), გასაგებია, პატრიარქ დოსითეოსის ენაზე უნდა დარქმეოდა „დაბრკოლებანი“. ჩვენ ვცადეთ, ეს დოსითეოსის ნახმარი „დაბრკოლებანი“ გაგვეაზრებინა, როგორც ბუნდოვანი მოწმობა იმისა, რომ კულტის მსახურები, მათ შორის მეკალმასენიც, თავისი ანგარებით იწვევდენ ხალხში უკმაყოფილებას და პროტესტებს. პხოლოდ ზემოთ ამის შესახებ აღნაშნულს უნდა დავსძინოთ, რომ ჩვენს მოსაზრებას მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს იერუსალიმის მეორე პატრიარქის, ათანასეს, მერმინდელი ეპისტოლე (1. VI. 838), რუსეთის სინოდში შესული. „ეს ერთი ხანია, —წერს ათანასე, —[საქართველოში] ხდება მიჩევება მამულებისა და ამბოხი ერისა, რომელნიც იმყოფებიან უოვლადწმიდა საფლივის ქვემდებარებაში“.<sup>1</sup>

ოღონდ უნდა შევნიშნოთ, რომ აქ მოხსენებული „ამბოხი ერისა“ („смуты“) უფრო რთული სოციალური ბრძოლის გამოძახილია, ვიდრე როგორსაც ითვალისწინებს უშუალო ხავანი წინამდებარე ნარკვევისა. ათანასეს ეპისტოლე, 1838 წლის თარიღით შედგენილი, ქრონოლოგიურად ხვდება იმ დროს, როდესაც საქართველოში რაგინდა სახით გამოვლენილი უკმაყოფილება ერის სტიქიურად ქმნიდა ერთს ზოგად ისტორიას „ერის ამბოხისას“, რომელშიც გლეხიც ჩატრეული იყო და აზნაურიც (1832 წლის შეთქმულები), რომელშიც, —მართლია, მხოლოდ რამდენადმე, —აზნაურებიც ვნებულ იქნებია.

ნილა საქართველოში, ვით ჯვარის მაზა, თავა ჯვარისმამი ეჭლესჩერა, რომლის მრევლიც არ ემორჩილებოდა წმ. საფლაჭიევე, გვ. 623).

<sup>1</sup> ტ-ტში: „Случаются притязания на земли и смуты между подвластными всесвятому гробу людьми“. Н. Каптерев, დასახ. შრ., გვ. 618.

და სამღვდელონიც, „მეკალმასე“ მონასტრებიც და  
მათი მეტოქებიც. ხალხის უკავშიროფილება, ათანასეს  
საყურადღებო მოწმობით, კერძოდ, თავზე გარდა-  
ხოხევიათ წმ. საფლავის „მოლარებსაც“.

## X

წემოთ გამოთქმულ იქნა მოსაზრება, რომ კალმასობის  
წესით პურის „მოშოება“ მარტო მონასტრების ჩვეულება არ  
უნდა ყოფილიყო, ის ტრადიციად ჰქონიათ „მსოფლიო-  
თაც“. ამას, სხვათა შორის, მოწმობს ითანე ბაგრა-  
ტიონის გამოცდილებაც. მასაც სცოდნია, რომ საკალ-  
მასოდ ბერიც დადიოდა და ერიც.

მართლაც, მოვიგონოთ ფაბულური სათავე მისი „კალ-  
მასობისა“ (ტ. 1, გვ. 1). იქ მკითხველის წინაშე ჯერ  
ჩნდება ერთი მოქმედ პირთაგანი—ბერი ითანე. ამას,  
საკალმასოდ გზაზე დამდგარს, მოგზაურობის დასაწყის-  
შივე ხედება წინ ერის კაცთაგანი, ზურაბა ლამპა-  
რაშვილი, ქალაქი გორის მოსახლე, და ორივე შემხვ-  
დურს შორის იმართება დიალოგი:—

ითანე: საით გიძლვის უფალი?

ზურაბა: მუნ, საიდგანაც უნდა გამოვზარდო  
შვერლები ჩემი.

ითანე: მაშასადამე, ჰგავს, საკალმასოდ რო-  
ნინებ!

ზურაბა: ამ! მალე მიწევნილ ხარ დაფარულმცნო-  
ბელობაში...

გამოდის. ქალაქელი კაცი, ითანე ბერის მსგავსად,  
დადგომია გზის საკალმასოდ, ოლონდ იძ განსხვავე-  
ბით, რომ, როგორც ეს ნაჩვენებია დასახელებულ შრომაში,  
ბერი კალმასობდა მონასტრის სასაჩვებლოდ, ხოლო  
ერისკაცი თავისი ოჯახის შესანახად.

მკითხველი თვითონვე განსჯის — რამდენად ბუნებრივია, თუ ანალოგიური ფაქტები წერილობით ძეგლებში ძნელი მოსაპოვებელი ჩანს. საერისკაცო მეკალმასეები, საშოვარზე გამოსულნი, ცხადია, ღარიბ-გაჭივრებული სოციალური ელემენტები უნდა ყოფილიყვნენ, და, მაშასადამე, მათი კარდაკარ „რონინის“ ამბები მხოლოდ შემთხვევით შეიძლებოდა მოხვედრილიყო (თუ, საერთოდ, მოხვდებოდა) იმდროინდელ ლიტერატურულ ძეგლებში; მონასტრების კალმასობა-კი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე იყო, ხშირად მეფეთა მონაწილეობით დადიდი მასშტაბით ორგანიზებული, რის გამოც მან საკმაოდ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა სიგელგუჯრებში თუ სხვა რიგის წერილობით წყარიოებში.

მაინცადამაინც, ეთნოგრაფიულ ყოფაში გარდმონაშთის სახით ჩარჩენილი, სამეკალმასო ადათი აჩენს მის საერისკაცო ხასიათს.. აქ ვიქმარებთ საორიენტაციო ხასიათის ორიოდე ცხობას.

ერთგვარი საველე ძიების შედეგად ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ რიგ სოფლებში (ს. დირბი, ს. ბრეთი და სხვ.) კალმასობის ჩვეულება ცნობილი ყოფილი ბაზშა-კალმასის სახელით. ჩვენი დირბელი ინფორმაციონის განმარტების მიხედვით, საქმე ასე წარმოგვიდგება: მას შემდეგ რაც ამადაამ პირმა „ხატს შეუთქვა“ შესაწირავი (ცხვარი), ის დადისკუთხემებობლობაში ეზოებო, „შოულობს“ კაკალს, ხორბალს, საერთოდ, პურეულს; ნაშოვარს ნაწილ ჰყიდის და აღებული ფულით ჰყიდულობს შესაწირავ საკლავს.

რაც შეეხება თვით სახელს „ბაზშა-კალმასი“, ამ კონკონზიტის მეორე ნაწილი („კალმასი“) უკვე ზემოთ არის განხილული. პაზშა სიტყვა, თავის მხრივ, ცალკეული ხმარებული, კარგად არის ცნობილი როგორც წერილობით ძეგლებში, ისე ეთნოგრაფიულ მასალებშიც.

ს.-ს. ორბელიანით, ბაზე „სანათს“ ნიშნავს<sup>1</sup>. ამას სავსებით ეფარდება პოეტური შეღარება: „ტარი-ელს პირსა ციმციმი ათქს უნათლესი ბაზმისა“ (კ. ტკ., 1517. 1). ვახტანგ VI-ს ეკუთვნის ხანა: „ბაზმა დამწვის, ზეთს ასხმენ, მატოს შუქს მოსახმარისა“<sup>2</sup>. მაშ, ბაზმა აქ განიმარტება, ვით „ზეთით ასანთები ხან-თელი, კანდელი“<sup>3</sup>. ქიზიყურით, ბაზმა არის „ნიგვზის ზეთი ანთებული. ქიზიყუში ნიგოზსაც ანთებენ“<sup>4</sup>. რაჭუ-ლით, ეს არის საკმევლად სახმარი დამწვარი კაკალი („კაკალს წვავენ ეკლისიაში“)<sup>5</sup>. იმერულ თქმაში ბაზმა ნიშნავს „თხის ქონისა და ნიგვზისაგან შეზავებულ მალა-მოს“, რომელსაც გადამდები სენით შეპყრობილის ოჯახში „ცეცხლს უკიდებენ“ და „ილოცებიან“<sup>6</sup>.

ამას დავსძინოთ ჩვენ მიერ ჩაწერილი, ქართლის სოფლის ყოფაცხოვრებიდან 『აღებული შემდეგი ცნობა. აქ ბაზმა უშუალოდ ნიშნავს „ნიგვზის ზეთით გაუენ-თილ ბამბის პატრუქს“, რომელიც კეთდება ასე: ფილში, ბამბის ფთილასთან ერთად, ჰყრიან გაწმენდილ ნიგოზს

<sup>1</sup> ორბელიანი, ქართ. ლექსიკ., ს. ვ. ბაზმა.—აჭარიან ს მის შესატყვისად გამოცენებული აქვს „ჭრაქი“ (ძროჭ). ის. მისი დასახელ. შრომა, ტ. 1 (ერევანი, 1927), გვ. 860, ს. ვ. բაზმაკ.

<sup>2</sup> ვახტანგი, ლექსები და პოემები. ალ. ბარამიძის რედაქციით და შენაშვნებით. თბილისი, 1947, გვ. 130, 405. 3.—მისსავე „დასტურ-ლამალ“-ში (გვ. 113, მუხ. იბ=12) იუითხება: „ამბარდანთ... ბაზმის ფასად [ერევათ] პური კოდი ი [=10]“.

<sup>3</sup> ვახტანგი, ლექსები, ზედ დართული ლექსიკონი, შეღვენილი იღია აბულაძის მიერ, ს. ვ. ბაზმა.

<sup>4</sup> სტეფანე მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი (თბილისი, 1943), ს. ვ. ბაზმა.

<sup>5</sup> ცნობის მომწოდებელი—რაჭელი, სტუდ. ალექსანდრე ბენდია-ნიშვილი.

<sup>6</sup> ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა (სპბ., 1911), ს. ვ. ბაზმა.

და ნაყავენ. დანაყილ ნიგოზში აგლესილ ბამბას ასორს-  
ლებენ პატრუქად. გამზადებულ პატრუქს უპრტყელებენ  
ძირს და სამ-ოთხ ლერად („სანთლად“) აკრავენ თევზებენ.  
მერმე ანთებენ, ანთებული შეაქვთ ავადმყოფის საწოლ  
ოთახში (იგულისხმება წითელათი დაავადებული) და  
უდგამენ მას მაგიდაზე. ეს უდრის საკმევლის დაკმევას<sup>1</sup>.

მაშასადამე, ბაზმა სარიტუალო ცნებად ჩანს. შავ-  
თელს, ამის შესაბამისად, ასე შეუმკია დავით აღმა-  
შენებელი: ვაქებდეთო მეფე დავითს—

„სიწმიდის ბაზმად,

არ ბილწად, კაზმად,

ნათლის ემბაზად დაარსებულსა“<sup>2</sup>.

ამრიგად, გასაგებია, თუ, ზემოთ აღნიშნულისამებრ,  
ბაზმა-კალმასი ფორმალურად ხატის კულტთან არის  
დაკავშირებული, და თუ. ბაზმა-მეკალმასენი ჰკრებენ,  
ჰურთან ერთად, სახეოთ ანუ სასაკმევლე კაკალს. ისე  
გამოდის, რომ ბაზმა-კალმასის მომწყობთ საბაბად ჰქონ-  
დათ საუფლო ბაზმის, შავთელისებური სიტყვით, „სიწ-  
მიდის ბაზმის“ საჭიროება. სხვათა შორის, „დასტურ-  
ლამალის“ განარიგით, ამბარღანის სარგოში შედიოდა  
„ბაზმის ფასად პური კოდი ი[=10]“<sup>3</sup>. შეკრებილი კა-  
კალი თავისთავალაც გაკეთდებოდა ბაზმად, პურიც, ნავა-  
რაუდევი იყო, ბაზმის ფასად გასაღდებოდა ბაზარზე, და  
მომხმარებელი ისევ ბაზმას შეიძენდა.

<sup>1</sup> თვით ოთახი, კარ-ფანჯარა, ლამპა მორთულია წითელი ქსო-  
ვილ-ჭინჭებით. შიგ არ შეიტანება, ანთებული ბაზმის გარდა, არა-  
ფითარი ცეცხლის ნასახი, არც წყალი, არც ნემსი. ბაზმასთან ერთად  
მაგიდაზე იწყობა ტკბილული. ავადმყოფს უმღერიან.—ჩაგვაშერინა  
ესტ. ბარნაბიშვილმა, დაბადებით ქართლელმა.

<sup>2</sup> აბდულ მესია, ბ. მარის გამოცემული (=Тексты и разыс-  
кания по армяно-грузинск. филологии, წ. IV, სპб., 1902), 83,  
ნა (=51), 4. 1.

<sup>3</sup> იხ. ზემოთ, გვ. 69, შენ. 2.

თავის ადგილას ჩვენ შევნიშნეთ, რომ კალმასობის ერთ საყურადღებო სახესხვაობას ოჩხარი წირმო-ადგენს. ოჩხარის, გინა ოჩხარობის, საკალმასო ხასიათის მიხედვით, შემთხვევით გარემოებად ვეღარ მივიჩნდვთ, თუ, კერძოდ, ოთანე ბაგრატიონშა თავის „კალმასობა“-ში ერთგან კალმასობა და ოჩხარი, ვით გარკვეული საყოფაცხოვრებო ჩვეულება, ერთად მოიხსენა, სახელდობრ შემდეგ კონტექსტში, მეკალმასე ზურაბი ერთ საუბარში ბოლბელი ეპისკო-პოზის საყურადღებოდ აცხადებს მეკალმასე ბერის, ოთანეს, შესახებ: ამ ბერს „მე ვასწავლე,—ოხუნჯობს ის,— კალმასობა, ღვინის თხოვნა, [კალმასობით შეძენილი] ოქროების კარგი შენახვა. ახლა [ბორჩალოს] თათრებში რომ წავიყვან, ოჩხარსაც იქ ვასწავლი ცხვრის და ძროხის საშოვნელად“.<sup>1</sup>

ამ კონტექსტში „ოჩხარი“ ვანვრცობილად გაებული ჩანს, სახელდობრ—როგორც ცხვრისა და ძროხის მოგროვება, და არა მხოლოდ ცხვრისა, თუმცა სათანადო ჩვეულება, ოჩხარობა, ეთნოგრაფიული მონაცემების თანახმად, ბევრგან ისე ესმით, როგორც, კერძოდ, ზემორე ხსენებულ დიდ მწერალს, ალექსანდ-

<sup>1</sup> კალმასობა, ტ. I (თბ. 1936), გვ. 163.—სამწუხაროდ, მოყვანილი სიტყვები აქ მითითებულ გამოცემაში შეცდომით იკითხება ასე: „...ახლა თათრებში რომ წავიყვანო, ჩხარსაც (sic), იქ ვასწავლი ცხვრის და ძროხის შოვნას“. პირველხაბეჭდ ტექსტში („ცისკრის“ გამოც. კალმასობა, ნაწ. II, 1867, გვ. 99) იკითხება: „თათრებში რომ წავიყვანო ჩხარსაც იქ ვასწავლი ცხვრის და ძროხის საშოვნელად“. ეს ლაპსუსი შერჩენია ყველა სტერეოტიპულ გამოცემებს. იხ. აგრეთვე გ. ჯავახიშვილი, კალმასობა, გვ. 133: „ვასწავლი ჩხარსა“ (!). ხელნაწერის სათანადო ადგილი დაკარგულია.

რე ყაზბეგს, ესე იგი ესმით, როგორც „წაქცეული“ მეცხვარის ფეხზე დასაყენებლად მისთვის ცხვრის მოგროვება და ასე ფარის შედგენა.

მოხევეთა სინამდვილესთან შეფარდებით, თავის დრო-ზე ყაზბეგს „ოჩხრის“ შემდგომი განმარტება მოუ-კია: „მთაში,—წერდა ის,—ჩვეულებად აქვთ: მსურველი [დაზარალებული კაცი] მივა მეცხვარეებში და ითხოვს ცხვარს, ისინიც მოუგროვებენ და მისცემენ. ამგვარად ცხვრის მოგროვებას ჰქვიან ოჩხარი“<sup>1</sup>.

„მამის მკვლელ“-შიც<sup>2</sup> მწერალს გამოყენებული აქვს იგივე სიტყვა. სახელდობრ რომანის გმირი, მწყემსების სარქალი შიოლა მიმართავს მასთან ჩამოშედარ გირგოლას, სხვათა შორის, ასეთი კითხვით: „...გვითხარ, რაი გინდა?.. თუ ოჩხარის გაკეთებას აპირებ, მითხარ, და სხვა მწყემსებსაც შევყრი“-ო. ამას მოჰყვება პასუხი: „მე შენი გაცნობა მეწადის, ოჩხარი რად მინდა!“.. ავტორი, ცხადია, სწორედ „ცხვრის მოგროვებას“ გულისხმობს.

თავის მხრივ, ექვთიმე თაყაიშვილსაც ასევე განუმარტავს ეს ტერმინი საკუთარ დაკვირვებაზე დამყარებით. „ოჩხარი,—წერს ის,—ჩვეულებაა კახეთში: უსაქონლო კაცი მოიწვევს საქონლის პატრონებს, გაუმართავს სადილს და სთხოვს ცო-ცოტა საქონლის ჩუქებას. საქონლის პატრონებიც აჩუქებენ, ვის რამდენი ვეუძლიან, და ამნაირად უსაქონლო კაცი საქონლის პატრონი ხდება“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იქ. შოთა ძიძიგური, ალ. ყაზბეგის ლექსიკონი=ალექსანდრე ყაზბეგი. თხზულებანი [ოთხტომეული], ტ. I (თბილისი, 1948), გვ. 509, ს. V ოჩხარი.

<sup>2</sup> თ. IX, გვ. 251 (იგივე გამოცემა).

<sup>3</sup> ძველი საქართველო, ტ. II (ე. თაყაიშვილის რედაქტორით, თბ., 1913, განყოფ. 5, გვ. 77 და შენ. 1.—აქვეა მოყვანილი

ამ ვანმარტებას რამდენადმე ავსებს ჩვენ მიერ ჩაწერილი შემდეგი ცნობა: დაზარალებული მეცხვარე, რათა მან შეძლოს აღადგინოს თავისი გაწყვეტილი ფარა, საშველად მიმართავს სარქარს, მეცხვარეთა მეთაურს. ვაიშლება სუფრა ამ შემთხვევის გამო დაპატიუებული მეცხვარეებისათვის. სარქარი წარმოთქვამს სიტყვას, გააცნობს სტუმრებს დაზარალებულის საქმის ვითარებას და მოუწოდებს მათ საშველად. შეძლებისა და სურვილის მიხედვით, მოსუფრალნი აქვე, საჯაროდ, აცხადებენ, თუ რამდენ სულს ცხვარს სწირავენ დაზარალებულის სასარგებლოდ. ამ ორგანიზებულ შემწეობას ვერაშინ ვერ გამოაკლდება, „პურშავს“ საკუთარივე ოჯახი გაჰქიცხავს. დაზარალებული იმახსოვრებს, თუ ვინ რამდენის შეწირვა განაცხადა. შემდეგ ჩამოუვლიან „ბინებზე“ (მთაში იქნება ეს თუ ბარში) შემწირველებს, რომელთაც კოლექტიური შეგნება და ადათი ნებას არ მისცემს, ნათქვამ სიტყვას გადაუხვიონ. შედევად ამისა უცხვარო ჭავი ახლად შედგენილ ფარას ეპატრონება<sup>1</sup>.

კურძოდ, ქიზიუში, სადაც „ოჩხრის“ მაგიერ „ოჩხი“ ითქმის, ეს სიტყვა აგრეთვე ესმით, ოოგორც ცხვრის მოგროვება „გაჭირვებულ ჭავისათვის ცხვრის აღსაღვენად“<sup>2</sup>.

ყველა ამ მონაცემის მიხედვით, მაშასადამე, ოჩხარი, მართლა, „ცხვრის მოგროვებას“ ნიშნავს. ეს ვითარება

ხალხური ლექსი ერთხელ გამართული ოჩხარის შესახებ. იქ. აგრეთვე: С. И. Зелинский, Объяснительный словарь тат., груз. и арм.-слов, вошедших в Материалы для изуч. экон. быта гос. крестьян Закавказского края (თბილისი, 1889), 83. 98, s. v. ოჩხარი.

<sup>1</sup> ჩაგვაშერინა ესტ. ბარნაბიშვილმა.

<sup>2</sup> სტეფანე მენთეშაშვილი, ქიზიუში ლექსიგონი, s. v. ოჩხი.

საფსებით შეეფერება ჩვეულების სახელს „ოჩხარი“ (resp. ოჩხარი), რამდენადაც თვით სიტყვა „ოჩხარი“ ეტიმოლოგიურად სწორედ „ცხვარს“ ნიშნავს.

აი, უამეულად, ორიოდე ცნობა ამ სიტყვის ისტორია-დან. როგორც ზოოლოგიური „ცხვრის“ მნიშვნელი, ეს სახელი თდითვე შესთვისებია სოჭხურ ენას (სომხ. ოჩხარ, ոչխար, „ცხვარი“) და სომხურშივე ცოცხ-ლობს, იქ მრავალთ დიალექტური ფორმის მქონე. სპე-ციალურ ლიტერატურაში დადგენილია, რომ, წარმო-შობით, სომხ. „ოჩხარ“-ი ქართველური ფესვი-დანაა, ნ. მარის ტერმინოლოგიით, „თუბალ-კაინურია“<sup>1</sup>, „იაფეტური“, ხოლო ჰრ. აჭარიანის განმარტებით, ის „ნასესხებია სამხრეთ კავკასიის ერთერთ ენათაგან“. პატივცემულ არმენოლოგს საილუსტრაციო ლექსიკური ფაქტები მოჰყავს იმავე ქართველური ენებიდან, მათ შორის: ჭან. ჩხური, resp. მჩხური („ცხვარი“), მეგრ. ჭხური (id.), ქართ. ცხვარი, ძვ. ლიტ. ქართ. ცხოვარი, და ა. შ.<sup>2</sup> მაშასადამე, „ოჩხარი“ ქართ-ველური წარმოშობის სიტყვაა.

მერმინდელ დროებში (ალბათ XVIII საუკუნის უშინა-რეს) ოჩხარი სიტყვა შემოსულა ქართულში „სომხუ-რიდან ისევ უკუქცევითი სესხების“. შეღეგად<sup>3</sup>, მხოლოდ შემოსულა, ვით წეს-ადათის აღმნიშვნელი სიტყვა, ვით „ოჩხარია“.

<sup>1</sup> 6. მარი, Из поездок в Сван[ет]ии=Христианский Вос-ток, ტ. II., ნაკვ. I (სპბ., 1913), გვ. 30.

<sup>2</sup> აჭარიანი, დასახელ. შრომა, ტ. V, გვ. 511 შდგ.

<sup>3</sup> იგივე, გვ. 513-514; „Հայերէնից կրկին յետ է փոխառեալ“, etc.—რაც შეეხება „ოჩხარის“ სომხურიდან შემოსვლის დროებას, მის დასათარიღებლად ჯერჯერობით გვშველის ს.-ს. ორ პელიანის ლექსიკონი, რამდენადაც აქ წარმოდგენილია ეს სიტყვა.

ერთხელვე შემოსული ქართულში, ეს სიტყვა ფრიად ვავრცელებულა მეტადრე კუთხურ ენებში. მას იცნობს ფშავიც, ხევსურეთიც, რაჭაც, და ო. შ. მხოლოდ ის ამ ცოცხალ წმარებაში „დატვირთულბ“ ნაირნაირი ზრითა და მნიშვნელობით. როგორც კალმასობა სიტყვა პრაქტიკაში ზოგან „მოსწყდა“, დაშორდა „კალოს“. და გამოყენებული აღმოჩნდა, პურს გარდა, სხვა პროდუქტების შეკრების აღმნიშვნელ სახელადაც (იხ. ზემოთ, გვ. 30), ისე „ოჩხარიც“ ზოგან დაშორდა „ცხვარს“ და შეითვისა ახალი შინაარსი.

კერძოდ, აჭარიანი ასე განმარტავს „ოჩხრის“ ქართულ ძეიშვნელობას: ის არის „მცირედი პურობა“ („ჭარაჭა, ხჯოვექ“), რომელზედაც ლარიბი კაცი ჰკლავს ცხვარს და, გაუნაწილებს რა შეძლებულებს [სუფრაზე], იღებს მათგან საჩუქრებს („ჭარაჭანხერ“, „პარგევნერ“) თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად<sup>1</sup>.

მსგავსად ამისა, ჩუბინაშვილსაც „ოჩხარი“ და „ოჩხრობა“ ახსნილი აქვს ასე: „უქონელნი კაცნი განუმზადებენ სტუმართა სერსა, და იგინი [=სტუმარნი] შეძლებისამებრ მისცემენ შესაწირავსა; შესაწირავი, ძინების ფრიად მდგომარეობის გასაუმჯობესებლად“<sup>2</sup>.

თუ შები, ოჩხრობის წესით, დაზარალებულს „ცხვარით შეეწევიან“, მაგრამ ისიც ჩვეულებრივად ხდება თურმე, რომ მას „ყველანი ეწევიან, რითაც შეუძლიანთ: ფულით, სურსათით თუ შრომით“<sup>3</sup>.

სხვაგან კიდევ „ოჩხარი“ სხვა საბაზით და სხვა სახით ეწყობა. ერთი ჩანაწერის მიხედვით, რაჭაში „შემოდ-

<sup>1</sup> დასახელ. შრომა, გვ. 514.

<sup>2</sup> ქართ.-რუს. ლექსიკონი, ს. v.. ოჩხარი. იხ. აგრეთვე მისი ქართ.-რუს.-ფრანგ. ლექსიკონი.

<sup>3</sup> სერგი მაჭალათია, თუშეთი (თბილისი, 1933), გვ. 101.

კომაზე ჩვეულებად აქვთ სოფლელთ: ჭირნახულს რომ ჩაკარებენ (მოიწევენ), შეიკრიბებიან ერთად დანადი-  
მობენ<sup>1</sup>. ამ კუთხეში „ოჩხარის“ დანიშნულების  
შეცვლა საგანგებოდ არის აღნიშნული უახლეს გა-  
მოკვლევაში: „დღეს ოჩხარი გულისხმობს საერთოდ  
სოფლის გოგო-ბიჭების შეკრებას სალხინოდ“<sup>2</sup>. ჩვენი  
საკითხისათვის უფრო საინტერესოა რაჭული „ოჩხარის“  
აღრინდელი დანიშნულება. იმავე გამოკვლევაში ამის  
შესახებ დემონსტრირებულია ავტორის ასეთი დაკვირ-  
ვება: „პირველყოფილ-თემური წესწყობი-  
ლების აშკარა გადმონაშთს,—ვკითხულობთ ჩვენ,—  
წარმოადგენდა [რაჭაში] ოჩხარის გამართვის  
წესი ყოველი ნადირობის შემდეგ... ძველად  
მონადირეთა ყოფაში მას სპეციალური დანიშ-  
ნულება ჰქონდა. მასობრივი ნადირობის შემდეგ,  
უმთავრესად მთელი სოფლით ნადირობის შემდეგ, რო-  
დესაც ხორცი თანაბრად იყოფოდა ყველას შორის,  
[გაყიდული] ტყავის ლირებულებით ყიდულობდნენ სას-  
მელს და იმართებოდა საერთო ლხინი მონადირეთა  
თანადასწრებით. ოჩხარის დროს, უპირველეს ყოვლისა  
მადლობას გადაუხდიდნენ ნადირთ პატრინს, ლოცუ-  
ლობდნენ მშვიდობით გადარჩენას“, და ა. შ.<sup>3</sup>

გამოდის, რომ აქ „ოჩხარს“ სახელის მეტი საერთო  
არა აქვს რა „ოჩხარობასთან“, მეცხვარესთან და ცხვარ-  
თან. ძველ ქართულ ადათს, ჩანს, მხოლოდ იმიტომ  
დარწმევია „ოჩხარი“, რომ ის „მასობრივი ნადირობა“,

<sup>1</sup> ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა (სპ., 1912), ს. ვ. ოჩხარი.

<sup>2</sup> ა. რობაქიძე, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთვი  
რაჭაში=შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი. საქართველოს  
უხალხო მეურნეობაში, I (თბილისი, 1941), გვ. 128.

<sup>3</sup> იქვე.

ვით ნამდვილი “ოჩხობაც”, ეწყობოდა შრომისა და „მონარეტის“ დემოკრატიული განაწილების საფუძველზე, პირველყოფილ-თემური გაზიარების პრინციპზე. რაჭულ „ოჩხარის“ ძველად (რამდენადაც ეს ახსოვს ხალხს) სულაც არ ჰქვიებია ეს სახელი, სათანადო ჩვეულება იწოდებოდა „ლოცვალ“<sup>1</sup>.

ერთი სიტყვით, „ოჩხარი“ (ვით კალმასიც), საფიქ-რებელია, ქართველი ხალხის შემეცნებაში არის ვევეს ასო-ციაციას მხოლოდ „ცხვარი“ ცნებისას, და ამის შესაბამი-სად ის მეცხვარებმაც გამოიყენეს და მონადირეებმაც, მან ძირითადი მნიშვნელობის გარდა ყოფაცხოვრებაში მიიღო მეორე მნიშვნელობაც, მესამეც. ასე, ორბელიანით, „ოჩხარი“ არის „მუყა“, ხოლო „მუყა“ არის სახესხვაობა „უწესური სარგებელისა“, „ხარჯზე ნამეტნაობისა“, „შე-საწერი უდებისა“ (თავნებურის, არ-დალგენილისა); „მუ-ყა ხვასტაგთა და აღნალგინები ვალისა“, ესე იგი საქო-ნელზე აკრეფილი მუყა და სესხის პროცენტები—ორივე ერთნაირად არის „უწესური სარგებელი“<sup>2</sup>.

სიტყვის ეს პოლისემანტიზმი გასაგებად ხდის ჩვენ-თვის საყურადღებო იმ მოვლენას, რომ „ოჩხარი“ თა-ვისი მნიშვნელობით შეხვდა და ზედ დაემთხვა „კალმა-სობა“ ცნებას, შეესინონიმა მას, ვით ზემოთ აღნიშ-ნული „მუჩირობა“-ც. ირკვევა, რომ „ოჩხარი“ რიგ შემთხვევებში „პურის მოშოებასაც“ გამოსახავს.

ხევსურულში „ონჩხარი“ (იგივე „ოჩხარი“) გულის-ხმობს პურის ჩამოთხოვასაც, თივისასაც. აკ. შანიძის მიერ ნარედაჭმულ „კევსურულ მასალებ“-ში, ზედ დარ-

<sup>1</sup> იქვე და სპეც. გვ. 190-191.

<sup>2</sup> ს.-ს. ორბელიანი, ქართ. ლექსიკონი, ს. v. ოჩხარი, მუყა და სარგებელი.

თულ ლექსიკონში, „ონჩხარი“ განმარტებულია, როგორც „გაჭირებული კაცისათვის შემწეობის აღმოჩენა“<sup>1</sup>. თვით „მასალებში“ საგანგებოდ შევნიშნოთ შემდეგი დეტალები:

სოფლის ან თემის ამადამ წევრს გამოელია „სარჩო, საქონლისთვის საზამთრო თივა“; მაშინ ის „იქამს ონჩხარს“, ესე იგი: 1 იმარაგებს პურობის გასამართად არაც, ლუდი, 2 გზავნის სოფლებში კაცს, საქვეყნოდ გამცხადებელს, თუ რა უჭირს მას (საქონლის საკვეპი, პური); შეაწიეთ თუნდ თითო „მოში“ თივაო; 3 უპასუხებენ: შევე ევით, „ეგ გაჭირება სუყველაის კარიდ მივ“; 4 „ონჩხარის პატრონთან“ მისულნი, პურობის დროს აცხადებენ „ზოგ ბევრს“, „ზოგ ცოტას“, „რაც ვის შაუძლავ“, რომ შესწიროს, ზოგი ორ „ბარგ“ თივას, ზოგი თითოს; 5 მეორე დოეს „მისცემს ყველა თივას“, „ამით გამაიყანენ გაზაფხულიმდი გაჭირებულს რაჭელც თიკით, ისრევ, თუ პურ გაუთავა, პურით“. აქ დახმარების ორგანიზაცია იცავს კოლექტივისტურ მცნებას, გაჭირებულს ეწევიან კუთილშობილური მოტივით (და არა ბატონებური „სულგრძელებით“ და „შეწყალებით“); გაჭირებული ისეთი კაცი არ არის, „რო სხვათ არ გამაადგას“-ო. თანაც თვითონვე ეზიდებიან ამ პურსა თუ თივას იმ გაჭირებულის „ბანზე“<sup>2</sup>.

ოჩხობის საკალმასო თვისებას, კალმასობასთან იდენტიკას წარმოაჩენს, დასასრულ, შემდეგი ცნობები<sup>3</sup>:

<sup>1</sup> ბესარიონ გაბურუი, ჭვესურული მასალები = ქართ. საენათმეცნ. საზოგადოების წელიწლებული, I-II (თბილისი, 1925), გვ. 292, ს. V. ონჩხარი.

<sup>2</sup> იგივე, გვ. 129-130.

<sup>3</sup> ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებულად საგულისხმო ეს ცნობები თავაზიანად გვასარებლა თავისი უახლესი ეთნოგრაფიული ჩინაწერებიდან მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებას მეცნ. მუშაქმა ილია ჭყანიამ.

ქართლის სოფლების ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ოჩხარი ეწყობოდა „მოუსავლიანობის“ პირობებში. „ხელმოკლე“ გლეხი პურის მოსაშოებლად მართავდა „ოჩხარს“ ამაღამ მოკეთის ოჯახში. პურობაზე ძვ პპატი ეობდენ „კომლის მეუფროსეებს“. თვით იმ ოჯახის მეუფროსე კისრულობდა სუფრაზე წვეულთა ინფორმირების აჩხარის გაკეთების მიხეზ-დანიშნულების შესხებ. აჭვე ცხადდებოდა მსურველთა მხრივ: ვინ „ერთ კორ“ პურს შეეწეოდა, ვინ „ორ კოდს“, ვინ „სამ კოდსაც“. ეს ხდებოდა, როგორც ჩანს მასალებიდან, სწორედ კალოობას, შიგ საჭალმასო სეზონში. თან, რაც ფრიად საყურადღებოა, „ოჩხარი“ კეთდებოდა დაინტერესებული პირის ნათესავებში. „დედი სამშობლოში“. ეს—ზოგადად. ახლა „ოჩხრის“ მოწყობის ერთი შემთხვევა ვინმე მეჯვრის სეველი გლეხის ცხოვრებიდან.

ამ გლეხს „ოჩხარი“ ვაუკეთებია ს. ზელდულეთში, საღაც „დედით ბიძები“ ჰყოლია. წაულია იქ, მეჯვრის-ხევიდან, ლვინო, არაყი, ცხვარი ერთი, ყველი, ხოლო პური (ის, რაც მას არ გააჩნდა) სუფრისათვის გამოუცხო „დედის ძმამ“. პურობაზე ბიძებმა დაუპატიუეს „უფროსი ხალხი, შეძლებული და მოსავლიანი“. აქ ზოგმა „ერთი კოდი“ შეაწია, ზოგმი „ორი“, სხვამ კიდევ „სამი“. მერძე „პურის ჭამაზე“ დასწრებულთ დარივებიათ ტომრები. შედეგად ყველა ძმისა „აშენდა გლეხი“, იქიდან თავის სოფელში წაულია მას კოცდა რვა კოდი პური“.

დამოუკიდებლივ იმისაგან, რომ ქართლში იცნობენ ცხვრის მოსაგროვებელ ოჩხარსაც (ნამდვილი ოჩხარი!), მოყვანილი მასალა მკაფიოდ მოწმობს, რომ ოჩხარი ხშირად სწორედ პურის მორეწვას აღნიშნავს. ესევე მასალა თანაც აღისტურებს ძმაზრებას, რომ ოჩხრის გენეზისური სათავე გვაროვნული

წყობილების წიაღში უნდა დებულიყო. ამანც  
ცხადყოფს მეტადრე ოჩხრის ორგანიზაციულად დაკავ-  
შირების ფაქტი „დედიდ სამშობლოსთან“ და „დედიდ  
ძმებთან“, რისთვისაც ჯეროვანი ყურადღება მიუქცევია-  
მასალის თვითონ ჩამწერსვე. „ოჩხარის გაკეთება ნათე-  
სავებ შუა უპრიანია“-ო.

რაკი, მაშასადამე, ოჩხარი, მისი სახელის მიუქე-  
დავად, მთელი მისი არსებით, აპალაამ შემთხვევებში  
იგივე კალმასობაა, ვით პურის მოშოგბის  
ჩვეულება, მაშ, ეს კალმასობაც (აგრეთვე საზელი-  
საგან დამოუკიდებლივ) ისევე ძველი გვარისად  
უნდა მივიჩნიოთ; მხოლოდ იმ განსხვავების შეცნობით,  
რომ კალმასობას, შედარებით ოჩხართან, საბა-  
ტონყმო სოციალურ ნიადაგზე, ეკლესია-მონასტრების  
შესაცუთრეთა პრაქტიკაში, ზემოთ აღნიშნულისამებრ,  
შესთვისებია სპეციფიკური მანკი—ნიშნები ადამიანური  
ღირსების დამამცირებელის პირისპირი თხოვა-შეწყალე-  
ბისა და აქედან განვითარებული მაბეზარობისა და ცრთ-  
გვარი მოძალეობისა.

## XII

აქ მოვიყვანოთ ორიოდე ცნობა საქართველოს გარეთ  
ნაცადი „კალმასობის“ შესახებ. უკვე ზემოთ აღინიშნა,  
რომ „პავლე მოციქულის“ ღროიდან „კალმასობა“ უკა-  
ნასკნელ ხანებამდე წესად დარჩა აღმოსავლეთის ეკლე-  
სია-მონასტრებს (იერუსალიმი და სხვ.). თავის აღგილზე  
მოხსენებული იყო გრიგოროვიჩი - ბარსკის სათა-  
ნიდო ცნობები, კერძოდ, ათონის ქართველთა მონასტრის  
პრაქტიკიდან (იხ. გვ. 52). ამავე მოგზაურს ანალოგიური  
ცნობები მოეპოვება აგრეთვე შესახებ ათონის ათანასეს-  
ლავრისა. გისი ჩანაწერით, ლავრის მეთაურები, სათურ-  
ჭო და სხვა ხარჯებისგან შევიწროებულნი, „რაკი მათ

არ შეუძლიათ სხვა საშუალებით თავი დაირჩინონ, — იუწყება მოგზაური, — მიმართავენ ხოლმე ღვთისა და ქრისტიანების მოწყვალებას, ყოველთვის გზავნიან ბერებს ქვეყნის სხვადასხვა მხარეებში პატიოსანი ძელით და წმიდათა ნაწილებით, გზავნიან თითოს ან ორ-ორს, სამ-სამს, ოთხ-ოთხს ერთად, იმის მიხედვით, თუ რამდენად შორს ძევს ქალაქები, რაოდენი პატივით არიან მოსილი იქ მცხოვრები პირები, რამდენი ქრისტიანი ბინადრობს იქ“. საკალმასოდ და მეტოქებში საღვაწიდ გაგზავნილი ბერები გადაიკარგებიანო, — განაგრძობს ავტორი, — წლით, ორი წლით, სამით. ზოგნი სულ აღარ ბრუნდებიან უკან. ასე რომ მონასტრის „ძმები“ ისე არიან დაქსაქსული, რომ ვერაოდეს ერთად თავს ვერ იყრიან, ვერც-კი იცნობენ ერთმანეთს. ჩოლო „რომ არ იგზავნებოდენ სამოწყალოზე და ერთად იყვნენ შეკრებილი, — წერს მოგზაური, — სავანე მცირე ხანში ამოწყდებოდა, რადგან საჭმელად ერთი მარცვალიც არ მიაეშოვებოდა“<sup>1</sup>.

მეტის მოშოვება — ბერის მეტ ღვაწლსა და დამსახურებას მოაწავებდა. მონასტრის წინამძღვრადაც მას ირჩევდენ, ვინც „გარეთ გასულა სამჯერ ან ოთხჯერ და მომსახურებია მონასტერს სიმართლით და ბეჯითად, ესე იგი მიუზიდია მონასტერში შეწირულებანი საქმარისი რაოდენობით“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> „Аще бо не бы рассилахуся по милостинях, но всы собранны быша, истребили быша обител в мало время, яко ни зерну ясты не обрестися“. Странствования, баֆ. III, 83. 65.

<sup>2</sup> „... изийдет и мир трижды или четырижды, и послужит монастиреве верно и тщаливо си ест принесет в монастырь милостию доволну“. ОГИЗ, 83. 66.

а ѿ црнодѣдѣ, зиот рѣаլіеъди, ѿура́длѣда́с о́бъропъ  
 дѣлъ (жва́рьи) зиатио́са́ни да ѿмі́да́та ба́ти́лѣди. га́з-  
 ща́вно́л мѣ́ялмасе́еъди, цѣа́ди, та́н и́сѧти „чи́гнѣди“  
 зиа́тъа́нѣдома́т, ро́гома́ц. ჩვენ ქა́рთუ́лъ монба́сტ҃рѣди  
 პრа́кти́каში დа́ви́наხე́т (იხ. ზემოთ, გვ. 14). გრо́гома́ц-  
